

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

რუსეთისმცოდნეობა

გელა ცავა

რუსული იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში
(XIX საუკუნის 60-იანი წლები – XX საუკუნის 80-იანი წლები)

რუსეთისმცოდნეობის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე

თანახელმძღვანელი:
ისტორიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი ბეჟან ხორავა



თბილისი

2015

თავი 1. რუსული იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში (XIX საუკუნის 60-იანი წლები – XX საუკუნის დასაწყისი)	
1.1 აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და კოლონიზაციის დასაწყისი	16
თავი 2. რუსული იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში (XX საუკუნის 10-იანი – 60-იანი წლები)	
2.1 საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ 1917-1921 წლებში და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა	47
2.2 საბჭოთა პოლიტიკური სისტემა აფხაზეთში (XX ს. 20-60-იან წწ.)	68
2.3 საბჭოთა იდეოლოგიის ბრძოლა „აფხაზეთის ისტორიისთვის“.....	90
თავი 3. რუსული პოლიტიკა აფხაზეთში XX საუკუნის 70-80-იან წლებში	
3.1 ქართულ-აფხაზური ურთიერთობები XX საუკუნის 70-80-იან წლებში და კრემლის იმპერიული პოლიტიკა	95
3.2 ქართულ-აფხაზური ურთიერთობები XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე და კრემლის იმპერიული პოლიტიკა	121
დასკვნა	149
ბიბლიოგრაფია	150
დანართები	160

შესავალი

პრობლემის აქტუალობა. აფხაზეთში რუსული იმპერიული პოლიტიკის საკითხების შესწავლა საქართველოს უახლესი ისტორიის უაღრესად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის დაძაბვა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო და ამაში დიდი წვლილი რუსეთის იმპერიას მიუძღვის.

აფხაზეთში რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიქართული პოლიტიკა იმდენად აშკარა იყო, რომ ამის უარყოფა თვით იმ აფხაზ მკვლევრებსაც კი არ შეუძლიათ (Лакобა 1991: 227)

რუსეთის ხელისუფლება გამიზნულად ცდილობდა ქართული სამყაროსგან აფხაზეთისა და აფხაზების ჩამოშორებას. XIX-XX საუკუნების ქართველი მოღვაწეები იაკობ გოგებაშვილი, კირიონ საძაგლიშვილი, ამბროსი ხელაია და სხვები ამბობდნენ, რომ აფხაზი ესაა დამოუკიდებელი ეთნიკური ჯგუფი და აქედან გამომდინარე, მათ სრული უფლება პქონდათ, თავიანთი დამწერლობა პქონოდათ. ქართველ საზოგადო მოღვაწეები ყველანაირად ცდილობდნენ, დახმარებოდნენ აფხაზებს, მაგალითად, დამწერლობის შექმნაში და შემდგომში მათი კულტურის წინსვლასა და განვითარებაში.

რუსეთის ხელისუფლებამ ეს კულტურული პროცესი თავის სასარგებლოდ გამოიყენა. გარეგნულად ყოველივე, რა ოქმა უნდა, ისე გამოიყურებოდა, თითქოს ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ აფხაზი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. განსაკუთრებულად ეს აფხაზური დამწერლობის შექმნაში გამოვლინდა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1862 წელს ცნობილმა რუსმა მოღვაწემ, კავკასიის დიდმა მცოდნემ ბარონმა პეტრე კარლის ძე უსლარმა რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური ანბანი შეადგინა. ამ ანბანის საფუძველზე სპეციალურმა კომისიამ ი. ბარტოლომეის, დ. ფურცელაძისა და ვ. ტრიროგოვის შემადგენლობით მოამზადა და 1865 წ. გამოსცა აფხაზური საანბანო წიგნი (Дзидзария 1960: 275).

ამდენად, აფხაზური დამწერლობა შექმნა რუსმა გენერალმა და ლინგგისტმა პეტრე უსლარმა. თუმცა, აფხაზური დამწერლობის შექმნა ემსახურებოდა არა აფხაზური კულტურის განვითარებას, არამედ აფხაზების ქართული სამყაროდან სრულ ჩამოშორებას.

ქვემოთ მოყვარული მოდგაწების მხარდაჭერა და დახმარება აფხაზური დამწერლობის შექმნაში იყო ბმური გრძნობის გულწრფელი გამოვლინება აფხაზი ხალხისადმი და ამას არაფერი პქონდა საერთო ე.წ. რუსი „მფარველების“ ზრახვებთან, რომლებიც თითქოს ზრუნავდნენ „მცირე ხალხების“ კეთილდღეობაზე. რუსეთის ხელისუფლების ენობრივი პოლიტიკის ჭეშმარიტი მიზნის დაფარვა თვით პეტრე უსლარმაც კი ვერ მოახერხა, რომელიც თავადაც აღიარებდა ქართული ანბანის უდავო უპირატესობას (ჯორჯიანი 2000: 36).

ერთი სიტყვით, რუსეთი ცდილობდა, აფხაზები მოემადლიერებინა, მათი გული მოეგო და თან, დაეპირისპირებინა ქართველებისთვის. წლების შემდეგ ამან გარკვეული შედეგი გამოიღო.

საყურადღებოა ცნობილი აფხაზი მოდგაწის ხ. ბლაჟბას მიერ ახალი აფხაზური ანბანის შეფასება, როდესაც ის წერდა: „ეს სალიტერატურო ენის მთელ სრულ ხმოვნით შედგენილობას (Бражба 1987: 28)

მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ, აფხაზთა ერთი ნაწილი პრორუსულ პოზიციაზე იდგა და ცდილობდა, აფხაზეთი არა საქართველოს, არამედ რუსეთის შემადგენლობაში შესულიყო. თუმცა, იმ პერიოდში პროქართულმა ორიენტაციამ აფხაზეთში მაინც იმძლავრა და აფხაზეთი ავტონომიის უფლებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა. საბჭოთა კავშირში რუსეთმა კვლავ განაგრძო ჩვეული პოლიტიკის გატარება და კვლავ ქვეყნის ხერხით ცდილობდა აფხაზებისა და ქართველების დაპირისპირებას.

აფხაზებს უნერგავდნენ აზრს, რომ ქართველები არიან მათი მტრები, რომ ქართველები XIX საუკუნეში დასახლდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე და იქამდე იქ ქართული მოსახლეობა არ ყოფილა. შესაბამისად, უმტკიცებდნენ, რომ ის მიწა მთლიანად აფხაზებისაა და ქართველები აფხაზების კულტურისა და თვითმყოფადობის ასიმილაციასა და შთანთქმას აპირებენ.

ამ პროპაგანდაზე ზეგავლენა მოახდინა სტალინის მმართველობის ფაქტორმა. უკელავ ის ცოდვა, რაც სტალინს, ბერიას და იმდორინდელ საბჭოთა ხელისუფლებას მიუძღვდა აფხაზების წინაშე, სტალინისა და ბერიას ეთნიკური წარმომავლობის გამო, ქართველებს მიეწერებოდა.

ჯერ კიდევ 1930 წელს ი. სტალინმა, საბჭოთა ფედერალიზმის ეთნოტერიტორიულ პრინციპზე დაფუძნებულ ზოგადი მოდელის ფარგლებში

წამოაყენა მოკავშირე რესპუბლიკების შექმნის სამი კრიტერიუმი: საგარეო საზღვრის არსებობა (ე. ი. მოკავშირე რესპუბლიკა უნდა ესაზღვრებოდეს უცხო სახელმწიფოს), არანაკლებ მილიონიანი მოსახლეობა და სატიტულო ერის“ (ე. ი. მოკავშირე რესპუბლიკისათვის სახელწოდების მიმნიჭებული ეთნოსის) დემოგრაფიული უპირატესობა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში (Gleason 1992:111).

აფხაზეთი არ აკმაყოფილებდა კრიტერიუმთა ამ სამერთიანი კომპლექსის არც ერთ კომპონენტს: მას არ ჰქონდა საგარეო საზღვრები, მოსახლეობის რაოდენობა იყო ერთ მილიონზე გაცილებით ნაკლები, ხოლო „სატიტულო“ აფხაზი ეთნოსის რაოდენობრივი უპირატესობაც ამ დროს არ არსებობდა.

კრემლის იმპერიულმა პოლიტიკამ შედეგი 50-იან წლებში გამოდო და დაიწყო აფხაზთა გამოსვლები აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფისა და რუსეთთან შეერთების მოთხოვნით. რუსეთის ხელისუფლების ხელშეწყობითა და მეცადინეობით, ამ პროცესმა 1989 წელს სისხლიან დაპირისპირებამდე მიგვიყვანა, შემდეგ კი ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა, რამაც 1992-1993 წლების ომი გამოიწვია.

თემის აქტუალობას კიდევ უფრო მეტად ზრდის ის ფაქტები, თუ როგორ ცდილობს საქართველო, რომელმაც XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მოიპოვა დამოუკიდებლობა, ქვეყნის პოლიტიკა წარმართოს საერთაშორისო ნორმების მკაცრი დაცვით და ქვეყნის საგარეო კურსი კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზით გადაწყვიტოს.

საქართველოს ისტორიულ მხარეში – აფხაზეთში, ათწლეულების განმავლობაში მოქმედმა სეპარატისტებმა გარეშე ძალთა მხარდაჭერითა და ხელშეწყობით 1992 წლიდან მოაწყვეს ქართველების გენოციდი და ეთნიკური წმენდა, რომელსაც ათასობით მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, უგზო-უკვლიდ დაიკარგა ათასზე მეტი, დაიჭრა და დასახიჩრდა ათი ათასამდე ადამიანი.

აფხაზეთის თემა მუდმივად არის მსჯელობის, დისკუსიის, დებატების, მწვავე პოლემიკის საგანი. ომის გამომწვევი მიზეზები და ქართველების მარცხის საფუძველი, მრავალი საეჭვო და ბუნდოვანი გარემოებიდან გამომდინარე, ბევრისოფას დღემდე რთული გასაგებია.

ათეული წლების განმავლობაში აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები რუსეთის ხელშეწყობითა და წაქეზებით ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ აფხაზთა

მეხსიერებიდან წაეშალათ ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა და ისტორიული ერთობის იდეა.

აფხაზეთში ნაციონალური ისტერიის ტალღის აგორების საბაბად კვლავ იქნა გამოყენებული ცალკეული სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებშიც, აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგების აზრით, გაყალბებული იყო აფხაზი ხალხის ისტორიული წარსული. მომავალი „საერთო-სახალხო“ პროტესტის სიმპტომები გაჩნდა ჯერ კიდევ 1965 წელს, როდესაც სეპარატისტებმა გააკრიტიკეს გამოჩენილი აფხაზი ფილოლოგის, ლინგვისტისა და ლიტერატურათმცოდნის პროფესიული ბდაჟბას მონოგრაფია: „აფხაზური ენის ბზიფის დიალექტი“ (Бгажба 1965).

აფხაზებს მუდმივად და დაუფარავად თავს ახვევდნენ ყოვლად დაუსაბუთებელ და ყალბ მოსაზრებებს, თითქოს აფხაზ ხალხს ისტორიულად არასოდეს არაფერი აკავშირებდა საერთო-ქართულ სამყაროსთან. უფრო მეტიც, საქართველო, ქართველი ხალხი გამოცხადებული იყო აფხაზთა თავზე დატრიალებული ყველა უბედურების მიზეზად და ხელისშემწყობად.

ქართველ და აფხაზ ხალხთა გაუცხოებასა და მტრობას, რაც სანუკარ მიზნად გაეხადათ პოლიტიკური პროვოკაციების ორგანიზატორებს, მლიქენელ ურნალისტებსა და დიპლომიან სწავლულებს, „მეცნიერულ“ ნიადაგზე აფუმნებდნენ (Папаскири 1990: 4-5).

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი საქართველოში (მათ შორის აფხაზეთის რეგიონში) აღინიშნა დაძაბულობის ახალი კერების აღმოცენებით. აფხაზეთის კონფლიქტი უდავოდ საინტერესოა და მისი სრულყოფილად შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბოლო წლებში ისტორიისა და პოლიტოლოგიის სფეროში მომუშავე ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა წრეებში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. ამ კონფლიქტის მიმოხილვას მიეძღვნა არაერთი წიგნი და ნარკვევი, მაგრამ დღემდე ვერ მოიძებნა ის უნივერსალური გზა, რომელიც აღნიშნულ კონფლიქტს მშვიდობიანი გზით მოაგვარებდა.

კლევის მიზანი. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ზოგადად განისაზღვროს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით აფხაზეთში პოლიტიკური პროცესების დინამიკა. ამასთანავე, ჩვენთვის ხელმისაწვდომ სათანადო წყაროებსა და არსებული ლიტერატურის საფუძველზე

გავანალიზოთ აფხაზური სეპარატიზმის ისტორია და ამასთანავე, ანტიქართულ დონისძიებებში რუსეთის აგრესიული, ხელისშემწყობი ფაქტორის წარმოჩენა. ასევე, ბოლომდე გავიაზროთ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული რეგიონული პრობლემატიკა, გამოვავლინოთ ამ კონფლიქტის ხელისშემწყობი მნიშვნელოვანი ასპექტები.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია გამოკვეთილ იქნეს რუსეთის როლი აფხაზეთში პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობისას ზემოთხსენებულ ქრონოლოგიურ პერიოდში, რამაც თავის მხრივ, საშუალება მოგვცა ჩვენ მიერ განხორციელებულიყო კვლევა რუსეთის გექტორის განსაზღვრისათვის. წარმოვაჩინოთ ის საკითხი, თუ რა მოტივები ამოძრავებდა რუსეთს, და რამდენად შორს გამიზნულად უწყობდა ხელს მოსკოვი აფხაზთა გეგმებს. ამასთან, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ვაჩვენოთ რუსეთის გადამწყვეტი როლი სეპარატიზმის გაღვივებაში.

სიახლე, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 80-იან წლებამდე აფხაზეთში რუსეთის ზემოქმედების ნებატიური ფაქტორების განსაზღვრა, რომელიც ეფუძნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო და საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის მასალებს, რაც საშუალებას გვაძლევს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ აქამდე გამოუქვეყნებელი საარქივო მასალები, რომელთა ანალიზისა და სხვა არსებულ წყაროებთან შეჯერების საფუძველზე წარმოვადგინოთ სათანადო დასკვნები.

დღეისათვის საქართველო 37 საერთაშორისო ორგანიზაციაშია გაერთიანებული და 100-ზე მეტ სახელმწიფოსთან აქვს დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა. 2000 წლიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ხოლო 2014 წლიდან ევროკავშირის ასოცირებული წევრია. ეს საგარეო პოლიტიკური ორიენტირები აბსოლუტურად სწორია, რადგან, რამდენადაც იქნება იგი ჩართული მსოფლიო მნიშვნელობის პროცესებში, იმდენად იქნება დაცული მისი უფლებები და უსაფრთხოებაც.

დღევანდელ პირობებში ჩვენ უდავოდ გვჭირდება საქართველოს ზუსტი გეოსტრატეგიული ანალიზის გაკეთება, რუსული საფრთხის დრმად გააზრება და

ადეკვატურ ქმედებათა დაგეგმვა. ეს გახლავთ უახლესი პერიოდის მთავარი ამოცანა. წარმოდგენილი ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობაც სწორედ ამ ყოველივეს ადეკვატურ გააზრებაშია საძიებელი.

დღეისათვის მიმდინარეობს მსოფლიო გლობალიზაციისა და პოლარიზაციის უაღრესად აქტუალური პროცესები. დღეს ჩვენ გვიწევს ცხოვრება ე.წ. გარდამავალ ეპოქაში, როდესაც დაინგრა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი იმპერია – საბჭოთა კავშირი და, ფაქტობრივად, მსოფლიოს ხელახლი გადანაწილება ხდება. ინტერნეტსივრცეში, სხვადასხვა საიტები, ქვეყნდება მახლობელი აღმოსავლეთის, კავკასიის და მსოფლიოს სხვა მეტად მნიშვნელოვანი რეგიონების ახალი პოლიტიკური რუკები, რომლებზეც სრულიად შეცვლილია დღეგანდელი მსოფლიოს პოლიტიკური სურათი.

ამ გადანაწილების დროს მთავარი ყურადღება გადატანილია ენერგორესურსებსა და სატრანზიტო გზებზე. იმის გამო, რომ საქართველო მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანას წარმოადგენს და მასზე გადის ენერგომატარებლები, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ინტერესთა არეალშია მოქცეული. ამ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თანხვედრამ რამდენადმე გამოიწვია აფხაზეთის კონფლიქტიც.

ჩვენი აზრით, აღნიშნული კონფლიქტები საკმაოდ დრმა ფესვების მქონეა, რომელთა გათვალისწინება არა მარტო ამ კონფლიქტების დარეგულირებაში, არამედ, ზოგადად, ამ გეოსტრატეგიულ სივრცეში დამკვიდრებაშიც შეგვიწყობს ხელს. ჩვენს მიერ წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომიც სწორედ ყოველივე ამის გააზრების ერთგვარი მცდელობაა.

ნაშრომის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია აფხაზურ კონფლიქტში რუსეთის ფაქტორის მკაფიო წარმოჩენა და ხაზგასმა. წარმოდგენილი კვლევები საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ და გავაანალიზოთ ოფიციალური კრემლის დამოკიდებულება საქართველოსადმი (განსაკუთრებით აფხაზეთისადმი) XIX საუკუნის 60-იანი წლები – XX საუკუნის 80-იან წლებში. იგი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც სამეცნიერო-თეორიულ კვლევებში, ისე პრაქტიკულ დიპლომატიურ და კონფლიქტის გადაჭრის საქმიანობაშიც.

ნაშრომის აკრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შეიცავს კვლევის ძირითად შედეგებსა და დასკვნებს, 7 სამეცნიერო სტატიის სახით, გამოქვეყნდა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო გამოცემებში.

ასევე მოხსენებები წარდგენილ იქნა რამდენიმე საუნივერსიტეტო და ორ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.

ნაშრომის სტუდენტა სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერულად ნაბეჭდი 154 გვერდისაგან და შეიცავს: შესავალს, 3 თავს, 6 ქვეთავსა და დასკვნას. წარმოდგენილ ნაშრომს ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია – ქართული და უცხოური პუბლიკაციებით.

ისტორიუგრაფიული და წყაროთმცოდნელობითი პაზა. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალები, რომლის ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი კი პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. ისინი მნიშვნელოვან პირველწყაროებს წარმოადგენენ სადისერტაციო ნაშრომის კვლევისათვის და ასახავენ აფხაზეთში XX საუკუნის 70-80-იან წლებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს და ახლებულად წარმოაჩენენ ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში რუსეთის მიერ აფხაზეთში განხორციელებულ იმპერიულ პოლიტიკას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. 1991-1992 წ.წ. თბილისის ცნობილი მოვლენების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის უდიდესი ნაწილი განადგურდა. საქართველოს კპ (ბ) ცპ-ის პრეზიდიუმის 1922 წლის 24 ივნისის დადგენილებით საქართველოს კპ (ბ) ცპ-თან შეიქმნა პარტიის ისტორიის კომისია (პარტიისი).

საქართველოს კპ (ბ) ცპ-ის 1932 წლის 23 თებერვლის დადგენილებით, თბილისში შეიქმნა სტალინის სახელობის ისტორიულ-რევოლუციური და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (1934 წლის ივლისიდან ინსტიტუტს ეწოდა საკავშირო კპ (ბ) ცპ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი), რომელსაც შეუერთდა პარტიის, გადაეცა პარტიის მთელი არქივი და მასთან ერთად ცენტრალური პარტიული არქივის ადგილობრივი განყოფილების დოკუმენტები.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 5 აპრილის №150 განკარგულების საფუძველზე, პარტიული არქივი საქართველოს შსს საარქივო სამმართველოს გადაეცა. ამჟამად ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი თავისი მოცულობით ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში, რომელშიც 8300-მდე ფონდია დაცული. აქ არსებული ფონდები და მასალები წარმოადგენს ფასდაუდებელ და შეუფასებელ

წყაროს როგორც პარტიული, ასევე ქომქავშირული ცხოვრების ისტორიის შესწავლის საქმეში.

ყოფილი სუკ-ის საარქივო ფონდი. საქართველოს უშიშროების ორგანოებში საქმიანობა მუდმივად ცენტრალიზებულად მიმდინარეობდა და ქ. მოსკოვიდან იმართებოდა. გამონაკლისს არც უწყების არქივის საქმისწარმოება წარმოადგენდა. უშიშროების ადგილობრივი ხელმძღვანელობა საარქივო ქვედანაყოფის თანამშრომლებს არჩევდა, ნიშნავდა, საჭიროების შემთხვევაში სხვაგან გადაჰყავდა და ათავისუფლებდა სამსახურიდან, მაგრამ მათი ყოველდღიური საქმიანობა საკავშირო სუკ-ში შემუშავებული და დამტკიცებული ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად აქტიურად მიმდინარეობდა.

არქივის თანამშრომლების საქმიანობა პერიოდულად მოწმდებოდა როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრიდან მოვლინებული მაკონტროლებები სტრუქტურის – ინსპექციის სამუშაო ჯგუფის მიერ. შემოწმების შედეგები, როგორც წესი, მოხსენდებოდა ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც. ნებისმიერი დაწესებულებისთვის საარქივო ფონდი მნიშვნელოვან საკითხთა კატეგორიას მიეკუთვნება.

სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების წინ მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები იმართებოდა. ერთ-ერთი ასეთი აქციის დროს, ლესია უკრაინკის ქუჩაზე №3, სადაც გვერდიგვერდ იდგა შეს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობები, მიტინგის ორგანიზატორთა მოწოდებით, ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა შეძლო სუკ-ის ადმინისტრაციული შენობის დაცვის თანამშრომელთა წინააღმდეგობის დაძლევა და შენობაში შეიჭრა. დაარბიეს სამუშაო ოთახები, გაიტაცეს პირადი ნივთები და დოკუმენტაცია, მათ შორის, სისხლის სამართლის ერთ-ერთი საქმის რამდენიმე ტომი.

მომხდართან დაკავშირებით უშიშროების ინსპექციის განყოფილების საკუთარი უშიშროების ჯგუფმა (ხელმძღვანელი გ. მაისურაძე), სამსახურეობრივი მოკვლევა ჩაატარა, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოვლინდა. სსენებული ჯგუფის ფუნქციებში შედიოდა სუკ-ის საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფა გარეშე პირთა ხელყოფისაგან; მოსალოდნელი ან შექმნილი საშიშროების შემთხვევაში საიდუმლო დოკუმენტაციის საიმედო ადგილზე ევაკუაციისა და დაცვის ორგანიზება.

იმავდროულად, მომხდარი ფაქტის შედეგების გათვალისწინებით, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იმუმინდელ თავმჯდომარესთან, გენერალ-მაიორ ოთარ ხატიაშვილთან ჯგუფმა, ქ. თბილისში ოპერატიული ვითარების დაწყნარებამდე, უმნიშვნელოვანესი ფასეულობების მქონე (ოპერატიული, ისტორიული და სხვა) მასალების უშიშროების კომიტეტის შენობიდან სხვა, უფრო საიმედო, სათადარიგო სათავსოებში დროებით ევაკუაციის საკითხი დასვა.

გენერალ-მაიორ ოთარ ხატიაშვილისაგან აღნიშნულზე თანხმობის მიღების შემდეგ, გ. მაისურაძემ და საორგანიზაციო-სამობილიზაციო განყოფილების უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ქ. გიქოშვილმა ერთ-ერთი შენობა შეარჩიეს, რომლის შესახებაც ოთარ ხატიაშვილს მოხსენდა, რომელმაც განკარგულება გასცა, საკუთარი უშიშროების ჯგუფს კომიტეტის არქივის თანამშრომლებთან ერთად შეედგინა საევაკუაციო დოკუმენტაციის და ფასეულობების ნუსხა, ევაკუაციისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების ოდენობა და იმ თანამშრომელთა სიაც, რომლებიც ამ დონისმიებაში მიიღებდნენ მონაწილეობას. ო. ხატიაშვილმა აღნიშნული გეგმა დაამტკიცა.

წინასაევაკუაციო მზადება პარასკევს საღამოს დამთავრდა, ხოლო ევაკუაცია ორშაბათს უნდა დაწყებულიყო. მეორე დღეს, შაბათს, დაახლოებით 19 საათისათვის გ. მაისურაძეს სახლში დაურეგა უშიშროების კომიტეტის ოპერატიულმა მორიგემ და შეატყობინა, რომ საარქივო დოკუმენტაციის ევაკუაცია ორშაბათისთვის საჭირო აღარ იყო, რადგან იგი უკვე სმოლენსკში იყო გაგზავნილი.

უშიშროების კომიტეტიდან ქ. თბილისის აეროპორტამდე მისი ევაკუაცია ოთარ ხატიაშვილის მოადგილეებმა, გენერლებმა ედუარდ ვოიციცკიმ და ვიტალი ნოვოდნიჩიმ იგორ გიორგაძეს დაავალეს. მანაც ეს დავალება პირნათლად შეასრულა.

ვფიქრობთ, იგრძნეს რა ასეთი საშიშროება, კრემლის ემისრებმა - გენერლებმა ედუარდ ვოიციცკიმ და ვიტალი ნოვოდნიჩიმ საკავშირო სუკს მოამზადებინეს ბრძანება, რომლის თანახმად, საბოლოო ჯამში, 1990 წელს ქ. სმოლენსკში გატანილი იქნა ოპერატიულ ქვედანაყოფებში არსებული ოპერატიული მასალა, აგენტების პირადი და სამუშაო საქმეები და მთელი ოპერატიული საარქივო ფონდი. იგივე განხორციელდა ავტონომიურ რესპუბლიკებშიც.

აფხაზეთში რუსული იმპერიული პოლიტიკის შესახებ საინტერესოა ის საარქივო მასალები, რომლებიც პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში.

ამ მხრივ აღსანიშნავია 1980 წლით დათარიღებული წერილი აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლების მიმართვა სკპპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკპპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის ა. პელშესადმი.

მნიშვნელოვანია 1980 წლის აპრილით დათარიღებული წერილი სკპპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს ქადაგ პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძისადმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პ. გ. გილაშვილისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ. ა. პატარიძისადმი.

საინტერესოა საქართველოს კომპარტიის ცკ-სა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელიც შეეხება აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ თხეთის ავტონომიური ოლქისა და ზოგიერთი მთიანი რაიონების დახმარებას უმაღლესი განათლების სპეციალისტების მომზადების მიზნით.

ერთ-ერთი წერილი შეეხება აფხაზი საზოგადო მოღვაწის ივანე თარბას დაჯილდოებას (აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის დიმიტრი გულიას სახელობის პრემიის ლაურეატი).

საინტერესოა წერილი სკპპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კადაგებული ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის სახელზე, რომელიც შეეხება წარმოშობით აფხაზი, მაგრამ ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პოეტის გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 135-ე წლისთავის აღნიშვნას (იხ. დანართი №2).

აღსანიშნავია ამონაწერები პროტოკოლიდან რომლებიც შეეხება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით აფხაზური გაზეთის „აფხსნი ყაფში“-სა („საბჭოთა აფხაზეთი“) და ქ. სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საპატიო ორდენებით დაჯილდოებას.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს რ. ალავიძე და შეეხება მდ. ენგურზე სოფელ თეობაიასთან დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის საკითხს.

საინტერესოა საინფორმაციო ხასიათის წერილი „აფხაზეთის გუდაუთის რაიონის სამომავლო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზომების შესახებ“, რომელსაც ხელს აწერს ა. იობაშვილი. წერილში საუბარია პირუტყვის ფერმების მშენებლობის უზრუნველყოფის თაობაზე.

მნიშვნელოვან ინფორმაციას აფხაზეთის ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის ქმედებების თაობაზე შეიცავს ამონაწერი პროტოკოლიდან.

1982 წლის დეკემბრით დათარიღებული ამონაწერი – პროტოკოლში №54, რომელიც აღნიშნავს აფხაზური ენის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ზომებზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უმიშროების კომიტეტის ამონაწერი პროტოკოლიდან №44 შეეხება აფხაზეთის ასსრ-ში კომპლექსური დონისძიებების გატარებასა და სამართლდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებში დაცულია წერილი შედგენილი ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ, რომელიც შეწუხებული იყო აფხაზეთში ანტიქართული პოლიტიკით.

საკითხის ისტორიუგრაფიული მიმოხილვა. რუსეთის მიერ აფხაზეთისადმი იმპერიული პოლიტიკის საკითხების გააზრებისა და გაანალიზებისათვის აუცილებელია საკვლევი თემის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

იშვიათი გამონაკლისია რუსი მკვლევარი სვეტლანა ჩერვონნაია, რომელიც თავის წიგნში „აფხაზეთი – 1992: პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა“ სწორად ახასიათებს საქართველოს რესპუბლიკის ვითარებას, მისი წარმომადგენლების საგაზეთო და საუკრაში სტატიების, რადიოსა და ტელევიზიის რეპორტაჟებს, ანალიტიკურ განხილვებს, კერძო პირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვებს აფხაზეთის სამხედრო კონფლიქტის თაობაზე, კერძოდ, გაზეთების პათოსს (მაგალითად „სვობოდნაია გრუზიას“, „ნოვაია გაზეტას“, „დრონის“, „მიმომხილველის“, „რეზონანსის“).

ასევე ქ. სოხუმში 1992 წ. აგვისტოდან გამოსული „დემოკრატიული აფხაზეთის“ იმის თაობაზე, რომ სეპარატიზმი და, მით უფრო, სამხედრო კონფლიქტი საქართველოს შიგნით დამდუპველად იმოქმედებდა მთელი მისი ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის მცხოვრებ ქართველი და აფხაზი ხალხების ცხოვრებაზე.

ზემოხსენებულ პრესის საშუალებებში სწორად და ნათლადაა აფხაზეთის სეპარატისტულ-სამხედრო კონფლიქტში რუსეთის მზაკვრულ-წამქებლური როლი, მისი ორმაგი სტანდარტების (ე.წ. „ნეიტრალიტეტის“) პოლიტიკით მოქმედების აგრესიული ხასიათი.

თავის ნაშრომში ს. ჩერვონნაია მიანიშნებს იმაზეც, რომ მხოლოდ ირონიისა და ღიმილის მომგვრელია სეპარატისტული პრესის პუბლიკაციების ლანძღვა-გინების მთელი სერია, მათი უმსგავსო შინაარსის მუქარა საქართველოსა და ქართველებისადმი – ისეთი ჩვეული ეპითეტებითა და ტერმინებით შემკობა, როგორიცაა: „ფაშისტები“, „კაციჭამიები“, „აგრესორები“, „ქართველო ოკუპანტებო წაეთრიეთ აფხაზეთიდან“, „სიკვდილი ქართველ ფაშისტებს“, „ქართველებს აფხაზეთში მხოლოდ სიკვდილი ესაქმებათ“, „შევარდნაძის ფაშისტური ხუნტა“ და ა.შ. (ჩერვონნაია 1994).

ასევე აფხაზეთის სამხედრო კომპლექტის ისტორიის რეალური გამოხატულებაა ავტორთა: გ. ყოლბაია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია, თ. ჭახრავია – კოლექტიური ნაშრომი „აფხაზეთის ლაბირინთი“, სადაც გადმოცემულია აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის სრული სიმართლე და იმ სიყალის გაბათილება და გამოაშკარავება, რასაც ასე უხვად და ურცხვად წერდნენ და ავრცელებდნენ ისტორიის ფალსიფიკაციორები.

მოცემულ კოლექტიურ ნაშრომში მრავალი საჭიროობო საკითხია განხილული და გაანალიზებული, მათ შორის: ისტორიული ექსკურსი, აფხაზეთის დემოგრაფიული სურათი, სეპარატიზმის გენეზისი, აფხაზეთის ომის წინამდღვარები, აფხაზეთის ომი, ანუ სამხედრო კონფლიქტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ომის მსვლელობის დეტალური ქრონიკა, რუსეთის როლი და წვლილი აფხაზეთის ომში, ქართველთა გენოციდი აფხაზეთში და ეთნოწმენდა, აფხაზეთის საკითხი პარლამენტში, ოკუპირებული აფხაზეთი, ლტოლვილი ქართველობა, ლტოლვილთა დაბრუნება თავის სახლ-კარში, საერთაშორისო თანამეგობრობა ომის შედეგების ლიკვიდაციისათვის ზრუნვაში, აფხაზეთის ომის შემდგომი 6 წელიწადი და სხვ. (ყოლბაია, გელანტია, ლაცუზბაია, ჭახრავია, 1999).

ბეჭან ხორავას წიგნში „აფხაზთა 1867 წლის მუნჯირობა“ საუბარია რუსეთის მფლობელობის დამყარებაზე აფხაზეთში, მეფის რუსეთის კოლონიზატორულ მიზნებზე, აფხაზთა 1866 წლის ანტირუსულ აჯანყებაზე, აფხაზთა 1867 წლის მუნჯირობის მიზეზებსა და მსვლელობაზე (ხორავა, 2004).

ავტორი დაწვრილებით აღწერილი აქვს მუჭაჯირობის საკითხები და ემყარება გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ძიძარიას მეცნიერულ მემკვიდრეობასა და საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ მდიდარ მასალებს.

ზემოხსენებულ წიგნში აფხაზთა მუჭაჯირობის რთული პროცესი ნაჩვენებია დასავლეთ კავკასიის ხალხებთან რუსეთის ურთიერთობის, აფხაზეთში რუსეთის მფლობელობის განმტკიცებისა და საერთო კავკასიური მიგრაციული პროცესის ფონზე; აგრეთვე, კავკასიაში რუსეთის, ოსმალეთის, ევროპის სახელმწიფოების (ინგლისი, საფრანგეთი) ინტერესებისა და იმდროინდელი საერთაშორისო კითარების გათვალისწინებით.

გერონტი და თორნიკე გასვიანების წიგნში „აფხაზეთის ომი“ ავტორები ზოგადად აშუქებენ აფხაზეთის ომის ისტორიას, მიზეზებს, მსვლელობასა და შედეგებს, აგრეთვე აფხაზეთის ეთნოწმენდასა და ქართველთა გენოციდს. ასევე რუსეთის წამქეზებლურ პოლიტიკას აფხაზეთის მიმართ და სეპარატისტული ძალებისადმი სრულ მხარდაჭერას. ავტორების ხედვა ემყარება პუბლიცისტურ წერილებს, სამთავრობო დადგენილებებსა და დოკუმენტებს და სხვ. (გასვიანი, 2005).

აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესაფასებლად და გასაანალიზებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღვნიშნოთ ზურაბ პაპასქირის ორტომეული „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან“: წიგნის პირველ ნაკვეთში ავტორს ძირითადი აქცენტები გადატანილი აქვს ე. წ. „სადაცო პრობლემებზე“ და სათანადო პირველწყაროების ანალიზისა და მრავალფეროვანი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის კრიტიკული ანალიზის ფონზე ნაჩვენებია, რომ ისტორიულად აფხაზეთი ყოველთვის იყო ერთიანი ქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანული ნაწილი (პაპასქირი, 2003).

მეორე ნაკვეთში ავტორი ნათლად აშუქებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს აფხაზეთში 1917 წლიდან 1993 წლის სექტემბრის ჩათვლით. მასში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთი აღნიშნულ პერიოდში კვლავინდებურად რჩებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენელ ერთეულად (პაპასქირი, 2007).

ავთანდილ სონდულაშვილი წიგნში „აფხაზი თუ აფხუა“ ქართული და უცხოური წყაროების, ახალი საარქივო დოკუმენტებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით გადმოცემულია აფხაზთა ეთნოგენეზი, მათი ჩრდილოკავკასიელ აფსუებთან იდენტურობის პრობლემები (სონდულაშვილი, 2007).

შოთა მალაშეიას წიგნი „კონფლიქტების ანატომია“ დეტალურადაა გაანალიზებული 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის გამომწვევი მიზეზები, შედეგები, სამართლებრივი ასპექტები და დეოპუბაციის პერსპექტივასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები.

ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა კავკასიის, როგორც ერთიანი რეგიონის ძირითად პრობლემათა განხილვას და წარმოჩენილია საქართველოს ისტორიული ფუნქცია რეგიონში. წიგნში ასევე განხილულია ევრაზიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კონფლიქტი და ისტორიულ-სამართლებრივი კუთხით განსაზღვრულია ეთნიკური იდენტობის პრობლემაზე და მის სიღრმისეულ კავშირზე კონფლიქტთა მოგვარების პროცესთან.

ავტორის დასკვნით, 1980-იანი წლების დასასრულსა და 1990-იანი წლების დასაწყისიდანვე აშკარა გახდა, რომ კრემლის მთავარი იარაღი დამოუკიდებლობისკენ საქართველოს (და ამიერკავკასიის დანარჩენი ორი რესპუბლიკის) სწრაფვის წინააღმდეგ სწორედ „ეთნოკონფლიქტების“ პროცეცირება იყო. აქ განლაგებული სამხედრო ბაზების აქტიური გამოყენებით კრემლმა მთელი ამიერკავკასია ომის ცეცხლში გახვია და ამ რეგიონში თავისი ბაზონისა აღადგინა (მალაშეია, 2011).

ჩვენ მიერ მოძიებულმა საარქივო და წყაროთმცოდნეობის ბაზამ საშუალება მოგვცა სრულიად წარმოგვეჩინა რუსული იმპერიული პოლიტიკის ძირითადი ასპექტები აფხაზეთში და ჩვენი აზრი გამოგვეთქვა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ზოგიერთ შეფასებაზე.

თავი 1. რუსული იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში
(XIX საუკუნის 60-იანი წლები – XX საუკუნის დასაწყისი)

1.1 აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და კოლონიზაციის დასაწყისი

დასავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, როდესაც კავკასიელ მთიელთა ნაწილი ბრძოლაში გაწყდა, ხოლო ნაწილი თურქეთში გადასახლდა, მეფის რუსეთმა კავკასიაში თავი მყარად იგრძნო. უკვე არ არსებობდა აფხაზეთის სამთავროს შენარჩუნების აუცილებლობა და თვითმპყრობელობა დაპყრობილი მხარის სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობისა და კოლონიზაციისათვის ზრუნვას შეუდგა.

საქართველოს მუდამ განსაკუთრებული ადგილი ეპავა რუსეთის საგარეო თუ შიდა პოლიტიკაში. რუსეთის მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მუდამ იყო საქართველოს ისტორიული მხარე აფხაზეთი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება მის ტერიტორიას. აფხაზეთზე კონტროლით შესაძლებელი ხდებოდა მთელ საქართველოზე გავლენის დამყარება.

პირველი ნაბიჯები აფხაზეთში სამთავრო ხელისუფლების გაუქმებისა და რეგიონში უშუალოდ რუსული მმართველობის შემოღების გზაზე რუსეთის იმპერიამ ჯერ კიდევ 30-იან წლებში გადადგა. 1837 წელს, მას მერქ, რაც წებელი-დალის მხარე მოქადა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის კონტროლქვეშ, აქ შეიქმნა პირველი რუსული ადმინისტრაციული ერთეული – წებელდის საბოჭაულო. რუსეთის მთავრობას უკვე მაშინ მიაჩნდა ზედმეტად მთავრის ხელისუფლება აფხაზეთში და ის ყოველნაირად ცდილობდა შეეზღუდა, აფხაზეთის სამთავრო ტახტის გავლენა. იმავე პერიოდში პირველად დაისვა აგრეთვე აფხაზეთისა და წებელდის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტის საკითხიც (ეძაძე 2000: 134-136).

მიხეილ შარვაშიძე ცდილობდა ნაკლები ანგარიში გაეწია რუსეთის ხელისუფლებისათვის, თუმცა უშედეგოდ. რუსეთის ხელისუფლება მას გასაქანს არ აძლევდა და ცდილობდა აფხაზეთი და მისი მთავარი მტკიცე ხელით დაემორჩილებინა.

რუსეთის ხელისუფლებამ დაინახა საშიშროება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავიდან უნდა მოეშორებინათ რუსეთის ხელისუფლებისადმი განსაკუთრებით მტრულად განწყობილი აფხაზები.

1859 წელს რუსეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია - ჩეჩენეთ-დაღესტანი დაიპყრო. ამით კავკასიის ომის (1817-1864) ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი დასრულდა და 200 ათასიანი კავკასიის არმიის ძირითადი ნაწილები რუსეთის სარდლობამ დასავლეთ კავკასიაში გადმოისროლა. ალექსანდრე II (1855-1881) სარდლობისგან

მოითხოვდა, რომ ომი, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე გაიწელა და უზარმაზარ სახსრებს ნოქავდა, მალე დაემთავრებინათ.

დასავლეთ კავკასიაში საომარი მოქმედებების მსვლელობაში აფხაზეთის სამთავროს როლს ცარიზმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთმა სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებზე დიდხანს შეინარჩუნა ავტონომიური მმართველობა იმპერიის შემადგენლობაში.

რუსეთის მთავრობა ფიქრობდა, რომ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას და უშუალო რუსული მმართველობის შემოღებას შეეძლო გაერთულებინა საომარი მოქმედებების წარმოება დასავლეთ კავკასიაში, რადგან აფხაზეთი ამ რეგიონში რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმს წარმოადგენდა; ამასთან, აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე (1823-1864) და აფხაზი ფეოდალები საომარ მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდნენ. ამიტომ ცარიზმა აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და რუსული მმართველობის შემოღება დასავლეთ კავკასიაში ომის დამთავრებისთვის გადადო. რუსეთის მთავრობა მიხეილ შარვაშიძის როლსაც რეალურად აფასებდა.

რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთში ჯერ კიდევ საკმაოდ შეზღუდული იყო და მხოლოდ ჯარის მიერ დაკავებულ პუნქტებზე ვრცელდებოდა. სამთავროს საშინაო მმართველობა მთავრის ხელში იყო. კავკასიის რუსული ადმინისტრაციისთვის ნათელი იყო, რომ აფხაზეთში რუსეთის ხელისუფლების განმტკიცება დასავლეთ კავკასიაში რუსეთის მფლობელობის დამყარების კვალად მოხდებოდა.

ეს მიხეილ შარვაშიძემაც კარგად იცოდა. რუსეთის ხელისუფლება ფიქრობდა და არცოუ უსაფუძვლოდ, რომ აფხაზეთის მთავარი, რომელიც დიდი პატივისცემითა და გავლენით სარგებლობდა დასავლეთ კავკასიის მთიელ ტომებს - ჯიქებს, უბიხებს, შავსუღებს, აბაძეხებს და სხვ. შორის, დამოუკიდებლობისთვის მათ ბრძოლას ფარულად მხარს უჭერდა. მიხეილ შარვაშიძეს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ დასავლეთ კავკასიის დამორჩილების შემდეგ რუსეთი მის ხელისუფლებასაც ბოლოს მოუღებდა.

1860 წლის დამდეგს მეფის რუსეთის სარდლობამ ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გზის გაყვანაზე, რასაც არამარტო სამხედრო და ადმინისტრაციული მნიშვნელობა ჰქონდა, ეს იყო მნიშვნელოვანი საშუალება ქვეყნის საბოლოო დაპყრობისათვის. დასავლეთ

კავკასიის დაპყრობის შემდეგ, როდესაც კავკასიელ მთიელთა ნაწილი ბრძოლაში გაწყდა, ხოლო ნაწილი თურქეთში გადასახლდა, ცარიზმა კავკასიაში თავი მყარად იგრძნო (ხორბალაძე, 2010).

1860 წლის აგვისტოში აფხაზეთში განლაგებული მეფის რუსეთის ჯარების სარდალმა, გენერალმა ი. ეორდანოვმა დამსჯელი ექსპედიცია მოაწყო ხოფ. ფსხუში. მასში 3 ათასი აფხაზი მიღიციელიც მონაწილეობდა. იმავდროულად, მეფის რუსეთის საბრძოლო ხომალდებმა რეიდი მოაწყვეს ჯიქებისა და უბისების სანაპიროზე და ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს, თითქოს დესანტის გადასხმას აპირებდნენ.

აღნიშნული ოპერაციის მიზანი იყო დაუშინებინათ ჯიქები და უბისები და ამით აღეკვეთათ ფსხუსელებისადმი მათი დახმარების შესაძლებლობა.

1860 წ. სექტემბერში კავკასიის მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ კავკასიის ომის სწრაფად დამთავრებისათვის დონისძიებების დასახვის მიზნით გლადიკავკაზში სამხედრო თათბირი მოიწვია. თათბირზე გადაწყდა, რომ დასავლეთ კავკასიის დასამორჩილებლად შეტევა დაეწყოთ მდ. ლაბისა და მდ. ბელაიას ზემო წელიდან და მთებიდან შავი ზღვისაკენ გამოედევნათ აბაშები, შავსულები, უბისები.

გათ მიერ სტავროპოლის გუბერნიის სტეპებში გადასახლებაზე უარის თქმის შემთხვევაში ისინი თურქეთში გადაესახლებინათ, ხოლო მათ მიწა-წყალზე რუსები ჩაესახლებინათ, უმთავრესად კაზაკები. ამის გარეშე, როგორც რუსეთის სარდლობა თვლიდა, კავკასიის დაპყრობა არ იქნებოდა სრული და საბოლოო.

უცხო ხალხის დასაპყრობად წარმოებული არც ერთი ომი არ დასჯდომია რუსეთს იმდენი მსხვერპლის ფასად, რამდენიც კავკასიის ომი, მისი ხანგრძლივობა კი (55 წელი!) უპრეცენდენტოა საერთოდ კოლონიური ომების ისტორიაში (Авторханов 1991: 48).

დასავლეთ კავკასიაში მეფის რუსეთის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთის ფაქტორს და მიხეილ შარვაშიძის როლს.

1862 წლის აპრილში ა. ბარიატინსკი სამხედრო მინისტრს დ. მილიუტინს წერდა: „მიხეილ შარვაშიძის გავლენა აფხაზეთში და მეზობელ ტომებზე, როგორც ჩემთვის ცნობილია, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია . . . ამიტომ ამ კაცის კეთილად განწყობა ჩვენს მიმართ ძალზედ საჭიროდ მიმაჩნია“ (ჭარაია 1897: 388).

1863 წლის მთელი ზაფხული მიხეილ შარვაშიძემ პიატიგორსკში გაატარა, ხოლო სამთავროს მართვა მმას – ალექსანდრეს ჩაბარა. ამ პერიოდში სამთავროში უწესრიგობები - მკვლელობა, ყაჩაღობა, ძარცვა გახშირდა, რაც კინაღამ აშკარა ფეოდალურ შინაოშში გადაიზარდა. 23 აგვისტოს კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. კარცოვი მიხეილ შარვაშიძეს, რომელიც მაშინ უკვე რაჭაში იმყოფებოდა, წერდა: ზაფხულში, თქვენს არყოფნაში, აფხაზეთში უწესრიგობები მოხდა და სამწუხაროა, რომ ავადმყოფობის გამო აფხაზეთში ჩასვლა არ შეგიძლიათ.

ხელისუფლება ფიქრობდა, რომ მთავრის ჩასვლა რამდენადმე განმუხტავდა დაძაბულ ვითარებას და უწესრიგობას ბოლოს მოუღებდა. მთავარმა აფხაზეთში დაბრუნება გადაწყვიტა. 8 სექტემბერს იგი ქუთაისიდან გავიდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო იმდენად ნელა მგზავრობდა, რომ ლიხნში მხოლოდ 16 ოქტომბერს ჩავიდა.

მიხეილ შარვაშიძემ გადაწყვიტა სამთავროს მართვა უმტკივნეულოდ გადაუცა უფროსი შვილის, გიორგისთვის, რომელიც მეფისნაცვალთან ადიუტანტად მსახურობდა.

27 ოქტომბერს მან წერილი გაუგზავნა ა. კარცოვს და მისი ავადმყოფობის გამო სამხედრო სამსახურიდან გიორგის გათავისუფლება და აფხაზეთში დაბრუნება სთხოვა, რათა სამთავროს მართვა მისთვის ჩაებარებინა. მიხეილ რომანოვის დავალებით ა. კარცოვმა მთავარს უპასუხა, რომ გიორგისთვის აფხაზეთის მართვის გადაცემის საკითხი იმპერატორის გადასაწყვეტი იყო, რადგან ახალ მთავარს ის ამტკიცებდა. ამასთანავე, ის აღნიშნავდა, რომ გიორგი მრავალი დადებითი თვისების მიუხედავად, ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო, იმჟამად მთავრის მოვალეობის შესრულებას ალბათ ვერ შეძლებდა.

რა თქმა უნდა, გიორგი შარვაშიძის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა არაფერ შეაში იყო. უბრალოდ, მეფის რუსეთმა შესაფერ დროს ელოდა სამთავროს გასაუქმებლად, თორემ თავის დროზე ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო მიხეილ შარვაშიძე, როცა მთავრად დაამტკიცეს, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას მაშინ პრეტენზია არ ჰქონია. მთავრობას სურდა, მიხეილ შარვაშიძის გარდაცვალების შემთხვევაში სამთავრო უმტკივნეულოდ გაუქმებინა და უშუალო რუსული მმართველობა შემოედო.

1864 წლის მაისში, თანამედროვე კრასნაია პოლიანას (ადრინდელი ქბაადა) მიდამოებში რუსებმა ამოწყვიტეს აპჭიფისისა და აიბგას აფხაზური თემების მოსახლეობა და მათი სისხლით მორწყულ მინდორზე მოწყობილი გამარჯვების აღლუმზე საზეიმოდ გამოაცხადეს კავკასიის ომის დასრულება.

როდესაც რუსეთ-კავკასიის ომი დასასრულს მიუახლოვდა, რუსეთის მთავრობამ უშუალოდ შარვაშიძეთა სახლს შეუტია. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია შარვაშიძეთა ტახტის მოშლისას არც კი მალავდა თავის მტაცებლურ მიზნებს და სამთავროს გაუქმებას, ყოველგვარი მორიდების გარეშე, მხარის კოლონიზაციას უკავშირებდა (პაპასქირი 2007: 179).

აფხაზეთის კოლონიზაციის გეგმის შემუშავებაში უშუალო მონაწილეობას იღებდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, თავადი დ. სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც სრულიად უცერემონიოდ სთავაზობდა ხელისუფლებას რუსული დასახლებების შესაქმნელად საჭირო მიწების გამოთავისუფლებას აფხაზთა თურქეთში გასახლების გზით.

რუს მოხელეთა მიერ წარმოდგენილი სქემებიდან სრულიად აშკარად ჩანს, თუ რას უმზადებდა იმპერიის ხელისუფლება აფხაზეთს და რისთვის სჭირდებოდა მას შარვაშიძეთა სამთავრო ტახტის გაუქმება. მიხეილ შარვაშიძემ, იგრძნო თავისი მმართველობის დასასრულის მოახლოება და თვითონ შეეცადა დაესწრო მოვლენებისათვის. მან 1863 წლის ოქტომბერში სამთავრო ხელისუფლების გახანგრძლივების მიზნით ტახტზე თავისი ვაჟისა და მემკვიდრის – გიორგი შარვაშიძის დასმა მოინდომა. ამასთან დაკავშირებით მან სათანადო თხოვნით მიმართა კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარი შტაბის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ა. კარცოვს, გაეთავისუფლებინა გიორგი სამხედრო სამსახურიდან, რომელიც მაშინ კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ადიუტანტი იყო. მიხეილ შარვაშიძე თავის ამ გადაწყვეტილებას ხსნიდა იმით, რომ ის ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებდა აფხაზეთის მართვას და ამიტომ სურდა ხელისუფლება თავისი ვაჟისთვის გადაეცა (პაპასქირი 2003: 180).

კავკასიის რუსულმა მმართველობამ მთავრის ეს ინიციატივა გამოიყენა როგორც საბაბი და იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე საერთოდ სამთავროს გაუქმების საკითხი დააყენა. ამით განაწყენებულმა მთავარმა პროტესტის ნიშად დემონსტრაციულად უარი თქვა რუსეთის ხელისუფლების მიერ მისთვის მინიჭებულ პატივზე და მოიხსნა გენერალ-ლეიტენანტისა და გენერალ-

ადიუტანტის უფლებამოსილებანი, რითაც ფაქტობრივად, თავისი თავი რუსეთის იურისდიქციიდან გამოიყვანა. მაგრამ ამჯერად იმპერიის ხელისუფლება უკან დახვევას არ აპირებდა.

სამეგრელოს სამთავრო სახლსა და მიხეილ შარვაშიძეს შორის სერიოზულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, რაც უპირველეს ყოვლისა, უპავშირდებოდა სამურზაფანოს მფლობელობის საკითხს (Бороздин 1885: 220-223).

1864 წლის 24 ივნისს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა აფხაზეთის მთავარს ოფიციალური შეტყობინება გაუგზავნა, რომელშიც, შეახსენებდა რა, თუ როგორ ითხოვდა იგი არაერთგზის ნებართვას, დაეტოვებინა სამთავრო ტახტი, აცნობებდა იმპერატორის გადაწყვეტილებას ამ თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით მიხეილ შარვაშიძე და მისი შთამომავლობა სამუდამოდ კარგავდა აფხაზეთის მართვის უფლებას და იქ მყარდებოდა რუსული მმართველობა.

რუსეთის ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება მიხეილ შარვაშიძემ გარეგნულად მშვიდად მიიღო. ერთადერთი, რასაც მოითხოვდა მიხეილ შარვაშიძე, იყო ის, რომ მისთვის ნება დაერთოთ, ეცხოვო აფხაზეთში. იმ შემთხვევაში, თუ ამის ნებას არ მისცემდნენ, ის ითხოვდა მამულს იმერეთში და ცხოვრების უფლებას ზამთრობით ქუთაისში, ხოლო ზაფხულობით რაჭაში. და თუ ამაზეც უარს ეტყოდნენ, მაშინ მთავარი ითხოვდა, მიეცათ მისთვის იერუსალიმში გამგზავრების ნებართვა, სადაც, მისი სიტყვებით, ის სიკვდილს „უფლის საფლავთან“ დაელოდებოდა. „წინააღმდეგ შემთხვევაში, – უთვლიდა მიხეილ შარვაშიძე ხელისუფლებას, – შეგიძლიათ წამათრიოთ აქიდან ძალით, და დაე მთელმა ქვეყანამ ნახოს თქვენი უსამართლობა და სისასტიკე“ (პაპასქირი 2003: 182).

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მიხეილ შარვაშიძემ წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა. მან ოსმალეთის მთავრობას თხოვნით მიმართა, გამოეგზავნათ მისთვის გემი, რომლითაც ის კონსტანტინოპოლიში ჩავიდოდა. მაგრამ ეს ცნობილი გახდა კავკასიის რუსული ადმინისტრაციისათვის.

1864 წლის 5 ნოემბერს მიხეილ შარვაშიძე დააპატიმრეს და სამხედრო ხომალდით ხოვოროსიისკეში ჩაიყვანეს, იქიდან კი სტავროპოლიში, ხოლო მოგვიანებით, ვორონეჟში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1866 წლის 16 აპრილს. მიხეილ შარვაშიძის ნეშტი ჩამოასვენეს სამშობლოში და დიდი პატივით დაასაფლავეს მოქვის ტაძარში (სონდულაშვილი 2007).

ასე დასრულდა ცხოვრება და მოდვაწეობა საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი დინასტიის, შარვაშიძეთა მირზელი საგვარეულოს კოლორიზული წარმომადგენლისა, რომელიც თითქმის 40 წლის მანძილზე განაგებდა აფხაზეთის სამთავროს. და მაინც, როგორი შეფასება შეიძლება მიეცეს მიხეილ შარვაშიძეს, ამ მართლაც არაორდინარულ პიროვნებას.

1864 წლიდან, რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ ოფიციალურ ადმინისტრაციულ ტერმინოლოგიაში „აფხაზეთი” ქრება. აფხაზეთის სამთავროს გადაერქვა სახელი და სოხუმის სამხედრო განყოფილება ეწოდა, რომელიც 1868 წელს ბიჭვინთისა და ოჩამჩირის ოლქების შეერთებით გაფართოვდა და დაექვემდებარა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს (ჩაჩიანი 2014: 38).

თანამედროვენი განსხვავებულად აფასებდნენ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ქმედებებს. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ რა მის ცალკეულ დამსახურებებს რუსეთის მთავრობის წინაშე, მთლიანობაში მაინც დიდ უნდობლობას ამჟღავნებდნენ და ხანდახან მოდალატედაც კი თვლიდნენ მას. მიხეილ შარვაშიძის ნეგატიური პორტრეტის, განსაკუთრებით ყირიმის ომის პერიოდში, შექმნაში არც თუ უმნიშვნელო წვლილი შეიტანეს დადიანთა სამთავრო სახლმა (უპირველესად ეპატერინე დადიანმა) და თვით შარვაშიძეთა საგვარეულოს ცალკეულმა წარმომადგენლებმა.

თუმცა, ქართული ფეოდალური არისტოკრატიის ელიტარულ ნაწილში იყვნენ ისეთებიც, ვინც ყველანაირად ცდილობდა მიხეილ შარვაშიძის გამართლებას. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ დიდი ქართველი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა მიხეილ შარვაშიძის პოლიტიკური კარიერის გადასარჩენად.

რუსული ისტორიოგრაფია მიხეილ შარვაშიძის მოდვაწეობის შეფასებისას ძირითადად ოფიციალური კონიუქტურით ხელმძღვანელობდა, რაც დღემდე უცვლელად რჩება (Данилов 1998: 147)

XIX საუკუნის II ნახევარში მეფის რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ საქართველოს ისტორიული მიწების ათვისება-კოლონიზაციისათვის ზრუნვა აქტიურად დაიწყო. ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ. კლიუხევსკი (1841-1911 წწ.) კოლონიზაციას „რუსეთის ისტორიის ძირითად ფაქტორად” მიიჩნევდა (Ключевский 1956: 49).

აფხაზთა მუკაჯირობა ერთ-ერთი ავადმოსაგონარი ფურცელია საქართველოს ისტორიაში. ბოლო წლებში, ერთგვარი რეზიუმეს სახით გამოვიდა მკვლევარების ანზორ გაბიანის და ქეთევან ჯაყელის პუბლიცისტური წიგნი „ქართულ-აფხაზური დაპირისპირების საიდუმლო”.

რუსეთს, კავკასიაში, და კერძოდ საქართველოში, ერთი მიზანი ჰქონდა – მოსახლეობის მთლიანი გარუსება. ამ ამოცანის შესასრულებლად აუცილებელი იყო ქართული ეროვნული სახელმწიფოს დაქუცმაცება, ერთიანი ეროვნული შეგნების მოშლა. ბუნებრივია, დაქუცმაცებული საქართველოს გარუსება უფრო იოლი იყო. ამ მიზნის განხორციელებას რუსეთი იქ შეუდგა, სადაც ყველაზე სუსტი ადგილი იპოვა. წარსული ისტორიული პირობების გამო ეს სუსტი ადგილი სწორედ აფხაზეთი აღმოჩნდა.

რუსეთზე ადრე ოსმალეთი ცდილობდა საქართველოს გამაპმადიანებას და ამ გზით მის გათურქებას. საქართველოს სამეფო-სამთავროების სისუსტის გამო XVII-XVIII საუკუნეებში, აფხაზეთში მძლავრად მოიკიდა ფეხი მაჭადიანობამ. აფხაზეთის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა აღიარა ისლამი, რამაც აფხაზეთი დააშორა სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს. ეს ბზარი ოსტატურად გამოიყენა რუსეთმა, თანდათანობით გაზარდა და გააღრმავა იგი. ისლამის აღმსარებელ აფხაზთა უდიდესი ნაწილი აფხაზეთიდან თურქეთში გააძევა. დღესდღეობით საისტორიო მეცნიერებაში მუკაჯირობა შეფასებულია, როგორც რუსეთის ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის და თურქეთის პროვოკაციული აქციების შედეგი, რომლებსაც მხარს უჭერდა აფხაზი ფეოდალების ნაწილი (Дзидзария 1975).

1864 წელს, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ, მეფის რუსეთმა გრცელი ტერიტორია მიიღო საკოლონიზაციოდ და აფხაზეთის კოლონიზაციის განხორციელებას ენერგიულად შეუდგა.

სამთავრო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ აფხაზეთს სოხუმის სამხედრო განყოფილება ეწოდა, რომელიც დაიყო ბზიფის, სოხუმისა და აბუზას „ოკრუგებად”, რომელშიც ამასთანავე შევიდა წებელდისა და სამურზაყანოს საბოქაულოები. სოხუმის განყოფილების (აფხაზეთის) უფროსად დაინიშნა აფხაზეთის ჯარების უფროსი, გენერალი პ. შატილოვი.

მეფის რუსეთის ხელმძღვანელობა თავიდანვე შეუდგა აფხაზეთში „სახელმწიფოებრივი წესრიგის“ დამყარებას, რაც გულისხმობდა კოლონიზატორული პოლიტიკის წარმართვის უზრუნველყოფას.

რუსეთის იმპერიის ხელმძღვანელობამ დაიწყო მოსამზადებელი ქმედებები ურჩ მთიელთა, მათ შორის აფხაზთა მშობლიური მიწა-ტყლიდან ორგანიზებულად გადასასახლებლად. 1864 წლის გაზაფხულზე შედგენილ იქნა მხარის (აფხაზეთის) კოლონიზაციის სპეციალური გეგმა, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ და ქ. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა, თავადმა დ. სვიატოპოლქ-მირსკიმ.

1864 წლის სექტემბერში შეიქმნა სპეციალური კომისია „აფხაზეთის მმართველობის დებულების“ შესამუშავებლად, ხოლო მომდევნო წელს გენერალ პონსეს მეთაურობით აფხაზეთში გაიგზავნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა თავად მიხეილ შარვაშიძის მამულების აღწერა და აფხაზეთის საერთო-ეკონომიკური მდგომარეობის გარკვევა საგლეხო რეფორმის გატარების წინ.

მეფის რუსეთმა მოახდინა ყოფილი მთავრისა და სამთავრო სახლის წევრთა ვრცელი სამფლობელოების კონფისკაცია. აფხაზეთში მრავალი „თავისუფალი მიწა“ გაჩნდა. ამ პერიოდში მეფის რუსეთმა აფხაზეთში დაახლოებით 35-ზე მეტი სოფელი დააარსა, რაც სავსებით საქმარისი უნდა ყოფილიყო მათ მიერ ამ რეგიონის სრული კოლონიზაციისათვის. რუს ჩინოვნიკებს სურდათ, რომ აფხაზეთი საკუთარ სამშობლოდ ექციათ.

ამრიგად, კავკასიის სარდლობის გეგმით, დასავლეთ კავკასიის მთიელები უნდა აეყარათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან და იქ ეთნიკური რუსები ჩაესახლებინათ. XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან კავკასიის რუსული ადმინისტრაცია შეუდგა აფხაზეთში რუსული მოქალაქეობის დამკვიდრებას. ამ მიზნის მისაღწევ მთავარ საშუალებად, ხელისუფლება მხარეში ეთნიკური რუსების მასობრივ ჩასახლებას მიიჩნევდა (სილაგაძე, გურული 2001: 325).

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მოქვის ტაძარში დაკრძალვის დღეს გაჩნდა აზრი, რომ აფხაზებს სამაგიერო გადაეხადათ რუსეთისთვის. აფხაზეთის საზოგადოება მოელაპარაკა გიორგი შარვაშიძეს - მიხეილ შერვაშიძის შვილს და მოუწოდა, სათავეში ჩადგომოდა ანტირუსულ მოძრაობას.

1865 წლის 15 იანვარს მიხეილ რომანოვმა დ. მილიუტინს შესთავაზა, რომ, რადგან მიხეილ შარვაშიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სუსტი იყო და ჩრდილოეთის კლიმატს ვერ გადაიტანდა, მის საცხოვრებლად განსაზღვრულიყო ხარკვი, ვორონეჟი ან სამხრეთ რუსეთის რომელიმე სხვა ქალაქი. ამასთან, იგი შეეხო მიხეილ შარვაშიძის ოურქეთთან კავშირის საკითხს, რაც შეუფერებლად

მიაჩნდა მისი წოდებისთვის, და წინადადება წამოაყენა ჩამოერთმიათ მისთვის იმპერატორის გენერალ-ადიუტანტის წოდება; აგრეთვე, ადმრა შუამდგომლობა მისთვის ჯამაგირის დანიშვნის თაობაზე.

შეფისნაცვლის აზრით, ყოფილი მთავარი არ უნდა შეეხდეთ ოჯახის წევრებისა და თანმხლებ პირთა შერჩევაში, რომელთაც ის თან წაიყვანდა; მითუმეტეს, როდესაც მას შესაბამისი ანაზღაურება დაენიშნებოდა, თანმხლებ პირებზე ხარჯები უკვე არა ხაზინის, არამედ მისი პირადი საქმე იქნებოდა. სულ მალე, 2 თებერვალს დ. მილიუტინმა მიხეილ რომანოვს აცნობა, რომ იმპერატორის ბრძანებით მიხეილ შარვაშიძის საცხოვრებლად ქ. ვორონეჟი განისაზღვრა. ვორონეჟის გუბერნატორს უნდა დაკისრებოდა თვალყურის დევნება მის გაუსვლელობასა და შემდგომ ქცევაზე; მიხეილ შარვაშიძეს და მისი ოჯახის წევრებს შესაბამისი ჯამაგირი ენიშნებოდათ.

სტავროპოლის ცივმა კლიმატმა მიხეილ შარვაშიძის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედა. იგი უფრო ცუდად გახდა და დამოუკიდებლად ოთახში გადაადგილებაც არ შეეძლო.

7 მარტს მან წერილი გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს და თავისი უკიდურესად მძიმე მდგომარეობა აუწყა. ის იმპერატორთან შუამდგომლობას ითხოვდა, რათა ნება დაერთოთ სამკურნალოდ გერმანიაში ან საფრანგეთში წასულიყო, ხოლო დაბრუნებულისთვის საცხოვრებლად განესაზღვრათ კავკასიის მხარე, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ვლადიკავკაზი ან პიატიგორსკი, სადაც კლიმატი უფრო ასატანი იქნებოდა როგორც მისთვის, ისე მისი შვილებისთვის, რომლებთანაც სურდა დარჩენილი დღეები გაეტარებინა. ყოფილი მთავარი მეფისნაცვალს სთხოვდა გაეთვალისწინებინა 60 წლის მოხუცის თხოვნა, მისი 42 წლის არცოუ უსარგებლო სამსახური და დიდი ხნის ავადმყოფობა.

მაგრამ მეფისნაცვალი ნაწყენი იყო თურქეთთან მისი ურთიერთობის გამო, და როგორც ა. კარცოვმა ყოფილ მთავარს აუწყა, დიდი მთავარი საზღვარგარეთ მისი გაშვების წინააღმდეგი იყო, მითუმეტეს, რომ უკვე იმპერატორის ბრძანებით მის საცხოვრებლად ვორონეჟი განისაზღვრა. ამის შემდეგ მას შუამდგომლობის თხოვნით ვორონეჟის გუბერნატორისთვის უნდა მიემართა.

მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ არ პკარგავდა აფხაზეთში დაბრუნების იმედს, მაგრამ ამაოდ. 1865 წლის 25 მაისს სტავროპოლიდან გავიდა კოლონა, რომელსაც

აფხაზეთის ყოფილი მთავარი ვორონეჟში უნდა ჩაეყვანა ნოვოროსიისკიდან როსტოვამდე გზად მიხეილ შარვაშიძე ცუდად გახდა.

23 ივლისს მან როსტოვიდან დეპეშით აუწყა დ. მილიუტინს თავისი მძიმე მდგომარეობა და იმპერატორთან შუამდგომლობა სთხოვა. ყოფილი მთავარი ითხოვდა სამხრეთ რუსეთის რომელიმე ქალაქში - როსტოვში, ტაგანროგში, თდესაში ან ნოვოჩერკასკში დაეტოვებინათ, რადგან ცენტრალური რუსეთის მკაცრი კლიმატი მასზე და მის სამ არასრულწლოვან შვილზე ცუდად იმოქმედებდა. მიხეილ შარვაშიძე დარწმუნებული იყო, რომ მთავრობისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა სად იცხოვრებდა ის, ვორონეჟში თუ სამხრეთ რუსეთის რომელიმე ამ ქალაქში, ამიტომ ჩათვალა, რომ მის თხოვნას დაკმაყოფილებდნენ და როსტოვში ჩამოაყვანინა ბავშვები - არზაყანი (მიხეილი) და ნინო, ელოდა უმცროს ასულსაც - ბარბარეს. 25 ივლისს დ. მილიუტინმა მიხეილ შარვაშიძეს აცნობა, რომ მისი თხოვნა გააცნო ალექსანდრე II-ს, მაგრამ ამ უკანასკნელმა განკარგულების უსიტყვოდ შესრულება ბრძანა. ამდენად, ყოფილ მთავარს უკანასკნელი იმედიც გადაეწურა.

1865 წლის 29 ივლისს როსტოვიდან გავიდა კოლონა, რომელმაც მიხეილ შარვაშიძე 17 აგვისტოს ვორონეჟში ჩაიყვანა. მიიწურა ზაფხული, გაილია სექტემბერ-ოქტომბრის შედარებით თბილი დღეები და ნოემბრიდან უკვე საკმაოდ აცივდა. შესაბამისად, მიხეილ შარვაშიძის მდგომარეობაც დამძიმდა.

ბავშვები ვერ იტანდნენ რუსეთის მკაცრ კლიმატს და 30 გრადუსიან ყინვაში მუდმივად ავადმყოფობდნენ, რის გამოც მოხუცი, ავადმყოფი მთავრის ტანჯვა კიდევ უფრო იზრდებოდა. 23 დეკემბერს მიხეილ შარვაშიძემ წერილი გაუგზავნა მეფისნაცვალს, აუწყა მისი და შვილების მძიმე მდგომარეობა, და სთხოვა უფროსი შვილის გიორგის შვებულებით დათხოვნა სამსახურიდან ერთი წლით, რათა მამასთან ჩასულიყო; მოხუცს სასიამოვნოდ დარჩებოდა, რომ გიორგი სიკვდილის წინ მის გვერდით იყო.

1866 წლის ივლის-აგვისტოში მოხდა აფხაზთა აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ და აჯანყებულებმა მთავრად გიორგი შერვაშიძე გამოაცხადეს. რუსეთმა აჯანყება სასტიკად ჩაახშო.

აჯანყება დაიწყო 1866 წლის 26 ივლისს სოფ. ლიხნში და მალე თითქმის მთელი აფხაზეთი მოიცვა, რითაც საგრძნობლად შეაშფოთა კავკასიის რუსული ადმინისტრაცია (Дзидзария 1955).

აჯანყების ხელმძღვანელების ნაწილი ჩამოახრჩვეს, ნაწილი გადაასახლეს, აფხაზთა მთავრის შთამომავლებს კი აფხაზეთში ჩასვლაც აუკრძალეს. სწორედ ამ აჯანყებას მოჰყვა აფხაზთა ოსმალეთის იმპერიაში გადასახლების პირველი ტალღა – კ. წ. მუკაჯირობა.

1867 წლის 13 თებერვალს მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი ალექსანდრე II-ს წერდა, რომ კავკასიის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ძალით არ განდევნოს აფხაზები თურქეთში, მაგრამ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მათ გადასახლებას. ამასთან, ხელისუფლებას გადაწყვეტილი პქონდა პირველ რიგში გაესახლებინა წებელდა-დალის მუსლიმანი მოსახლეობა ამ მხარის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო. ხელისუფლება ითვალისწინებდა, რომ ამ თემების მოსახლეობა ცხოვრობდა მთის ძნელად მისადგომ ადგილებში და კავკასიონის ქედის უღელტეხილებით კავშირი პქონდა ყარაჩაელებთან და ყაბარდოელებთან. ამასთან, ხელისუფლება მათ რეფორმის წინააღმდეგ გამოსვლაშიც სდებდა ბრალს და მისი სურვილი იყო პირველ რიგში იმ ხალხის გადასახლება, რომელიც მეტნაკლებად დაკავშირებული იყო აჯანყებასთან.

1867 წლის აპრილ-ივნისში, რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელდა აფხაზთა იძულებითი აყრა და გადასახლება აფხაზეთიდან. მხოლოდ კოდორის ხეობიდან 15 000 აფხაზი გაასახლეს და საბოლოოდ ეს ხეობა აფხაზებისგან მთლიანად დაიცალა. აფხაზთა გადასახლება ძირითადად ძალდატანებით ხასიათს ატარებდა (პაპასქირი 2007: 48).

აფხაზთა თურქეთში გადასახლება რამდენიმე ეტაპად მოხდა. როგორც ირკვევა, აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლება თურქეთში 1867 წელს მოხდა. მაშინ სამშობლო დაახლ. 20 ათასმა აფხაზმა დატოვა. აფხაზთა მასობრივი გადასახლების მეორე ტალღა 1877 წელს იყო, როცა თურქეთში დაახლ. 30 ათასი აფხაზი გადასახლდა (გასვიანი: 1998).

რუსეთის მიერ კავკასიის ავტოქტონური მოსახლეობის განდევნის და რუსული კოლონიზაციის პროცესი აქტიურად დაიწყო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. მიუხედავად იმისა, რომ „კავკასიური ომების დამთავრება ზარ-ზეიმით გამოცხადდა, ფაქტობრივად, ფარულად, მეტი სიძლიერით გრძელდებოდა და სამხედრო დევნაშიც გადადიოდა.

საშინელი იყო თავად გასახლების პროცესი. ხალხმა ძალადობას აჯანყებით უპასუხა, რომელიც რუსთა ჯარებმა ჩაახშვეს. თუმცა თურქთა დესანტის შიშით

უკან დაიხიეს და მიტოვებული სოფლების მოსახლეობას ახლა თურქები შეესივნენ. მერე ისევ რუსები დაბრუნდნენ.

ოსმალები წასვლისას აწიოკებდნენ მოსახლეობას, წვავდნენ სახლებს, ხელფეხშებორგილ ხალხს გემებზე მიერეპებოდნენ. ვინც ოდნავ წინააღმდეგობას გაუწევდა, კლავდნენ და უპატრონოდ ნაპირზე აგდებდნენ. რუსებიც და თურქებიც ლიკვიდაციის გზით თავიდან იცილებდნენ „უსარგებლო ტვირთს“, მათ შორის ბავშვებს და ქალებს, რომლებიც ჰარამხანისთვის არ გამოდგებოდნენ.

რუსი ისტორიკოსები და გ. წ. რუსეთის დემორატიული საზოგადოებაც კავკასიელ მთიელებს, მათ შორის აფხაზებსაც „შინაურ მტრებს“ ეძახდა, იწონებდა მათ გადასახლებას და მეფის რუსეთის ინტერესებისათვის მიზანშეწონილად მიაჩნდა შავიზღვისპირეთის, ყუბანისა და თერგის განთავისუფლებულ მიწებზე რუსების დასახლება. გადასახლებულები მოღალატებად გამოცხადდნენ და სამშობლოში დაბრუნება აეკრძალათ. მზადდებოდა გეგმა დარჩენილთა გასაძევებლადაც. ტერმინი „აფხაზეთი“ ხმარებიდან ამოიღეს და რეგიონს „სოხუმის ოლქი“ უწოდეს. აქ დარჩენილ აფხაზებს კი „დროებით მცხოვრების“ სტატუსი მისცეს.

გადასახლებულები მაინც ცდილობდნენ უკან დაბრუნებას. მით უფრო, რომ ოსმალეთში მათ სრულებითაც არ შეხვდნენ ისე, როგორც პპირდებოდნენ. პირიქით, უფრო დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ. მასობრივად ტოვებდნენ ჩასახლების ადგილებს და სხვაგან, უპირველესად კი საქართველოსკენ მოეშურებოდნენ. რუსეთის ხელისუფლება კვლავ დევნიდა მათ.

შხოლოდ ერთული ოჯახები ახერხებდნენ ნაპირზე გადმოსვლას და თავის შეფარებას. ასე მოხვდა აფხაზ მუჭაჯირთა ნაწილი ბათუმის სანაპიროზე. ისინი დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის (6 მაისის სახ. პარკი) ტერიტორიაზე დასახლდნენ დროებით და ბათუმის გენერალ-გუბერნატორს აფხაზეთში გაშვებას თხოვდნენ.

მუჭაჯირებად ქცეულ აფხაზებს და კავკასიის სხვა მთიელებს ასე დაატარებდნენ წინ და უკან რუსეთის და ოსმალეთის ხელისუფალნი. ნაპირთან მომდგარ ლტოლვილებს თოფ-ზარბაზნების სროლით აბრუნებდნენ უკან. ცნობილია, რომ ბათუმის გენერალ-გუბერნატორმა სმეკალოვმა ნაპირთან არ მოუშვა თურქეთიდან ლტოლვილი მუჭაჯირი აფხაზებით დატვირთული გემები.

ისინი რამდენიმე კვირა მშიერ-მწყურვალი ხეტიალობდნენ ზღვაზე და რა თქმა უნდა, ბევრი დაიღუპა და ზღვაში ჰპოვა საუკუნო განსახვენებელი.

1867 წ. აგვისტო-სექტემბერში სოხუმის ოლქის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვ. გეიმანმა შემოიარა მისდამი რწმუნებული მხარე. 26-28 სექტემბერს ის იყო წებელსა და დალში. მხარე თითქმის მთლიანად იყო „გაწმენდილი“ ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ვ. გეიმანმა ნება დართო მიხეილ მარშანს 17 ოჯახთან ერთად, რომლებმაც კოდორის ადიდების გამო ვერ მოახერხეს ოსმალეთში წასვლა, აქ გაზაფხულამდე დარჩენილიყვნენ (Анчабадзе 1976: 96).

მუპაჯირობაში ქართველებს რომ ბრალი არ მიუძღვით, იქიდანაც ჩანს, რომ ამ პერიოდში, აფხაზებთან ერთად, რუსეთის მთავრობამ უამრავი ქართველიც გადაასახლა. ეს დადასტურებულია ისტორიული წყაროებითაც. არსებობს გადასახლებულთა სიები, სადაც უამრავ ქართულ გვარს ნახავთ. ამ სიაში ასევე არიან გააფხაზებული ქართველებიც.

ქართველი მოღვაწეები ერთმნიშვნელოვნად ადანაშაულებდნენ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებულ ამ უდიდეს ტრაგედიაში. ილია ჭავჭავაძის თქმით, ხალხი ამგვარ ნაბიჯს დგამს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აყენებენ გამოუვალ მდგომარეობაში და ფაქტობრივად ერთადერთ არჩევანს უტოვებენ: ან სიკვდილი საკუთარ ქვეყანაში, ან კიდევ სიცოცხლე უცხოეთში (პაპასქირი 2003: 204).

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და აფხაზთა 1867 წლის მუპაჯირობის შემდეგ ცარიზმა ვრცელი ტერიტორია მიიღო საკოლონიზაციოდ.

აფხაზეთის კოლონიზაცია რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა. ამიტომ ცარიზმი ამ ამოცანის რეალიზაციისათვის ზრუნვას ენერგიულად შეუდგა. მაგრამ ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფლების საფიქრალს წარმოადგენდა არა მარტო აფხაზეთის, არამედ შავი ზღვის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაცია. კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ (1864 წ. მაისი) რამდენიმე წლის განმავლობაში ეს მხარე სრულიად დაცარიელებული იყო (Верещагин 1874: 66).

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზთა ერთმა ნაწილმა აფხაზეთში რუსული მმართველობის დამყარების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა მშობლიური მხარე და ოსმალეთში გადაიხვეწა, მათი საცხოვრებელი ადგილები

მართლაც დაიგავეს სხვა ერების წარმომადგენლებმა: რუსებმა, სომხებმა, ბერძნებმა და, რასაკვირველია, ქართველებმა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან).

ამასთან, ცნობილია ისიც, რომ კავკასიის რუსული ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობდა, არ დაეშვა ქართველთა მასობრივი დასახლება აფხაზეთში და ხელი შეეშალა მხარის ქართულ ეთნო-კულტურულ სივრცეში მოქცევისათვის. ხელისუფლებამ ვრცელი მიწა-წყალი უბობა რუს ჩინოვნიკებს – სამხედრო და სამოქალაქო პირებს, მაგრამ მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდა სამსახურის პარალელურად მეურნეობის გაძლოლა, მიწების იჯარით გადაცემის შესაძლებლობაც არ ჰქონდათ, რადგან მსურველები არ ჩანდნენ. ამის გამო მიწების დიდი ნაწილი გამოუყენებელი იყო (Олонецкий 1934: 78). 1872 წლიდან აფხაზეთში განხორციელდა ე. წ. „საკურორტო კოლონიზაცია“. ერთიდან სამ დესეტინამდე მიწა, ე. წ. „სანიტარული ნაკვეთები“ ქ. სოხუმსა და მის შემოგარენში შედავათიანი პირობებით ეძლეოდათ რუს ჩინოვნიკებს და ოფიცრებს.

რუსეთის ხელისუფლება დიდი მონდომებით ახორციელებდა აფხაზეთის მხოლოდ რუსებით კოლონიზაციის პოლიტიკას. რუსებს აძლევდნენ მიწის დიდ „ნადელებს“ – ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები აფხაზი ისტორიკოსის ს. ლაკობას მონაცემებით კომლზე 5-დან 30 დესეტინამდე.

1877 წლის აპრილში რუსეთ-თურქეთის ახალი ომი დაიწყო, რომლის ასპარეზი კავკასიაც გახდა. ომის დასაწყისიდანვე მეტად რთული ვითარება შეიქმნა აფხაზეთში. მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ ამ დროისათვის კულტინაციას მიაღწია და აჯანყებამ იფეოქა (ჯალაღანია 2007: 55).

ასეთ რთულ და დაძაბულ ვითარებაში 1877 წლის 29 აპრილს გუდაუთასთან თურქეთის დესანტი გადმოსხდა, რომელიც ძირითადად აფხაზი მუჭაჯირებისაგან შედგებოდა. აპრილ-მაისში თურქებმა თითქმის მოელი აფხაზეთი დაიკავეს. იმავდროულად, აჯანყებული აფხაზები თურქთა დესანტს შეუერთდნენ.

ისტორიოგრაფიაში საქმაოდ ამომწურავადაა გაშუქებული აფხაზთა 1877 წლის აჯანყების პერიპეტიები. XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსები მთლიანად მოქცეულნი იყვნენ ოფიციალური კონიუნქტურის გავლენის ქვეშ და 1877 წლის აჯანყებას განიხილავდნენ როგორც აფხაზთა მორიგ დალატს იმპერიის წინაშე. სრულიად განსხვავებულ შეფასებას აძლევდნენ აფხაზთა ამბოხს XIX საუკუნის II

ნახევრის ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში ცალსახად რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ. ყველაზე გამოკვეთილად ეს ტენდენცია შეიმჩნევა ცნობილი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი წერეთლის მიერ გაზეთ „გოლოს“-ში (15 აგვისტო, 1877 წელი) გამოქვეყნებულ სტატიაში. მისი მტკიცებით, აფხაზებს არ შეეძლოთ არ აჯანყებულიყვნენ, ვინაიდან მათ წაართვეს საუკეთესო მიწები (Дзидзария 1982: 134).

1877 წლის ივლისიდან, როდესაც რუსეთის სარდლობამ გაატარა დამატებითი ღონისძიებები „აფხაზეთის ფრონტის“ გასამაგრებლად, ძალთა თანაფარდობა ძირეულად შეიცვალა. რუსეთის ნაწილების მთავარ დამრტყმელ ძალად იქცა ე.წ. „ენგურის რაზმი“, რომელსაც გენერალ-მაიორი ალხაზოვი (იაკობ ქაიხოსროს ძე ალხაზიშვილი) სარდლობდა.

აღნიშნულმა რაზმმა აჯანყებულებს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შეუტია. სოჭის მხრიდან აფხაზეთში შემოვიდა პოლკოვნიკ შელკოვნიკოვის შენაერთი, მარჯვის უდელტებილიდან კი გენერალ-მაიორ ბაბიჩის რაზმი.

1877 წლის 10 აგვისტოს რუსებმა აიღეს ლიხნი და გუდაუთა, 20 აგვისტოს კი გენ. ალხაზოვმა სოხუმი დაიკავა.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში აფხაზთა 1877 წლის აჯანყება ასევე მიჩნეულია „რუსეთის წინააღმდეგ აფხაზი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლად“ (Мегрелиძე 1972: 159).

1877 წლის აჯანყება იყო აფხაზთა ფართომასშტაბიანი გამოსვლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და ბუნებრივია, ის არ შეიძლებოდა დარჩენილიყო დაუსჯელი. რუსეთის ხელისუფლება შეუდგა აჯანყების მონაწილეთა გასახლებას იმპერიის სხვადასხვა რეგიონებში. მაგრამ დაპატიმრებები არ იყო რუსული ადმინისტრაციის თვითმიზანი. ხელისუფლება უდავოდ აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ აჯანყების ხელმძღვანელებს ნებაყოფლობით დაეტოვებინა აფხაზეთი.

ამრიგად, 1877 წლის აჯანყება მრავალტანჯული აფხაზი ხალხის მორიგ დიდ ტრაგედიად იქცა. ამის შედეგად აფხაზური მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტმა დატოვა მშობლიური კუთხე და უცხოეთში გადაიხვეშა.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზი ხალხის ამ უდიდეს ტრაგედიაში გარკვეული წვლილი ნამდვილად „აფხაზთა წინააღმდეგობის“ მაშინდელ ლიდერებსაც მიუძღვით, სრულიად უდავოა, რომ მისი მთავარი ავტორი და შემოქმედი მაინც რუსეთის იმპერიის ხელისუფლება იყო.

1877 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ნაკლებად ცდილობდა გამოეჩინა მზრუნველობა აფხაზ ხალხზე და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ამჯერად საბოლოოდ მოეცილებინა თავიდან ურჩი აფხაზობა.

1878 წლის გაზაფხულიდან ხელისუფლება აფხაზეთის კოლონიზაციისათვის პრაქტიკული დონისძიებების განხორციელებას შეუდგა. 1878 წლის 1 მაისს ბიჭვინთის ოლქის მმართველობამ გამოაქვეყნა განცხადება სოფ. ანუხვის ვენახებისა და ხეხილის ბადების ერთი წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ. ბიჭვინთის ოლქში სამი ნაკვეთი გამოიყო რუსი კოლონისტებისათვის სამუდამო მფლობელობაში გადასაცემად.

აფხაზეთის რუსიფიკაციის გზაზე მმართველ ხელისუფლებას ხელს მხოლოდ მკვიდრი ქართული მოსახლეობა უშლიდა. ეს იყო დრო, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის ფონზე ქართველთა საერთო ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა, რაც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს.

1877-1878 წლების ომის შემდეგ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება შეუდგა მუპაჯირობაში წასულ აფხაზთა მიწებზე რუსი კოლონისტების ჩასახლებას. ეს იყო იმპერიის დიდი გეგმის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა მხარეში ე. წ. „რუსული მოქალაქეობის“ დამკვიდრებას (სილაგაძე, გურული 2001: 309).

კავკასიის რუსული ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა ქართული კუთხეების ერთიან ეროვნულ ორგანიზმად ჩამოყალიბება. ამიტომაც მეფის რუსეთის შეუდგა ცნობილი იმპერიული ფორმულის „დაყავი და იბატონეს“-ს საქართველოში განხორციელებას.

აღნიშნული მიმართულებით აქტიური პროპაგანდა ჩატარდა მეგრელთა „ეროვნული“ თვითშეგნების გამოსაღვიძებლად. მეგრულ მოსახლეობას უნერგავდნენ აზრს, რომ თითქოს ისინი ქართველები არ არიან. სწორედ ამ მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილი იყო ე.წ. „სამურზაყანოელთა“ გამოცხადება არაქართველებად და მათი აფხაზი ეთნოსისადმი მიკუთვნების მცდელობა.

უკელა საფუძველი გაგვაჩნია ვამტკიცოთ, რომ როგორც ეთნო-კულტურულად, ისე პოლიტიკური განწყობილების თვალსაზრისით, სამურზაყანო დანარჩენი აფხაზეთისაგან სრულიად გამორჩეული მხარე იყო (Лакоба 1990: 8).

1879 წელს ბიჭვინთის ოლქში რუსი გლეხების 137 ოჯახი ჩასახდეს, მაგრამ უკვე 1881 წელს მათგან მხოლოდ 99 ოჯახი იყო დარჩენილი. აქ ვერც გერმანელი კოლონისტები დამკვიდრდნენ. 24 გერმანელი კოლონისტის ოჯახიდან 1883 წლისთვის აფხაზეთში მხოლოდ 3 ოჯახი იყო დარჩენილი (ჭუმბურიძე 2010: 58).

ამდენად, 60-70-იან წლებში კოლონიზაციის წარმატებები აფხაზეთში უმნიშვნელო იყო. მიუხედავად ცარიზმის დიდი მონდომებისა, აფხაზეთის კოლონიზაცია გაჭიანურდა. რუსები ვერ ეგუბოდნენ აფხაზეთის ბუნებრივ პირობებს (ნოტიო ჰავა, ტყიანი და მთიანი ქვეყანა, ჭაობიანი სანაპირო ზოლი), პური არ მოდიოდა, მარცვლეული კულტურებიდან მოდიოდა სიმინდი, რასაც რუსები მიუჩვეველნი იყვნენ. სანაპირო ზოლში ციებიანი ჰავა მუსრს ავლებდა კოლონისტებს; წებელდისა და დალის მაღალმთიანი პირობები შეუჩვეველი იყო რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული გლეხებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მიწები რუს ჩინოვნიკებს დაურიგეს, ქვეყანა კვლავ დაუსახლებელი იყო, მიწები კი უპატრონოდ მიგდებული. წებელდაში მიწებს 24, ხოლო დალში 23 მემამულე ფლობდა. ისინი რამდენიმე წელიწადში ერთხელ თუ აკითხავდნენ თავიანთ მამულებს (Рыбинский 2004: 10).

ამდენად, წებელდა და დალი შეიძლებოდა გამხდარიყო აყვავებული მხარე – შესანიშნავი ვენახებითა და ხეხილის ბაღებით, სამთამადნო წარმოებით, ოდონდ ამისათვის საჭირო იყო კიდევ ერთი და მთავარი პირობა – გზების გაყვანა. წებელდისა და დალის მაღალმთიან პირობებთან შეჩვევა რთული იყო მეფის რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული გლეხებისთვის.

6. დიახოვ-ტარასოვის აზრით, მხარის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, აქ უნდა განევითარებინათ მებაღეობა, მეხილეობა, მეღვინეობა, მეფუტკრეობა, მესაქონლეობა; რადგან პურის მოყვანა აქ არ იქნებოდა მიზანშეწონილი, უნდა გაეშენებინათ სიმინდი (Дьячков-Тарасов 1868).

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მიწები რუს ჩინოვნიკებს დაურიგეს, აფხაზეთის ტერიტორია კვლავ დაუსახლებელი იყო, მიწები კი უპატრონოდ მიგდებული. დალში, სადაც 1867 წლის მუჭაჯირობამდე 5 ათასამდე მცხოვრები

იყო, XIX საუკუნის მიწურულსაც კი არავინ ცხოვრობდა. ქართველი მოღვაწე პეტრე ჭარაია დალის ხეობის შესახებ გულისტკივილით წერდა: „დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც დალი გაჭედილი იყო აფხაზებით. ძველად იქაურ მცხოვრებთა ვაჟაცობით განთქმული ქვეყანა დღეს გავერანებულია ისე, რომ შიგ არავინ ცხოვრობს” (ხორავა 2011: 268).

რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878 წ.წ.) შემდეგ, იმპერატორის 1880 წლის 31 მაისის რესკრიპტით აფხაზები „დამნაშავე მოსახლეობად“ გამოაცხადეს. მათ აეკრძალათ ქ. სოხუმიდან 20 კმ-ზე და სანაპირო ზოლში – მდ. კოდორსა და მდ. ფსირცხას შორის დასახლება.

აფხაზთა მუპაჯირობის შემდეგ, როდესაც აფხაზეთის დიდი ნაწილი გაუქაცერდა და გავერანდა, ხოლო რუსები და უცხოელები ხალისით სულაც არ მოდიოდნენ აქ დასასახლებლად, დასავლეთ საქართველოდან – იმერეთიდან და სამეგრელოდან მიწის სიმცირითა და სიმწირით შევიწროებული გლეხობა გადმოდიოდა და მკვიდრდებოდა აფხაზეთში, აშრობდა ჭაობებს, კაფავდა ბუჩქნარებს და მეურნეობას მისდევდა.

მას შემდეგ, რაც კლიმატური პირობებისა თუ სხვა მიზეზების გამო აფხაზეთის კოლონიზაცია გაჭიანურდა, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებულმა მოძრაობამ იმპერიისათვის საშიში გაქანება და მიმართულება მიიღო, ცარიზმი პოზიციების განმტკიცებას აფხაზეთში სხვა გზებით შეეცადა. ხელისუფლების პოლიტიკა აფხაზების მიმართ, დაახლ. 80-90-იანი წლებიდან შედარებით ლმობიერი გახდა.

ქართველებსა და აფხაზებს შორის რუსეთი ნერგავდა შუდლს, რაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. ამიტომ იყო, რომ მეფის რუსეთს განსაკუთრებული მართვის რეჟიმი და ურთიერთობები პქონდა აღნიშნულ რეგიონში, იყენებდა ყველა პოლიტიკურ ბერკეტს, რადგან თავისი ზეგავლენა დაემკვიდრებინა და მაქსიმალურად შეემცირებინა ქართული გავლენა აფხაზეთში.

მეფის რუსეთი თავიდანვე აქტიურად შეუდგა ზრუნვას აფხაზეთში რუსული ორიენტაციის ინტელიგენციის ჩამოყალიბებისათვის. აფხაზთა შორის ხელოვნურად ნერგავდნენ ანტიქართულ განწყობას. დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველ-აფხაზთა კულტურულ-ისტორიულ ერთობას და ამ ერთობის საფუძველს – ქართულ ენას.

აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიებში დათისმსახურების საეკლესიო-სლავურზე გადაყვანა და რუსული ანბანის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შემოღება. იმთავითვე ცხადი იყო, რომ რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი აფხაზური დამწერლობის შემოღება პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა.

რუსეთის ხელისუფლება გამიზნულად ცდილობდა ქართული სამყაროსაგან აფხაზეთისა და აფხაზების ჩამოშორებას. XIX-XX საუკუნების ქართველი მოდგაწები: იაკობ გოგებაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), ამბროსი (ხელაია) და სხვები ამბობდნენ, რომ აფხაზი ესაა დამოუკიდებელი ეთნიკური ჯგუფი და აქედან გამომდინარე, მათ სრული უფლება ჰქონდათ, თავიანთი დამწერლობა ჰქონდათ.

ქართველი საზოგადო მოღვაწები ყველანაირად ცდილობდნენ, დახმარებოდნენ აფხაზებს. მაგალითად, დამწერლობის შექმნაში და შემდგომში მათი კულტურის წინსვლასა და განვითარებაში.

რუსეთის ხელისუფლებამ ეს კულტურული პროცესი თავის სასარგებლოდ გამოიყენა. საბოლოოდ, აფხაზური დამწერლობა შექმნა რუსმა გენერალმა და ლინგვისტმა პეტრე უსლარმა. თუმცა, რუსეთის ხელისუფლების დავალებით, ანბანის შექმნა ემსახურებოდა არა აფხაზური კულტურის განვითარებას, არამედ აფხაზების ქართული სამყაროდან სრულ ჩამოშორებას.

XIX საუკუნის 80-იან წლებში მეფის რუსეთმა კავკასიაში მეფისნაცვლობა გააუქმა და მთავარმართებლობა აღადგინა. მთავარმართებლის თანამდებობაზე რეაქციონერი ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი (1882-1890 წ.წ.) დაინიშნა. მას გვერდში ედგნენ შოვინისტები – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი (1878-1901 წ.წ.) კირილე იანოვსკი, ეგზარქოსი პავლე (1882-1887 წ.წ.) და სხვა. მეფის რუსეთმა უპირველეს ყოვლისა ეროვნულ ენებსა და კულტურას შეუტია, გააქტიურდა კოლონიზაციის პროცესი.

1892 წელს ექსპედიციამ მეფის რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრის ალექსანდრე ერმოლოვის მეთაურობით მოიარა სოხუმის ოლქი (აფხაზეთი). ექსპედიციის წევრებს სოხუმში ოლქის უფროსმა, პოლკოვნიკმა ვ. ბრაკერმა სადილი გაუმართა, სადაც სიტყვით გამოვიდა ექსპედიციის წევრი ს. შარაპოვი, რომელმაც გულახდილად ისაუბრა მეფის რუსეთის ზრახვებზე აფხაზეთში. კერძოდ, მან აღნიშნა: „მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული

ბრძოლისას, მიისწრაფვის რა სამხრეთისაკენ, თბილი ცისა და თბილი ზღვისაკენ, რუსი ხალხი იღებს მსხვერპლს და აი, ბოლოს მას აქვს ეს ცაც და ეს ზღვაც. აქ ფრიალებს რუსული დროშა, დალივლივებს რუსული არწივი. მაგრამ რატომაა, რომ რუსი კაცი აქ ლალად ვერ გრძნობს თავს, რატომაა რომ ის აქ შევიწროებულია, სულშეხუთულია? რატომაა უცხო ის ამ თბილ ნაპირზე, ამ კაშკაშა მზის ქვეშ? ვფიქრობ იმიტომ, რომ რუსული სიკეთის წყალობით აქ, ამ მიწაზე, რომელიც რუსული სისხლითაა მოპოვებული, მოკალათდა ყოველგვარი უცხოტომელი, განსახლდა საუკეთესო ადგილებზე და არა მარტო ავიწროებს რუს ადამიანს, არამედ დასცინის მას. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანები მოითხოვენ, რომ ეს მხარე არა მხოლოდ სახელით, არამედ მართლაც იქცეს მალე რუსულ მხარედ, რომ აქ მხარდაჭერილი, გაძლიერებული და დაიმედებული იყოს რუსი კაცი. ვისურვოთ ბატონებო, რომ ეს მოხდეს ჩქარა, რომ მძლავრ რუსულ მუცელში მალე მოიხარშოს მთელი აქაური სხვადასხვატობრივი და სხვადასხვაერთოვანი ნარევი და რომ ეს ცა და ეს ზღვა ნამდვილად რუსული იყოს” (ხორავა 2011: 59).

1896 წ. კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა უკიდურესი რეაქციონერი გრიგორ გოლიცინი (1896-1905 წ.წ.), რომელიც განსაკუთრებული ენერგიით შეუდგა აფხაზეთის რუსიფიკაციას.

სანამ შევუდგებოდეთ მოვლენათა ანალიზს, ვფიქრობთ, უპრიანია ჯერ შევეხოთ თავად რუსთა დიდპყრობლურ ბუნებას და გავერკვეთ იმაში თუ როგორ არის მასთან დაკავშირებული საზოგადოდ რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული იდეოლოგია და ტაქტიკა.

რუსული კოლონიზაციის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო ქვეყნის საზღვრების გაფართოება მეზობელი ტერიტორიების დაპყრობის ხარჯზე. შედეგად, რუსული მოსახლეობის ცნობიერებაში ეს მიწები უკვე რუსულ მიწებად იწოდებოდნენ და წარმოადგენდნენ რუსეთისავე ერთგვარ „გაგრძელებას” ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მათ სწამდათ, რომ რუსეთის სახელმწიფოს საზღვარი გადის იქ, სადაც გადის რუსის ჯარის წინა ხაზი. ამგვარი გაგება რუსთა სამეფოს საზღვრისა ნათლად ჩანს მაგ. ა. ს. პუშკინთან.

რუსის გაგებით, მხარე, სადაც ცხოვრობენ რუსები, სადაც ვრცელდება რუსული მმართველობა – უკვე რუსეთია; როგორც წესი, რუსი მოახალშენები ადგილობრივ მკვიდრთა ახლომახლო სახლდებოდნენ, ადვილად პოულობდნენ

მათთან საერთოს და სულაც არ გრძნობდნენ თავს განსაკუთრებულ – პრივილეგირებულ მდგომარეობაში.

ისინი ხალისით სწავლობდნენ ადგილობრივთაგან ახალ, მათთვის უცნობ გარემო პირობებში მეურნეობის წარმართვას, იჯარით იღებდნენ მათგან მიწებს, მალე ითვისებდნენ ადგილობრივ სასაუბრო ენას.

რუსი კოლონიზატორები თავს მხოლოდ იქ გრძნობდნენ უხერხულად, სადაც თვითმყოფადი განვითარებული კულტურისა და ეროვნული ცნობიერების მქონე მოსახლეობას შეეჩებოდნენ. ასე მოხდა მაგალითად ამურისპირეთში, სადაც ადგილობრივი ჩინელები ჩასულ რუსთაგან იზოლირებულად ცხოვრობდნენ და თითქმის არანაირ კონტაქტში არ შედიოდნენ მოახალშენე კოლონიზატორებთან.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო კოლონიზატორული პოლიტიკა სრულად შეესაბამებოდა რუსი მოსახლეობის ცნობიერებას. იგი ძირითადში მიმართული იყო შემოერთებულ მხარეებში იმპერიული მმართველობის განმტკიცებისაკენ, რაც უპირველეს ყოვლისა, იქ რუსი „მუშკების“ განსახლებით იყო შესაძლებელი.

ამ მიზნით, რუსეთის ხელისუფლების მიერ იქმნებოდა გამაგრებულ პუნქტა რიგები – ე. წ. „ლინიები“, რომლებიც გამოიყენებოდა ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი, თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხების წინააღმდეგ. ამასთანავე, ისინი ასრულებდნენ მხარის ადმინისტრაციული და ფისკალური მმართველობის ცენტრის ფუნქციებსაც.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში – „საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში“ აღნიშნავს, რომ პეტერბურგი საიდუმლო ინსტრუქციებს აძლევდა თავის აგენტებს, რათა შეესწავლათ და გამოერკვიათ კავკასიის ავტონომიური მმართველების სამხედრო მდგომარეობა, ძლიერი და სუსტი მხარეები, არ დარიდებოდნენ მოსყიდვას, მოქროამვას, დასმენას, შედლის ჩამოგდებას, რომ მოქმედებინათ ნიადაგი ანექსიისათვის.

იგი აქვე განაგრძობს, რომ მეფის რუსეთის დაზვერვა და დიპლომატია სულ იმის ცდაში იყო, რომ შეექმნა აქ დასაყრდენი ძალები თავისი ანექსიური ზრახვების განსახორციელებლად.

ამგვარი პუნქტების ურთიერთობან და ცენტროან დასაკავშირებლად საგანგებოდ ეწყობოდა გამაგრებული სამხედრო სოფლები – „იამსკიე პოსელენია“. მსგავსი სახის დასახლებების მომსახურე (სამხედრო) მცხოვრებთა

მოსამარაგებლად კი იმპერიის ხელისუფლება საგანგებოდ უწყობდა ხელს ე. წ. „თავისუფალ მხევნელ-მთესველთა” სოფლების შექმნას.

ადსანიშნავია ისიც, რომ ამგვარ „სოფელთა” მოსახლეობა ძირითადად დამნაშავეთაგან, გასამართლებულთაგან და გასახლებულთაგან შედგებოდა. ამ პირებს აქ, ახალ სამოსახლოებზე, მიუხედავად ნასამართლობისა, სახელმწიფო საგანგებოდ უწყობდა ხელს – მათ უწევდნენ შედაგათებს მიწათსარგებლობაში, ათავისუფლებდნენ გადასახადებისაგან და სხვა.

სახელისუფლო, სამთავრობო კოლონიზაციის პარალელურად მიმდინარეობდა „თავისუფალი კოლონიზაციაც”. მათი ერთობლიობა განამტკიცებდა რუსეთის იმპერიის საერთო კოლონიზატორულ პოლიტიკას.

კოლონიურ ადმინისტრაციას სრულიადაც არ ადარდებდა ადგილობრივი მოსახლეობის თავისებური საჭიროებანი და თვითმყოფადი ხასიათი. როგორც ცნობილია რუსები კავკასიის მოსახლეობას „ტუზემცებს“ უწოდებდნენ. მათი აზრით „ტუზემცი“ იყო ბუნების მიერ შეცდომით გაჩენილი ბიოლოგიური არსება, რომელსაც არც წარსული ჰქონდა, არც აწმყო და, ბუნებრივია, რომ არც მომავალი ექნებოდა (ჯალაღანია 2007: 14).

ჯერ კიდევ გენერალ ა. ს. ერმოლოვის დროს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეიქმნა 30-მდე ე. წ. „შტაბ-ბინა” – სამხედრო დასახლება, რომელთაც თავის მხრივ სათავე უნდა დაედოთ მხარეში რუსული კოლონიზაციისათვის; მაგრამ მიუხედავად ამისა ამას არ მოჰყოლია „კოლონიზაციის ტალღა”, რამდენადაც პოტენციურ კოლონისტებს აშინებდათ ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე კავკასიური ომები.

მთავრობა, მართალია აქ „დასჯის” სახით ასახლებდა სექტანტებს (მალაკნებს, დუხობორებს, სკოპცებს, სტაროვერებს), რაც თავისთვად კავკასიაში რუსული მოსახლეობის მომძლავრებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ეს მათ საქმეს მაინც ვერ შველოდა – XIX ს-ის ბოლოს რუსული მოსახლეობის წილი ამიერკავკასიაში 5 %-ს მაინც ვერ აჭარბებდა.

XIX საუკუნის II ნახევარში რუსული კოლონიზაციის ნამდვილი მიზნების მკაფიო ნიმუშს წარმოადგენს რუსული ადმინისტრაციის დამოკიდებულება სოხუმის რაიონის სოფელ ფარნაუთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისადმი. ე. წ. „ფარნაუთის საქმის” შესახებ ფაქტობრივი მასალები მოწმობენ აღნიშნულ დასახლებაში მომხდარ მოვლენებზე, რომლებიც მეტად საინტერესოდ განვითარდა.

იქ ადრე მცხოვრები მოსახლეობა თითქმის მთლიანად მუპაჯირობაში წავიდა (1867 წ.). ადგილობრივი მოსახლეობის გარეშე დარჩენილი ეს ტერიტორია თითქმის მთლიანად გავერანდა და გაუკაცრიელდა, ნიადაგი ყამირად იქცა.

დიდი შრომა ჰირდებოდა მისთვის სამეურნეო დანიშნულების დაბრუნებას. რუსმა კოლონისტმა გლეხებმა ამ მიზეზით უარი თქვეს ფარნაუთში დასახლებაზე. ასევე უარი განაცხადეს იქ დასახლებაზე იმათაც, ვინც მეფის რუსეთის შიდა გუბერნიებიდან იყვნენ ორგანიზებულად ჩამოყვანილნი და ყოველგვარი საფასურის გარეშე სთავაზობდნენ აქ დასახლებას. ამ სოფელში ჩასახლება ასევე არ ისურვეს აფხაზეთში უფრო ადრე დასახლებულმა რუსმა გლეხებმაც.

რუსეთის ხელისუფლებამ წინასწარ განსაზღვრა ემიგრანტთა რიცხვი. ნავარაუდევი იყო აფხაზთა 4500 ოჯახის გასახლება. თავის მხრივ, ოსმალეთის მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამდა აფხაზეთიდან 4000 ოჯახი მიეღო (Megreliidze 1995). გამონაკლისის სახით, დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ, ქ. სოხუმის სატყეო მეურნეობამ ძირითადად ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან ჩამოსულ ქართველ გლეხებს უფლება მისცა იჯარით აედოთ მიწა. ეს იჯარა კი, როგორც მათ პპირდებოდნენ, სამუდამო ან ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თუ რუს გლეხებს უფასოდ სთავაზობდნენ აქაურ მიწას, ქართველებს დესეტინაში 6 მანეთს ახდევინებდნენ. ქართველები ფულს იხდიდნენ აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ყოლაზეც: თითო სულზე წელიწადში 40 კაპიკს. ქართველმა გლეხებმა თვითონ შეისყიდეს მიწის დასამუშავებელი იარაღები, მაშინ როდესაც, რუს ჩამოსახლებულებს იმასაც უფასოდ აძლევდნენ.

ფარნაუთელმა ახალმოსახლეებმა დიდი ძალა შეალიეს იქაურობას. მათი დამსახურება იყო, რომ მანამდე სრულიად გავერანებული ეს დასახლება, აყვავებული ბაღ-ვენახებით ქ. სოხუმის შემოგარენში ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილად იქცა. ის ადამიანები, რომლებმაც საიჯარო ხელშეკრულება გააფორმეს ფარნაუთელებთან, ჩვეულებრივ, რუსი ეროვნებისა და მეფის რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ. როგორც შემდგომ გაირკვა, მათ მოატყუეს მოიჯარები, დაამუშავებინეს, გაალამაზებინეს ველური ადგილი, შემდეგ კი რუსული სოფლის შექმნა გადაწყვიტეს მათ საკარმიდამოებში. უფრო მეტიც, ისინი აქ ჩუმად შემოპარულ მიმტაცებლებად – „ზახვატჩიკებად” – გამოაცხადეს.

აღნიშნული ფაქტებიდან თვალნათლივ ჩანს მეფის რუსეთის მზაკვრული გეგმები აფხაზეთის მიმართ. რუს მოხელეებს ასევე კარგად ესმოდათ, რომ კოლონიზაციის საკითხი ძალზე ფაქიზი და ხელისუფლების მხრიდან რისკიანი იყო.

ფარნაუთელ გლეხებს ვითარების ამგვარად გართულების არ სჯეროდათ. როგორც მათი საქმიდან ჩანს, ისინი იმედოვნებდნენ, რომ ფულის გადახდით მაინც მოახერხებდნენ დაკავებული და განაშენიანებული საკარმიდამოების დაკანონებას. თავდაპირველად თავიანთი ნებით არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით წერდნენ თხოვნებს, საჩივრებსა და ახსნა-განმარტებებს, იმედოვნებდნენ სამართლიანობის მიღწევას, მაგრამ საბოლოოდ მოტყუვდნენ.

რუსული შოვინიზმი ჩანდა თუნდაც იქიდანაც, რომ ფარნაუთელებს არსად, არცერთ დოკუმენტში ქართველად არ მოიხსენიებდნენ, მათ მეგრელებს უწოდებდნენ. მეფის რუსეთის ბიუროკრატია „დაყავი და იბატონეს“ იმპერიულ დევიზს ამაშიც გამოხატავდა. ქართველ ხალხს ისინი სვანებად, იმერლებად, მეგრელებად, თუშებად, ხევსურებად, რაჭველებად და ა. შ. ყოფდნენ და მოიხსენიებდნენ, რაც ძნელი ასატანი იყო ქართველი ხალხისათვის.

ფარნაუთში ქართველებს რომ არ აჭაჭანებდნენ და რუსებს ყველა კარი პქონდათ დია, იქიდან ჩანს, რომ აქ სასოფლო-სამეურნეო ინტერესით ითხოვდა ნაკვეთის იჯარით გამოყოფას სოხუმელი პლატონ იაკობის ძე გვაზავა, იგი წერდა მეფისნაცვალს: სოხუმელი კაცი ვარ, აქ ვცხოვრობ ბავშვობიდან, მყავს ექვსი შვილი, ვმუშაობდი ქალაქის სანიტარულ მეთვალყურედ, მაგრამ ანაზღაურება მცირე მქონდა და არ მყოფნიდა ოჯახის გამოსაკვებად, ბავშვობიდან მიყვარს და ვოცნებობ მეურნეობაზე, მის კარგად მოწყობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მიწა არ მაქს” (პავლიაშვილი 2012: 62).

პლატონ გვაზავა ითხოვდა იჯარით ფარნაუთის დასახლებაში მიწის ნაკვეთის გამოყოფას, რათა გამოეკვება მრავალრიცხოვანი ოჯახი. მას მეფისნაცვალთან რეკომენდაციას სოხუმის ოკრუგის უფროსიც კი აძლევდა, მაგრამ მასაც უარი უთხრეს. ამ დროს, მსგავსი თხოვნა შეუსრულეს დასახლება ვლადიმირსკის რუს გლეხებს, და არა მარტო მათ. საბოლოოდ, რუსმა მოხელეებმა ფარნაუთიდან გასახლებული ქართველების ნაწილი, კოდორის ზემო წელში დაასახლეს.

რუსიფიკაციული პოლიტიკის ერთ-ერთ გამოვლინებას აფხაზეთში მხარის კოლონიზაციის ინტენსიური გაგრძელება წარმოადგენდა. ეს პროცესი სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა: 1. არენდული კოლონიზაცია, როდესაც ადგილობრივი მემამულებისაგან საგადასახლებლო ჯგუფები რუსი გლეხებისათვის იღებდნენ არენდით მიწებს, რის უფლებასაც ქართველ გლეხებს არ აძლევდნენ (ხშირად უკან აბრუნებდნენ აქ ჩამოსულ მთიანი რაჭა-იმერეთის და სამეგრელოს მოსახლეობას). 2. სამონასტრო კოლონიზაცია, როდესაც რუსეთის მიერ აღდგენილ თუ ახლად დაარსებულ ეკლესია-მონასტრებს მიწების დიდი ფონდი ეძლეოდა. მთავრობა ამ მონასტრებს მიიჩნევდა რუსეთის თვითმკყრობელობისა და კოლონიური მეურნეობის მნიშვნელოვან დასაყრდენად აფხაზეთის სანაპიროზე. 3. საკურორტო და სათავადაზნაურო კოლონიზაცია. რუსეთში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც ათამაშებდა ლატარიას აფხაზეთში მიწის ნაკვეთების მოსაგებად და გასაყიდად (ჭუმბურიძე 2007: 85-86).

ფარნაუთის ზემოთხსენებული მეტად არასასიამოვნო ისტორია აფხაზეთში რუსული კოლონიური პოლიტიკის, აფხაზი და ქართველი მოსახლეობის დევნისა და აღნიშნული მხარის რუსებით დასახლების აშკარა გამოხატულება და დადასტურებაა.

ამრიგად, აფხაზეთში XIX საუკუნის ბოლოს თანდათან მტკიცდებოდა მეფის რუსეთის პოზიციები და იგი კავკასიის დაპყრობის გეგმას მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად საკმაოდ წარმატებით ახორციელებდა. მეფის რუსეთი ცდილობდა საქართველოს იმპერიის განუყოფელ ნაწილად გადაქცევას, რაც განაპირობებდა ქვეყნის კოლონიზაციას. რუსეთის იმპერია წამყვან მნიშვნელობას ქვეყნის სასაზღვრო ტერიტორიებს ანიჭებდა, რომელთა შორის აფხაზეთს წამყვანი დატვირთვა გააჩნდა. იგი მუდამ ცდილობდა ქართველებისაგან აფხაზთა ჩამოცილებისა და „რუსული აფხაზეთის“ შექმნის იდეის განხორცილებას. აფხაზთა შორის ხელოვნურად ნერგავდნენ ანტიქართულ განწყობილებასა და შუღლს, რაც ისტორიის არაერთ ეპოქაში შესაბამისი საარქივო მასალებით დასტურდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებში მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვება XX საუკუნის დასაწყისში წარმოებული რუსული კოლონიური პოლიტიკის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ურნალში „საარქივო მოამბე”:

1900 წელს ქუთაისის გუბერნიის ქანდარმერიის სამმართველოში აღიძრა საქმე აფხაზეთში (იმჯამინდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგი) მოღვაწე ქართველ პატრიოტთა ჯგუფის წინააღმდეგ. როგორც საგამოძიებო მასალებიდან (გამოძიების მასალების მიხედვით: „თედო სახოკიას ქართული პარტია“) ირკვევა, რომ ამ ჯგუფის ლიდერი თედო სახოკია თანამოაზრებობთან ერთად აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა მეფის რესეთის კოლონიურ პოლიტიკას აფხაზეთში.

აფხაზეთის კოლონიზაციის ასპექტების კვლევისას და მეფის რესეთის ფაქტორის განსაზღვრის პროცესში ნათლად გამოიკვეთა, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ფ. გერშელმანი გულახდილად საუბრობს რესეთის იმპერიის გეგმებზე აფხაზეთში. იგი შესანიშნავად ერკვეოდა მეფის რესეთის კოლონიური პოლიტიკის არსში. მას კარგად პქონდა გააზრებული ამ პოლიტიკის განხორციელების გზები და ის სირთულეები, რომელსაც მეფის რესეთის მიერ კოლონიზაციის პროცესში აწყდებოდა აფხაზეთში, რაც საინტერესო ცნობების სახით დაცულია შემდეგ დოკუმენტებში:

1. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორ ფ. გერშელმანის 1900 წლის 3 აგვისტოს მოხსენება „კავკასიის მხარის სამხედრო-სახალხო მმართველობის მთავარმმართველის კანცელარიის უფროსს“;
2. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორ ფ. გერშელმანის 1900 წლის 2 სექტემბრის მოხსენება „ქართული მოძრაობის შესახებ სოხუმის ოკრუგში“.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1900 წლის 2 სექტემბერს წერდა: „ბოლო დროს აღიარებული იყო რესეთის მიერ ოლქის კოლონიზაციის შესაძლებლობა და მიღებული სარგებლობა, რაც მიიღწევა იმ ტერიტორიების გამოყენებით, რომლებიც გათავისუფლდა, საქმე ამ მიმართულებით შედარებით წარმატებულია და ამაში წვლილი მიუძღვის რესი გლეხების მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლებმაც სოხუმის ოლქში დასახლების სურვილი გამოთქვეს“.

სამხედრო გუბერნატორი კიდევ უფრო ცხადად და ნათლად აყალიბებს მეფის რესეთის კოლონიური პოლიტიკის ამოცანებს, რომ ოლქის რესულ კოლონიზაციას აქვს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა პოლიტიკური თვალსაზრისით: „აფხაზები, რომლებიც წარმოადგენენ ოლქის მოსახლეობის ძირითად მასას დღემდე რჩებიან

ნაკლებად კულტურულ, ნაკლებად განვითარებულ ერად, როგორც განვითარების, ისე მორალური თვალსაზრისით.

კველაფერი საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. საქმის გამოსწორება შესაძლებელია ოლქში რუსული მოქალაქეობრიობის შეტანით, რაც თანდათანობით მკვიდრდება ოლქში, მაგრამ მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი დროა საჭირო, ხოლო ამის განხორციელების საუკეთესო საშუალებად გვესახება ოლქის კოლონიზაცია რუსი მოსახლეობის მიერ. ცხადი იყო, რომ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილება და ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ ქართული ენის განვითარების შემდეგ.

აფხაზეთის ეკლესიიდან და სკოლებიდან ქართული ენის განვითარების აუცილებლობაზე მსჯელობის შემდეგ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი დაასკვნის: „ასეთი ზომების გატარებით სოხუმის ოლქის მკვიდრი მოსახლეობა საიმედო იქნებოდა დაცული ქართული ზეგავლენისაგან... აფხაზებმა, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი დამწერლობა, არ იციან არც რუსული, არც ქართული ენა, ამიტომ მათვის არ აქვს მნიშვნელობა იქნება მათი მოძღვარი რუსი, თუ ქართველი“.

1900 წლის 2 სექტემბრის მოხსენებაში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ასეთი სტატისტიკური მასალა მოაქვს: სოხუმის ოლქის მოსახლეობა გამოირჩევა განსაკუთრებული ნაირფეროვნებით. მოსახლეობა შედგება 96377 ორივე სქესის წარმომადგენლისაგან, სადაც ჭარბობენ აბხაზები – 71 %, მათ რიცხვს მიეკუთვნებიან სამურზაყანოელებიც – 37,5 % (აფხაზი – 33,5 %, სამურზაყანოელი – 37,5 %).

რუსი მოსახლეობა შეადგენს მთელი მოსახლეობის 6 %-ს, მეგრელები, იმერლები, გურულები და ქართველები ერთად შეადგენენ მოსახლეობის 13 %-ს, სხვა ეროვნებებზე მოდის მოსახლეობის დანარჩენი 10 %.

სამხედრო გუბერნატორმა სამურზაყანოელები პირდაპირ აფხაზებად ჩათვალა. ასე მიიღო მან 71%. სინამდვილეში ისტორიული სამურზაყანოს მოსახლეობის რაოდენობა – 37,5% - უნდა მიემატოს ეთნიკურ ქართველთა რაოდენობას – 13%. თუმცა ეს უკანასკნელი რიცხვიც – 13% – აშკარად შემცირებულია.

კავკასიის რუსული ადმინისტრაციისათვის, კერძოდ, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის, არსებობდა ერთი ადმინისტრაციული ერთეული – სოხუმის

ოკრუგი. მაგრამ თვით ოკრუგში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ორ ერთეულს – აფხაზეთს (აფხაზეთის სამთავროს ტერიტორია) და სამურზაყანოს (სამურზაყანოს ისტორიულ ტერიტორიას) ხედავდა.

ფ. გერშელმანს მოჰყავს ოფიციალური მონაცემები იმის შესახებ, რომ 1900 წელს ოლქში 80 მდგდლიდან 64 - ქართველია, 10 - ბერძენი, 4 - რუსი, 2 - აფხაზი.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ცარიზმი უკვე აშკარად მოქმედებდა, ცდილობდა საქართველოსათვის მოეწყვიტა აფხაზეთი. სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვინც კი ამ საქმეში უშლიდა ხელს (ცაიშვილი 1984: 85).

იმპერიული რუსეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ენობრივ პოლიტიკასაც, რომელიც დაფუძნებული იყო ქართულ-აფხაზური ლინგვისტური კონფლიქტის პროცესირებაზე.

რუსიფიკაციული პოლიტიკის აპოლოგეტი გ. ვეილენბაუმის მოსაზრებით „აფხაზური ენა, რომელსაც არ გააჩნია დამწერლობა და ლიტერატურა, ახლო მომავალში განწირულია გაქრობისათვის. საკითხის არსი იმაში მდგრმარეობს, თუ, რომელი ენა შეცვლის მას? ნათელია, რომ მოსახლეობის კულტურული იდეებისა და გაგების როლი უნდა გამოხატოს რუსულმა და არა ქართულმა ენამ. მე მგონია, რომ აფხაზური დამწერლობის დამკვიდრება თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ საშუალება, რომელიც შეასუსტებს ეკლესიისა და სკოლის გავლენით ქართულ ენაზე მოთხოვნას და თანდათანობით შეიცვლება რუსული ენით“.

1902 წელს კავკასიის მეფისნაცვალი გოლიცინი და საქართველოს ეგზარქოსი ალექსეი შუამდგომლობით მიმართავენ რუსეთის უწმინდეს სინოდს, რათა სოხუმის ეპარქია ყუბანის ეპარქიას მიურთდეს.

ისინი განმარტავენ, რომ საჭიროა სოხუმის აფხაზური და რუსული მოსახლეობა „გავაცალკევოთ უკიდურესად არასასურველი ქართული გავლენისაგან“ და ამ მიზნით „სასარგებლო იქნება“ სოხუმის ეპარქიის ყუბანის მხარესთან მიერთება, სადაც, ჩერქეზ-ადიღეელების გასახლების შემდეგ, იმ დროისთვის უკვე „1 716 245 სული წმინდა რუსული“ მოსახლეობა იყო. მეფისნაცვალი და ეგზარქოსი თავიანთ წერილში დაასკვნიან, რომ ყუბანის მხარის ამ რუსულ „მასაში ადგილად გაითქვიფება შავი ზღვის სანაპიროს 100 000 მრავალენიანი მოსახლეობა (სახოკია 1969: 65).

1905-1907 წწ. რევოლუციამ შეძრა მთელი იმპერია. დემოკრატიულმა მოძრაობამ მოიცვა იმპერიის განაპირა მხარეებიც, უფრო მეტიც, ამ რეგიონებში მან მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ დიდი ეროვნული ბრძოლის ავანგარდში იდგა საქართველო. რევოლუციურმა გამოსვლებმა მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი, მათ შორის აფხაზეთიც. მაგრამ საქართველოს ამ პუთხეში რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ არა აფხაზები, რომლებმაც პასიურობა გამოამჯდავნეს, არამედ ქართველები.

აფხაზეთის ქართველობამ იმთავითვე აიტაცა რუსეთის რევოლუციის პროგრესული, დემოკრატიული იდეები და უყოფმანოდ შეუერთდა დანარჩენ საქართველოში მიმდინარე რევოლუციურ აქციებს. აფხაზური მოსახლეობის ამგვარი პასიურობის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევენ აფხაზებს შორის კლასობრივი წინააღმდეგობების არარსებობას.

აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ბრძოლა სასულიერო და საერო სასწავლებლებში მშობლიური ენის უფლებების აღსადგენად განსაკუთრებით გაძლიერდა 1905 - 1907 წლების რევოლუციის პერიოდში.

1905 წლის 17 დეკემბრის სოხუმის ოლქის სკოლების მასწავლებელთა I არალეგალური ყრილობა იყო სასკოლო რეფორმის თვითნებური, ცარიზმისათვის არც თუ ისე მისაღები წესით გატარების პირველი მნიშვნელოვანი ცდა. ყრილობას ესწრებოდნენ თლქის როგორც სამინისტრო უწყების, ისე საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლები. მართალია, იგი არალეგალურად შეიკრიბა, მაგრამ თავისი მუშაობა ჩაატარა საქალაქო სკოლის დარბაზში. შეკრებილებმა განიხილეს საკითხები: ყველა სკოლის სახალხო ეროვნულ სკოლად გამოცხადება; სასწავლო დისციპლინების სწავლება დედაქაზე და რუსული ენის სწავლების დატოვება სკოლებში როგორც ცალკე სასწავლო საგნისა; ბევრი ითქვა მასწავლებლის მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ (ვეკუა 1956: 152).

ქართველი საზოგადოებრიობა შეშფოთებას გამოხატავდა 1905 წელს აფხაზეთში შექმნილი ვითარებით. აფხაზეთში გარკვეული ძალები ავრცელებდნენ სხვადასხვა პროვოკაციულ ხმებს, თითქოს ქართველები აპირებდნენ აფხაზთა ამოწყვეტას და მათი ადგილ-მამულების მიტაცებას.

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ სტატიაში (№ 2786, 1. IV. 1905 წ.) თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე, აფხაზეთში შექმნილი ე. წ. „ქართული

პარტიის“ ლიდერი – თედო სახოკია წერდა: „სამწუხაროა, რომ აფხაზები რუსის ბიუროკრატის სატრიალო სისტემის წყალობით გონიერივად გადაშენების გზას ადგანან და ჯერჯერობით სრულს ინდეფერენციზმს იჩენენ ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეში. გარუსების პოლიტიკამ იმდენი მოასწრო, რომ ეს ხალხი სრულიად ჩამოაშორა თავის მეზობლებს – ქართველებს. ამ პოლიტიკამ უკუღმართის აღზრდის წყალობით იმდენად დაამახინჯა ეს ხალხი გონიერივად, რომ დაავიწყდა, რომ თუკი საერთო ვისთანმე უნდა ჰქონდეს აფხაზის ხალხსა, ისევ მეზობლებთან, ისევ ქართველებთან, რომელთანაც ისტორიულად დაკავშირებული არიან და მათის სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობაც ისეთია, რომ ქართველებს იქით ამ ხალხს ხსნა არ აქვს. დღეს კი აფხაზეთის ხალხს ქართველებთან ერთობა არავითარი არა აქვს. შემაერთებელი გზა და ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შორის არ არსებობს. არ არსებობს იმიტომ, რომ ქართული ენა აქაურ სკოლებიდან განდევნილია. ქართული გაზეთის ნაცვლად სხვადასხვა თინებით და ხრიკებით ავრცელებდნენ ბათუმელ ჯამბაზის გაზეთს (იგულისხმება რუსული ოფიციოზი – „Черноморский вестник“ – ავტ.), რომელიც ქართველობას და მის კულტურას ამცირებდა თავის მკითხველთა თვალში და გარდა ამისა, აფხაზებს აგონებდა, ქართველები (მეგრელები) თქვენი მტრები არიან, აქ მოდიან, თქვენს მიწებს იჩემებენ და სხვ.“ (პაპასქირი 2003: 245).

ასეთი იყო ძირითადად რუსეთის საკოლონიზაციო პოლიტიკა აფხაზეთში. ჩვენ მიერ მოტანილი საისტორიო მასალები სრულიად ნათლად ცხადყოფენ, თუ რა იყო ამ პოლიტიკის ჭეშმარიტი მიზანი და რეალურად რას უმზადებდა აფხაზეთს რუსეთის იმპერია. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება თავისი მიზნის მისაღწევად მხოლოდ იმპერიული საკოლონიზაციო პოლიტიკის გატარებით არ იფარგლებოდა.

თავი 2. რუსული იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში

(XX საუკუნის 10-იანი–60-იანი წლები)

2.1 საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ 1917-1921 წლებში და
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკებმა გაააქტიურეს თავიანთი საქმიანობა. გუდაუთის მაზრაში ბოლშევიკების გავლენა

საკმაოდ დიდი იყო. განსხვავებული ვითარება იყო ქ. სოხუმში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებს სოხუმში ძლიერი ორგანიზაცია პქონდათ, მაინც დიდი იყო მენტევიკების გავლენა.

ქ. სოხუმში თანდათან უფრო მწვავდებოდა ბრძოლა მენტევიკებსა და ბოლშევიკებს შორის. ქ. თბილისიდან მივლინებული მენტევიკების ლიდერის აკაკი ჩხერიმელის მოხსენების დროს, სიტყვით გამოსვლის უფლება არ მისცეს აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერს ნებრი ლაკობას, რაც თითქმის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. გუდაუთის მაზრაში ნებრი ლაკობას ხელმძღვანელობითა და ორგანიზატორობით ბოლშევიკურ აგიტაციას ეწეოდნენ: ეგნატე ვარდანია, კოსტა ინალ-იფა და სხვები.

მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ და ამას არც ოფიციალური საბჭოთა ისტორიოგრაფია უარყოფს, რომ ბოლშევიკ ავანტიურისტთა გამოხდომები, რომელთაც ადგილი პქონდა როგორც საქართველოში, ისე საკუთრივ აფხაზეთში 1917 წლის მიწურულსა და 1918 წლის დამდეგს, უშუალოდ იყო ინსპირირებული ვლენინისა და მისი გარემოცვის მიერ (Дзидзария 1983: 26).

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ დროებითი მთავრობის მიერ შექმნილმა „ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა“ ადგილებზე შექმნა საგუბერნიო, სამხარეო და საქალაქო კომიტეტები. აფხაზეთში მოვლენათა ეპიცენტრში რუსოფილი აფხაზები მოექცნენ და ხელთ იგდეს პოლიტიკური ინიციატივა, სწორედ ისინი ჩაუდგნენ სათავეში რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივ (აფხაზეთის) ორგანოს – საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტს (შეიქმნა 1917 წ. 10 მარტს). ამ ორგანოს ხელმძღვანელი გახდა თავადი ალექსანდრე შარვაშიძე (Лакобა 1991: 281).

1917 წლის აპრილში ბოლშევიკთა მიერ სოფელ ლიხნში, აფხაზური ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის ამ ცენტრში, მიმდინარე მოვლენების შეფასების მოწოდებით აფხაზების ე. წ. „გლეხთა შეკრება“ გაიმართა. შეკრების მონაწილეებმა, ბოლშევიკი რევოლუციონერების გავლენით, დროებით მთავრობას უნდობლობა გამოუცხადეს. სოციალისტური სიკეთეების უხვი დაპირებების სანაცვლოდ ამ შეკრებაზე აფხაზ სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერი, ნებრი ლაკობა გუდაუთის საუბნო კომისრად იქნა არჩეული. თავის გამოსვლაში მან

გლეხობას ერთიანობისაკენ მოუწოდა... აქვე დაიბადა გლეხთა რევოლუციური რაზმების, ე. წ. – „კიარაზ“-ის შექმნის იდეა“ (Дзидзария 1971: 15).

აფხაზეთის სამხარეო კომიტეტის კომისრად დაინიშნა თავადი ალექსანდრე შერვაშიძე, ხოლო სამხარეო მილიციის ხელმძღვანელობა დაეკისრა თავად ტატაშ მარშანიას. აღნიშნულ ჯგუფთან დაახლოებულმა წრეებმა დაიწყეს აშკარა ბრძოლა თავისი პოლიტიკური პრივილიგიების შესანარჩუნებლად. მათ ორიენტაცია აიღეს მთიელთა გაერთიანებულ კავშირზე, რომელიც 1917 წლის მაისში შეიქმნა (Габедавა 1993: 2).

1917 წლის 2 ივლისს გაიმართა სოხუმის საოლქო სათათბიროს არჩევნები. გამარჯვება მოიპოვეს სოციალ-დემოკრატებმა (18 ადგილი), წარმატებას მიაღწიეს ასევე ესერებმა (10 ადგილი) და სოციალისტ-ფედერალისტებმა (2 ადგილი). 1917 წ. 30 სექტემბერს საოლქო სათათბირომ რეორგანიზებული საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია ბ. ჩხიკვიშვილი, ბ. ზახაროვა, წიგწივაძე, ი. გოგელაშვილი, ცარიოვა და სხვები; 12 ოქტომბერს შედგა პრეზიდიუმისა და საოლქო აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევნები.

1917 წლის ნოემბერში გამართულმა აფხაზეთის გლეხთა მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა სამურზაყანოში, რომლის წარმომადგენელი, ცნობილი მოღვაწე ივანე გეგია საქართველოს ეროვნულ ურილობაზე გამოსვლისას აღნიშნავდა, რომ სამურზაყანო არ უერთდება აფხაზების გადაწყვეტილებას მთიელებთან კავშირის საკითხში.

აფხაზეთში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. რეგიონის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გაემიჯნა ახლადმოვლენილი აფხაზი ლიდერების ავანტიურისტულ ინიციატივებს. შეიქმნა აფხაზეთის გახლების რეალური საშიშროება. ამასობაში, 1918 წლის 6 იანვარს რუსეთში ვ. ლენინის ბოლშევკურმა რეჟიმმა ძალით გარეკა დამფუძნებელი კრება. ამას, როგორც ცნობილია, მოჰყვა უმწვავესი პოლიტიკური კრიზისი რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც შემდგომ ხანგრძლივ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. გამწვავდა ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში, რამაც თავის მხრივ იქონია გავლენა აფხაზეთზე. შექმნილ სიტუაციაში ე.წ. „აფხაზთა სახალხო საბჭომ“ ვერ შეძლო დასახული ამოცანების განხორციელება (Лакобა 1990: 64).

1917 წლის ბოლოსთვის ბოლშევიკების პოზიცია საბოლოოდ განმტკიცდა. ქ. სოხუმში ბოლშევიკებისა და მენშევიკების ბრძოლა თანდათან უფრო ძლიერდებოდა.

ცენტრალური ხელისუფლება აფხაზეთში კვლავ მენშევიკების ხელო რჩებოდა. გუდაუთის მაზრის ბოლშევიკებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს სოჭის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პ. პოიარკო იყო (გასვიანი 2004: 15).

1917 წლის ნოემბერში გამართული აფხაზთა ე. წ. I „ერილობის“ მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის სამართლიანი აღმფოთება გამოიწვია. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა სამურზაყანოში.

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში, პეტროგრადის მხავსად, იქმნება ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა – კომისარიატი, ძველი რევოლუციონერისა და სოციალ-დემოკრატის, ევგენი გეგეშქორის თავმჯდომარებით. ნოემბერშივე მოწვეულ იქნა აფხაზეთის გლეხთა I ყრილობა, რომელიც მთიელთა კავშირის წარმომადგენლის, ასლანბეგ შერიფოვის ინიციატივით იქნა ორგანიზებული. მან განაცხადა რომ „აფხაზები ჩრდილო კავკასიელ მთიელთა კუნთებს წარმოადგენენ, იმ ნაწილს, რომელიც ამ მხარეს იქნა ხელიდან გაგდებული. აფხაზი და ჩრდილო კავკასიელი გმირების ძმურ გრძნობას შეუძლია გაადნოს მათ შორის მდებარე კავკასიის ცივი მთები და საერთოდ, მათ შორის არსებული ყოველგვარი წინააღმდეგობა“ (Сагария 1970:13).

ერილობის მუშაობაში აფხაზი ბოლშევიკებიც იღებდნენ მონაწილეობას – ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა. მოგვიანებით მოვლენების გარშემო თავის მოსაზრებას გამოხატავდა ნესტორ ლაკობა.

ლაკობა მიიჩნევდა, რომ „ერილობის მუშაობის ქაგუთხედს შემდეგი კითხვა წარმოადგენდა – „ვისთან ერთად ვიყოთ? წავიდეთ ამიერკავკასიის კომისარიატთან და მუშაოთა კლასის ფარულ გამცემლებთან – მუსავატებთან, დაშნაკებთან, მენშევიკებთან და ყველა ამ პოლიტიკურ გაიძვერებთან ერთად ერთ ბლოკში, რომლებთანაც აფხაზეთი დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული და ფინანსური კუთხით, თუ უნდა გაგვიწყვიტა ამიერკავკასიასთან ყოველგვარი კავშირი და

შევსულიყავით მთიელ ხალხთა კავშირში, სადაც ასე დაუინტებით გვიწვევდნენ მთიელთა დელგაციები” (ლაკობა 1987: 49).

ყრილობაზე დეკლარირებულ იქნა მთიელთა კავშირთან ურთიერთობების დამყარება, დამტკიცებულ იქნა აფხაზთა სახალხო საბჭოს კონსტიტუცია და არჩეულ იქნა მისი შემადგენლობა. საბჭოს თავმჯდომარედ სიმონ ბასარია იქნა არჩეული. აფხაზთა სახალხო საბჭოს მიეცა დავალება ემუშავა „აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის” საკითხებზე. ამ ე. წ. „თვითგამორკვევის” ფორმები დაზუსტებული არ იყო.

„აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ლიდერები მივიღნენ დასკვნამდე, რომ კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობების დარეგულირებაში იყო. 1918 წლის 9 თებერვალს თბილისში შედგა შეხვედრა „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ დელგაციასა (ალ. შარვაშიძის, მ. ემუხვარის, ნ. მარდანიას, პოლკოვნიკ რ. ჩქოტუას, ბ. ცაგურიას შემადგენლობით) და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებს (ა. ჩხერიძე, კ. მესხი, გ. გვაზავა, პ. საყვარელიძე, ნ. ქარცივაძე) შორის. მოლაპარაკებების საწყის ეტაპზე აფხაზთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ალ. შარვაშიძემ და დელეგაციის მკვეთრად ნაციონალისტურად განწყობილმა ცალკეულმა წევრებმა მოითხოვეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება. განსხვავებული პოზიცია დაიკავა სამურზაყანოს წარმომადგენელმა მ. ემუხვარმა (Ментешашвили 1998: 16).

მ. ემუხვარის პოზიციამ დაარწმუნა ალექსანდრე შარვაშიძე და მისი მომხრეები, რომ აფხაზეთის დაქუცმაცების საფრთხე სულ უფრო რეალური ხდებოდა და ისინი იძულებული შეიქმნენ, დათანხმებოდნენ აკაკი ჩხერიძის წინადადებას აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლას აგტონომიის საფუძველზე.

„აფხაზთა სახალხო საბჭოში” არაერთგვაროვნად შეხვდნენ თბილისში მიმდინარე მოლაპარაკებებს. მაგალითად, ს. ბასარია მოითხოვდა ჯერ მოეწვიათ აფხაზთა ეროვნული ყრილობა, გაერკვიათ აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ დაემყარებინათ საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობები. თავის მხრივ, თბილისი აცხადებდა სრულ მზადყოფნას აფხაზეთის შემოსულიყო ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში მდ. მზიმთიდან მდ. ენგურამდე საზღვრებში.

რასაკვირველია, 1918 წლის 9 თებერვალს თბილისში მიღწეული შეთანხმება არ შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებად იმ მიზეზის გამო, რომ იმ დროს, აფხაზეთზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით საქართველო არ იყო სუვერენული სახელმწიფო. არც მოლაპარაკების მონაწილე მხარეები – „აფხაზთა სახალხო საბჭო“ და საქართველოს ეროვნული საბჭო – წარმოადგენდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურ თრგანოებს. მიუხედავად ამისა, თბილისში მიღწეული შეთანხმება, უდავოდ, დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი იყო. ამით მნიშვნელოვნად განიმუხტა დაბაბულობა და ურთიერთობები თბილისსა და სოხუმს შორის კონსტრუქციული გახდა.

გუდაუთის თრგანიზაციას უწყვეტი კავშირი პქონდა სოხუმის ორგანიზაციასთან. წებელდის რაიონში პარტიზანული დაჯგუფება სომხებისაგან შედგებოდა. სომხურ სოფლებში ამ რაზმების ორგანიზებას ათარბეგოვი ჩაუდგა.

მენშევიკები არ იყვნენ მზად შეიარაღებული ბრძოლისთვის, თუმცა უკეთესად იყვნენ აღჭურვილნი. მენშევიკ ლიდერთა ნაწილი ქ. სოხუმიდან ქ. თბილისში გაიქცა, სადაც გადაწყდა წითელ აფხაზეთზე შეტევა. გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ბრძანებით, გამოაგზავნეს მენშევიკთა სახალხო გვარდის ნაწილი ვ. ჯულელის ხელმძღვანელობით. მათ ოჩამჩირეში თავადთა და აზნაურთა პარტიზანული რაზმი შეუერთდა.

გაერთიანებული რაზმი ქ. სოხუმისკენ დაიძრა. პარტიზანთა რაზმი კოდორის ხეობაში შეიკრიბა და სათავეში ვალიკო ბახტაძე ჩაუდგა, არტილერიას კოსტა ინალ-იფა ხელმძღვანელობდა. ბრძოლა კოდორში ცხრა დღე გაგრძელდა. მენშევიკები უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ და ძლიერმა არტილერიამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტა. კოდორში, წყლის დაბალი ფონის გამო, მათ შეძლეს ძალების ფორსირება. საბჭოთა ხელისუფლებამ ქ. სოხუმში 42 დღე იარსება, 1918 წლის 8 აპრილიდან 17 მაისამდე.

ბოლშევიკური ამბოხის ჩახშობა შესაძლებელი გახდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის წითელი გვარდის ნაწილების (ვ. ჯულელის და ა. დგებუაძის სარდლობით) ჩარევის შედეგად, რომლებმაც გაწმინდეს აფხაზეთი ბოლშევიკი ავანტიურისტებისაგან.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში განხორციელდა. მთელი აჭარა ბათუმითურთ, ასევე სამცხე ახალქალაქითა და ახალციხითურთ თურქეთის მიერ

იყო ოპუბირებული. მძიმე მდგომარეობა იყო აფხაზეთში. აფხაზი სეპარატისტები საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური, სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერით ცდილობდნენ აფხაზეთის ჩამოცილებას საქართველოდან. საბჭოთა რუსეთს მხარს უჭერდა თურქეთი. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა და სეიმი სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ აფხაზ სეპარატისტებსა და საბჭოთა რუსეთს. აფხაზეთში მდგომარეობის ხსნას ცდილობდა საქართველოს ეროვნული საბჭო, სახალხო გვარდია და ფორმირების პროცესში მყოფი ქართული რეგულარული არმიის ნაწილები.

აფხაზეთის შენარჩუნებისათვის 1918 წლის მაისში მიმდინარე დაძაბულ ბრძოლებზე, საბჭოთა რუსეთის ანტიქართულ პოლიტიკასა და მისი რეალიზების გზებზე მოახსენა თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სახალხო გვარდიის სარდალმა ვალიკო ჯულელმა.

აღნიშნული რუსულენოვანი დოკუმენტი მოძიებულ იქნა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (იხ. დანართი №1).

1918 წლის 8 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება აფხაზეთისათვის ფართო საშინაო ავტონომიის მინიჭების და სამხედრო დახმარების შესახებ. ხელშეკრულების საფუძველზე 17-22 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთში გააგზავნა ქართული არმიის ნაწილები გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით, რომლებიც განლაგდნენ ზღვის სანაპიროზე ქ. ტუაფსედან ქ. სოჭიმდე. როგორც ჩანს, ქართული არმიის ნაწილების დისლოკაციის შეცვლა ორივე მხარის თანხმობით მოხდა.

1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულებას არ შეიძლება არ გამოეწვია აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაციის მორიგი გამწვავება. კვლავ გაჩნდა ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ოკუპაციის საფრთხე. ასეთ ვითარებაში „აფხაზთა სახალხო საბჭომ“ კვლავ მიმართა თხოვნით საქართველოს მთავრობას, აღმოეჩინა დახმარება აფხაზეთისათვის. 19 ივნისს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელიც საქართველოს სამხედრო მინისტრ გრიგოლ გიორგაძის ბრძანებით აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა, ჩავიდა სოხუმში, ხოლო 20 ივნისს საქართველოს შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილები 300-

აფიან აფხაზურ კავალერიასთან ერთად გადავიდნენ შეტევაზე და გაათავისუფლეს ახალი ათონი.

სიტუაცია გამწვავდა იმდენად, რომ საქართველოს მთავრობის სპეციალური წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი ისიდორე რამიშვილი, „აფხაზთა სახალხო საბჭოს” სხდომაზე გამოსვლისას (1918 წლის 18 ივლის), იძულებული გახდა, აფხაზეთიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხი დაეყენებინა.

1918 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში აფხაზეთში ვითარება კიდევ ერთხელ დაიძაბა. ვითარების გამწვავება კ. წ. „მუჭაჯირთა“ ახალი სადესანტო რაზმის გამოჩენამ გამოიწვია უკვე ოჩამჩირის ზონაში, რომელიც სოფელ ჯგურდას მიმართულებით, თავად ტატაშ მარშანიას მამულისაკენ გაემართა. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ დეპუტატთა ერთი ნაწილი – პროოსმალური ორიენტაციის ფრთა, აშკარად დაადგა სახელმწიფო დალატის გზას და შეიარაღებულ პუტჩს მიემხრო. საბჭოს ეს ნაწილი „მეცუთე კოლონად“ ჩამოყალიბდა იმდროინდელი აფხაზეთისა და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასეთ სიტუაციაში საბჭოს დემოკრატიული ფრთა, მისი თავმჯდომარის, ვარლამ შარვაშიძის, აგრეთვე ვლადიმერ ემუხვარის მეთაურობით, გამოვიდა „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ რეორგანიზაციის ინიციატივით. ის პირვენები, რომლებიც ხელს უწყობდნენ თურქების მიერ „აფხაზეთის ოკუპაციას“ (ასეთი იყო ოფიციალური ფორმულირება) დადანაშაულებულ იქნენ სახელმწიფო დალატში და უნდა გასახლებულიყვნენ აფხაზეთიდან (ჩიტაია 2006: 125-126).

1918 წლის 25-26 სექტემბერს ეკატერინოდარში (ამჟამინდელი კრასნოდარი) შედგა ორრაუნდიანი შეხვედრა, ერთი მხრივ, საქართველოს დელეგაციასა (გ. გეგეშქორი, გ. მაზნიაშვილი) და, მეორე მხრივ, „მოხალისეთა არმიის“ (გ. ალექსეევი, ა. დენიკინი) და ეწ. „უცბანის მთავრობის“ (ნ. ვორობიოვი, ბიჩი) წარმომადგენლებს შორის, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი „მოხალისეთა არმიისათვის“, შედგომოდა „ქართველი დამპყრობლებისაგან“ აფხაზეთის „განთავისუფლების“ გეგმის რეალიზაციას, თუმცა ჩრდილოეთ კავკასიაში იმ დროს შექმნილი სამხედრო პოლიტიკური სიტუაცია არ აძლევდა საშუალებას გ. ალექსეევსა და ა. დენიკინს, გადასულიყვნენ შეტევაზე და ძალით დაეკავებინათ

აფხაზეთი. ასეთ ვითარებაში ისინი შეეცადნენ, მოეწყოთ სახელმწიფო გადატრიალება სოხუმში. შეიარაღებული პუტჩის სათავეში აღმოჩნდნენ აფხაზეთის საქმეების მინისტრი პოლკოვნიკი რ. ჩქოტუა და საოლქო კომისარი ი. მარდანია.

ბოლშევკიებს აფხაზეთში მუდამ ეგულებოდათ გარკვეული ძალები, რომლებიც მზად იყვნენ ნებისმიერ დროს გამოსულიყვნენ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. შემთხვევითი არ იყო, რომ 1919 წელს აფხუებთან ერთად ქართველებს დაუპირისპირდნენ ა. ხატისოვის ინიციატივით თურქეთიდან აფხაზეთში ჩამოსახლებული სომხები.

საბჭოთა რუსეთისთვის არ იყო საკმარისი საქართველოს ტერიტორიული, სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ანექსიის წარმატებული განხორციელება. ამასთანავე, მეტად მძაფრად მიმდინარეობდა იდეოლოგიური ომი, რომლის მიზანიც გახდდათ, ამოებირკვა ქართული ცნობიერება აფხაზეთის მოსახლეობაში, რითაც სოციალიზმის დროშის ქვეშ ამოფარებული გარკვეული დესტრუქციული ძალები ცდილობდნენ აფხაზეთის ჩამოცილებასა და მის საბჭოთა რუსეთთან მიერთებას. ამაზე მეტყველებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილი (არაუადრეს 1920 წლის ოქტომბრისა) ცნობაც, რომელშიც ნათქვამია:

„ამგვარად, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ზაფის ჩამოგდების შემდეგაც კომუნისტები სოხუმის ოლქში ეწეოდნენ საქართველოს დემოკრატიული წეს-წყობილების და მისი მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას და აწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებას. ამ მუშაობას ბოლშევკები აწარმოებდნენ არალეგალურად და ამავე დროს კავშირი პქონდათ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ძალებთან გაგრის ფრონტზე. უმთავრესი სამოქმედო ორგანიზაციები იყო: 1) ქალაქ სოხუმში – „სოკი”, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას უწევდა დანარჩენ ორგანიზაციებს, იძენდა ასაფეთქებელ მასალას, ეწინააღმდეგებოდა მთავრობის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას და ფულად დახმარებას უწევდა ხელქვეით ორგანიზაციებს. 2) გაგრაში – გაგრის სამაზრო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც საჯაშუმო მასალებს აწვდიდა საბჭოთა ჯარებს, პროპაგანდით ხრწნიდა საქართველოს ჯარისკაცებს და არღვევდა ჩვენს ფრონტს და 3) აფხაზეთში აგრცელებდნენ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორების შესახებ ხელს, ურჩევდნენ აფხაზებს შეერთებოდნენ რუსეთს და აწყობდნენ აფხაზეთის შეიარაღებულ აჯანყებებს” (სონდულაშვილი 2007: 135).

ქართველი საზოგადოება უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამდა აფხაზეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის შოვინისტური პოლიტიკის გამო.

ქართველები ისეთ დევნას და შევიწროებას განიცდიან, რომ ენიო აუწერელია და ისეთი ანტიქართული აგიტაცია სწარმოებს, რომ მეფურ რუსეთს და ვოსტორგოვებსაც კი არ ეყოფოდათ ასეთი სითავხედე.

საქართველოს მთავრობამ დაშალა აფხაზთა სახალხო საბჭო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის, რაც მიზნად ისახავდა საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორებას. დააპატიმრა შეთქმულები, რომლებმაც კავშირი დაამყარეს გარეშე ძალებთან. სოხუმის ოლქის საგანგებო კომისრად დაინიშნა ბ. ჩხილიშვილი. დაიწყო მომზადება აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისათვის.

თანამედროვე აფხაზურ სეპარატისტულ „ისტორიოგრაფიას“ არ გააჩნია არც ერთი კონკრეტული ფაქტი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რომელიმე ცნობილი აფხაზი მოღვაწის მიმართ გატარებული რეპრესიების თაობაზე. ამის ახსნა ადვილია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ამ მხრივ იჩენდა მაქსიმალურ სიფრთხილეს. ხელისუფლება თვით ისეთ ოპოზიციონერთა მიმართაც კი, როგორებიც იყვნენ სახელმწიფო დალატში დადანაშაულებული („აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ძალისმიერი გზით დამხობის მცდელობის გამო) ი. მარდანია, დ. ალანია, გ. ცაგურია, გ. ტარნავა, რ. ჩქოტუა და სხვ., მხოლოდ დროებით იზოლაციას დასჯერდა. მათ არა მარტო ეპატიათ ჩადენილი დანაშაული, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიეცათ საშუალება, მონაწილეობა მიედოთ აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებში და გამხდარიყვნენ აფხაზეთის ახლადარჩეული პარლამენტის დეპუტატები.

ამავე დროს აფხაზეთს საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი თეთრგვარდიული მოძრაობა. კერძოდ, 1919 წლის იანვარში თეთრგვარდიელი გენერალი ა. დენიკინი შეტევას იწყებს ქ. სოხუმზე. მისი შეხედულებით, აფხაზეთი წარმოადგენდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ნაწილს. საქართველოს ჯარებმა მოიგერიეს ა. დენიკინის აგრესია. „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ იმპერიის აღდგენის იდეით შეპყრობილმა რუსმა გენერალმა საკუთრივ აფხაზეთში პროვოკაციის ინსპირირების გარდა, ენერგიული ნაბიჯები გადადგა საერთაშორისო არენაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტორიტეტის შესარყევად.

აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიები (რუსთის ხელისუფლების წამქეზებლური პოლიტიკის ხელშეწყობით) მუდამ საციონიზმდენ იმით, თუ როგორ „იდევნებოდა“ აფხაზური „ნაციონალური კულტურა“ ქართველი მენშევიკების მხრიდან. ფაქტები საპირისპირო ქმედებებზე მეტყველებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების აქტიური ხელშეწყობით 1919 წლის 27 თებერვალს ქ. სოხუმში გამოსვლა დაიწყო პირველმა აფხაზურენოვანმა გაზეთმა „აფხსნი“ (აფხაზეთი), რომლის რედაქტორი აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია იყო. დიმიტრი გულია იყო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი და მისი ცოცხალი კლასიკოსი... დიმიტრი გულია იყო წამომწყები და დამაგვირგვინებელი აფხაზური აღორძინებისა (ბარამიძე 1983: 307-308).

აფხაზური შრიფტი დაამზადეს ქ. თბილისში და ის ქ. სოხუმში ჩაიტანა შემდგომში თვალსაჩინო აფხაზმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ანდრია ჭოჭუამ. აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე პირველად დაიბეჭდა დიმიტრი გულიასა და სამსონ ჭანბას ნაწარმოებები; ასევე აფხაზური ლიტერატურის კლასიკოსებმა იური კოდონიამ, მიხეილ ლაკერბაძე და სხვა აფხაზმა მწერლებმა თავიანთი პირველი ნაწარმოებები ამ გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნეს.

აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს 1919 წელს ქ. სოხუმში ლიტერატურულ-დრამატული წრის შექმნა. ამასთანავე, გამოშვებულ იქნა ხელნაწერი ჟურნალი „ცისკრის ვარსკვლავი“ და ცნობილი აფხაზი მხატვრის ალექსანდრე შარვაშიძის თაოსნობით ქ. სოხუმში გაიხსნა დრამატული სახწავლებელი.

1919 წლის 13 თებერვალს აფხაზეთში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს – აფხაზეთის სახალხო საბჭოს პირველი საყოველთაო, დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ამ არჩევნებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა მმართველმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც სახალხო საბჭოში ადგილების დიდი უმრავლესობა (27 – 40-დან) მიიღო. სოციალ-დემოკრატების გარდა აფხაზეთის სახალხო საბჭოში არჩეულ იქნენ დამოუკიდებელი სოციალისტები, ესერები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვები.

ზემოთხსენებული ფაქტები ადასტურებენ, თუ როგორ არ „იდევნებოდა“ აფხაზური „ნაციონალური კულტურა“ ქართველთა მხრიდან, რითაც აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები მუდმივად აპელირებდნენ. 1919 წლის 23-24 მაისს

თბილისში შედგა ევგენი გეგმჭკორისა და ნოე რამიშვილის შეხვედრა გენ. დენიკინის წარმომადგენელთან – ინგლისელ გენერალ ბრიგეთან. ამ შეხვედრამ ნათლად გამოავლინა ა. დენიკინისა და მის ბრიტანელ მფარველთა ნამდვილი ზრახვები, არათუ მოქადაგიტათ აფხაზეთი დანარჩენი საქართველოსაგან, არამედ არ დაეშვათ თვით საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა.

1919 წლის 21 ივლისს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თბილისში ოფიციალური დელეგაციის გაგზავნის შესახებ კონსტიტუციური საკითხების ირგვლივ მოლაპარაკებების გასამართად. ამ დელეგაციაში შევიდნენ დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი, გ. კოროლიოვი, მ. უბირია, ვ. ლურჯუა, მ. ცავა, მ. გრიგოლია. დელეგაციის წევრებმა სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარება აქტიური კონსულტაციები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ერთი სიტყვით, 1918-1921 წლებში აფხაზეთში შექმნილი იყო უაღრესად ხელსაყრელი პირობები აფხაზეთის მთელი მოსახლების, პირველ რიგში, საკუთრივ აფხაზეთის კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობისათვის.

1920 წლის გაზაფხულიდან აფხაზეთის სახალხო საბჭომ განაახლა მუშაობა ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტზე. 1920 წლის 21 მაისს დამტკიცებულ იქნა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის შემადგენლობა, რომელსაც დაევალა სათანადო კონსულტაციების ჩატარება საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატებთან, კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტის შემუშავების მიზნით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის სტატუსის განსაზღვრა საბოლოოდ მოხდა 1920 წლის 29 დეკემბერს, როდესაც საქართველოს დამფუძნებელი კრების სპეციალურმა საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულებების“ პროექტი. აღნიშნული პროექტი საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა 1921 წლის 21 თებერვალს. ამავე დღესვე მოხდა საქართველოს კონტიტუციის მიღებაც. აღნიშნულ დებულებაში წერია, რომ „აფხაზეთი მდინარე მეხადირიდან მდინარე ენგურამდე, შავი ზღვის სანაპიროდან კავკასიონამდე ითვლება საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად და ამ საზღვრებში ავტონომიურად მართავს თავის შინაურ საქმეებს“ (სურგულაძე 1992: 361).

1920 წლის სექტემბერ-ოქტომბერში აფხაზეთის სახალხო საბჭოში მიმდინარეობდა აღნიშნული პროექტის საფუძვლიანი განხილვა. 1920 წლის 16 ოქტომბერს აფხაზეთის სახალხო საბჭომ ოფიციალურად დაამტკიცა კონსტიტუციის პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება მისი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში – დამფუძნებელ კრებაში გადაგზავნის შესახებ, სადაც სახალხო საბჭოს დელეგაციებს მონაწილეობით უნდა მომხდარიყო კონსტიტუციის პროექტის შემდგომი დახვეწა და სრულყოფა. ამით დასრულდა აფხაზეთის კონსტიტუციის მიღების იურიდიული პროცედურის პირველი, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი ეტაპი, ანუ აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ – სახალხო საბჭომ მოახდინა ავტონომიის კონსტიტუციის პარაფირება, რის შემდეგ რეგლამენტით რჩებოდა მისი საბოლოო დამტკიცება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წლის 4 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლობითი დელეგაცია ვარლამ შარვაშიძის მეთაურობით. დელეგაციაში სხვა დეპუტატებთან ერთად შედიოდნენ თაოზიციის ყველაზე ოდიოზური წარმომადგენლები: მ. ცაგურია, დ. ალანია, მ. ტარნავა.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია მოითხოვდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ ავტონომიის კონსტიტუციის პროექტის დაუყოვნებლივ განხილვას და მიღებას, მაგრამ ქართველი პარლამენტარები წინააღმდეგნი იყვნენ აფხაზეთის კონსტიტუციის ფორსირებულად დამტკიცებისა. მათ მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ ავტონომიის კონსტიტუციის დამტკიცება ქვეყნის კონსტიტუციის მიღებამდე. ამავე აზრის იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობაც და, პირველ რიგში, მისი ლიდერი ნოე ჟორდანია,

საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში მუხლი IV, 1 პირდაპირ იყო მითითებული, რომ „რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად, გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებული ხელშეკრულების I და III მუხლების ძალით, აგრეთვე, ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: თბილისის, ქუთაისის და ბათომის ყველა მაზრებითა და

ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქები“ (Ключников 1926: 176-183).

* * * *

საინტერესოა აღვნიშნოთ, საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაში აფხაზეთის საკითხის შესახებ. აფხაზეთი საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების რევიზის ერთ-ერთი პირველ მცდელობას წარმოადგენს ტარას შამბასა და ალექსანდრე ნეპროშინის ვრცელი ნაშრომი სათაურით „აფხაზეთი: სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი საფუძვლები“, რომელიც 2003 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. ნიშნადობლივია, რომ ორივე აგტორი რუსეთში მოდვაწეობს და, რასაკვირველია, თვით წიგნიც პრორუსული, პროაფხაზური და ანტიქართული ხასიათისაა: ისინი ყველანაირად ცდილობენ მიჩქმალონ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის ფაქტი და ამ მხრივ არ ერიდებიან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა და მოვლენების კონიუნქტურულ, მიკერძოებულ და ტენდენციურ გაშუქებას, მათ უხეშ ინტერპრეტაციას და ამით არსებული ჭეშმარიტების დევალვაციას ეწევიან.

იმოწმებენ რა 1918 წლის 9 თებერვლის საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლების შეხვედრის დებულებებს, შამბა-ნეპროშინის ტანდემი ამტკიცებს, რომ აფხაზეთს ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (ე. ი. 26 მაისამდე) გააჩნდა თავისი სუვერენული ტერიტორია და ხელისუფლება, მაგრამ ამგვარი მტკიცება არასწორია: დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „საქართველოს ეროვნული საბჭო თანახმაა აღდგეს ერთიანი და განუყოფელი აფხაზეთი მდინარე ენგურიდან მზიმთამდე“, ანუ ეს ნიშნავს, რომ იმ დროისათვის აფხაზეთის სუვერენული ტერიტორია ჯერ-ჯერობით არ იყო დაფიქსირებული და შესაბამისად, არც ვითომდა სუვერენული ხელისუფლების ძალაუფლება არ ვრცელდებოდა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. წიგნის ამ ნაწილში შამბა-ნეპროშინი უარყოფითად ასახავენ საქართველოს პოლიტიკას აფხაზეთისადმი და არაფერს ამბობენ იმაზე, რომ მოგვიანებით, 1918 წლის ივნისში სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ გააერთიანა აფხაზეთი და სოხუმის ოკრუგს ტერიტორიები ფსოუს გადადმა, თითქმის მდინარე მზიმთამდე მიუერთა (მხედველობაში გვაქვს საქართველოსა და სამხრეთ რუსეთის 60

მთავრობის ჯარების - გ. წ. დენიკინის მოხალისეთა არმიას შორის მომხდარი სამხედრო კონფლიქტის შედეგები).

წიგნის ავტორები ამტკიცებენ, რომ აფხაზეთი ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მთიელთა რესპუბლიკასთან იყო გაერთიანებული სუვერენული სახელმწიფოს სტატუსით. განმარტებისთვის: სიმართლეა, რომ მთიელებმა დამოუკიდებლობა საქართველოზე აღრე, 1918 წლის 11 მაისს გამოაცხადეს, მაგრამ სიცრუეა, რომ აფხაზეთი მთიელთა რესპუბლიკაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით სარგებლობდა. შამბა-ნებროშინის მოსაზრება არცერთი დოკუმენტით არ დასტურდება, მათი დებულება სინამდვილეს ეწინააღმდეგება. მართლაცდა, როგორ შეიძლებოდა აფხაზეთის დამოუკიდებლად არსებობა მთიელთა რესპუბლიკის შემადგენლობაში? ნუთუ მთიელთა რესპუბლიკა კონფედერაციას წარმოადგენდა? იმ დროისთვის სრულიად გაურკვეველი იყო ამ აბსტრაქტული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის იურიდიული საფუძვლები, ხოლო მის დეკლარაციაში არაფერი არ იყო ნათქვამი მთიელთა სახელმწიფოებრივ მოწყობაზე... კიდევ ერთი ნიუანსი: მთიელთა ხელისუფლება ძირითადად დაღესტანსა და ჩეჩენეთზე ვრცელდებოდა, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთთან შედარებით ახლოს მდებარე ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებზე... გარდა ამისა, რომელი სუვერენული აფხაზეთის მთიელთა რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნაზეა საუბარი, როცა იმ დროს აფხაზეთში ბოლშევიკები პარპაშობდნენ, აფხაზური ელიტა კი კომუნისტებისგან გადარჩენასა და დახმარებას საქართველოს სოხოვდა?!

პროფესორთა ტანდემი იშველიებს 1918 წლის 8 და 11 ივნისს საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დადებულ შეთანხმებებს და აცხადებს, რომ ამ დოკუმენტებით თბილისმა სოხუმის ხელისუფლების დამოუკიდებლობა აღიარაო. არადა, ტექსტში აბსოლუტურად არაა ნახსენები აფხაზეთი, როგორც სახელმწიფო და არც მისი სუვერენობა-დამოუკიდებლობის აღიარება. ეს შეთანხმება არეგულირებდა მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების (მთავრობისა) და ქავკის ერთ-ერთი რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების - აფხაზეთის სახალხო საბჭოს უფლებამოსილებებს. როგორ იქნებოდა აფხაზეთი დამოუკიდებელი, როცა აფხაზეთის ადგილობრივ ორგანოებს თბილისი აფინანსებდა (მე-3 და მე-5 მუხლები), როცა აფხაზეთზე საქართველოს საერთო-სახელმწიფოებრივი კანონები ვრცელდებოდა (მე-6 და მე-8 მუხლები) და

როცა საგარეოპოლიტიკური საკითხების გადაჭრა (მე-4 მუხლი) საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა იყო?

უფლებამოსილებათა ამგვარი გამიჯვნა საკმაოდ ჩამოჰყავს ერთიანი სახელმწიფოს ფედერაციული ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობას, რაც იმ პერიოდის პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებული იყო, მით უმეტეს ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ტერმინ „ფედერაციის“ კლასიკური მნიშვნელობით ხმარება ქართულ-აფხაზური ურთიერთდამოკიდებულების სფეროში ძალზე გადაჭარბებული იქნებოდა.

საყურადღებოა: შეთანხმებათა დადების მომენტში აფხაზეთი არ არის ცალკე სახელმწიფო, ხოლო აფხაზეთის სახალხო საბჭო - არ არის აფხაზეთის მთავრობა, ის მხოლოდ პოლიტიკური, წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოების ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს. არადა, წიგნის ავტორები ჯიუტად, ფაქტების გაყალბებით ცდილობენ აფხაზური სეპარატიზმისათვის აბსტრაქტული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის რაღაც საფუძვლების ხელოვნურად შეთხვას.

ამგვარად, 1918 წლის ივნისში და მით უმეტეს, 1920 წლისათვის აფხაზეთი რეალურად შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში და ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ არსებობდა. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ იმ პოსტულატს, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება დე-ფაქტოდ და დე-იურედ მტკიცედ აკონტროლებდა სოხუმის ოკრუგის ტერიტორიას. ამის დამადასტურებელია 1919 წლის 20 მარტს არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტი სახელწოდებით „აფხაზეთის ავტონომიის აქტი“, რომელშიც სიტყვა-სიტყვითაა ჩაწერილი: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში როგორც მისი ავტონომიური ერთეული“. შევნიშნავთ, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებული ამ დოკუმენტით ფაქტოურად გაუქმდა ადრე დადებული შეთანხმებები ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რომლებსაც ასე ელოლიავებიან ავტორები.

რაც შეეხება შამბა-ნეპროშინის მიერ დამოწმებულ მთიელთა რესპუბლიკას, ის უკვე სახელმწიფოს სახით აღარ არსებობდა, ხოლო მისი ემიგრანტული მთავრობა თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში იყო შეყუებული.

აფხაზეთის „დამოუკიდებელი სტატუსის“ ზემოთაღნიშნული ყალბი დებულებების საფუძველზე პროფესორები ტარას შამბა და ალექსანდრე ნეპროშინი

აცხადებენ, რომ 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება უსამართლო და უკანონოა, რადგან თურმე დოკუმენტი სუვერენული აფხაზეთის თანხმობის გარეშე გაფორმებულა, თურმე აფხაზეთი საქართველოს უნებართვოდ მიუერთებია. აქ შამბა-ნეპროშინს პროტესტის გრძნობა ებადებათ და გულისტკივილით აღნიშნავენ - მოსკოვში არც კი იყვნენ მიწვეული აფხაზეთის წარმომადგენლებიო. „ხელშეკრულების დადებისას ფაქტიურად ადგილი ჰქონდა ორი ქვეყნის (რუსეთისა და საქართველოს) შეთქმულებას მესამე დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს (ე. ი. აფხაზეთის) მიმართ და წარმომადგენდა სამართალსაწინააღმდეგო ქმედებას - აგრესიას, ოკუპაციას, საქართველოს მიერ აფხაზეთთან დადებული ყველა ხელშეკრულების დარღვევას, რამაც შექმნა წინამდგრები საქართველოს მხრიდან აფხაზეთის ანექსიისა“, - აღნიშნულია წიგნში. შემდეგ ავტორები ცდილობენ თავიანთი პოზიციები ჯერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე შემუშავებული რომის სამართლის პრინციპებით განამტკიცონ (ორი პირის მიერ მესამის უფლებების უსამართლო დარღვევა), მერე კი თანამედროვე, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო სამართალს იშველიერებს, ვენის კონვენციის ჩათვლით.

ამ საკითხში შამბა-ნეპროშინის აზრთა ანალიზის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან აქსიომას: როცა 1918-20 წლების ისტორიული მოვლენებისა თუ ფაქტების შეფასებას ვცდილობთ, უნდა ვიხელმძღვანელოთ არა ძველი რომის იმპერიის სამართლის ნორმებით ან 1960-იანი წლების კონვენციებით, არამედ 1918 წლისათვის არსებული საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპებით. უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური სიტუაცია, მოვლენათა რეალური არსი და იმ ეპოქისდროინდელი, ანუ მე-20 საუკუნის ათიანი წლების სახელმწიფო სამართლის დებულებები.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ, რომ იმ პერიოდში საერთაშორისო სამართლის ნორმები უკვე არსებობდნენ და ისინი საკმაოდ კარგად იყვნენ ჩამოყალიბებული, მაგალითად, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორისა და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტის ფიოდორ მარტენსის მიერ დაწერილ სქელტანიან ნაშრომში სახელწოდებით „ცივილიზებული ხალხების საერთაშორისო სამართალი“, რომელიც იმდროინდელ მსოფლიოში ფართოდ გამოიყენებოდა და 1940 წლამდე საერთაშორისო სამართლის სფეროში ერთგვარ ეტალონს წარმოადგენდა.

როგორც ფიოდორ მარტენსი მიუთითებს, სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ის მართლაც სუვერენული და დამოუკიდებელია, ანუ აქვს დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარების ძალა და უფლება. საკმარისია ითქვას, რომ 1920 წლის მაისისათვის საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად იყო აღიარებული ევროპის, აზიასა და ლათინური ამერიკის რიგი სახელმწიფოების მიერ, ხოლო თბილისში უცხო ქვეყნების მრავალი საელჩო თუ დიპლომატიური მისია ფუნქციონირებდა. რაც შეეხება აფხაზეთს, მისი კ. წ. სუვერენიტეტი (შამბა-ნეპროშინის ინტერპრეტაციით) არცერთ საერთაშორისო თუ საშინაო პოლიტიკურ დოკუმენტში მოხსენიებული არ არის. ეს იმიტომ, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთი ბუნებაში არ არსებობდა. სხვათა შორის, ფიოდორ მარტენსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კ. წ. ნახევრად დამოუკიდებელი ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობებში არანაირი სახით არ მონაწილეობენ, აფხაზეთს კი არც „ნახევრად დამოუკიდებელი ქვეყნის“ სტატუსი არ გააჩნდა.

შესაბამისად, აბსოლუტურად მცდარი და არასწორია პატივცემული პროფესორების მტკიცება, თითქოსდა რუსეთთან ხელშეკრულების დადებისა და საზღვრების გარკვევის დროს საქართველოს მთავრობას თურმე აფხაზეთისგან ნებართვა უნდა აედო. იმ პერიოდში და იმ ეპოქაში მოქმედი საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, ცენტრი ამგვარ საკითხებს რეგიონების დაუკითხავად, მაგრამ სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით წყვეტდა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვიმეორებთ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების ფორმა, მიზნები და ხასიათი სავსებით შეესაბამება იმ დროისათვის არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და მხარეთა ინტერესებს. რაც შეხება ცალკეულ მუხლებში მოცემულ ზოგიერთ დებულებას, რომელიც საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) ოპოზიციური დეპუტატების მიერ ნებატიურად და გაუმართლებელ კომპრომისებად იქნა მიჩნეული (მხედველობაში გვაქვს მე-10 მუხლი და „დამატებები“), ეს ფაქტი ხელშეკრულების ძირითად დადებით ხასიათს ვერ აკნინებს.

სამწუხაროდ, ტარას შამბასა და ალექსანდრე ნეპროშინის ერთობლივ ნაშრომში გადმოცემული ყალბი მტკიცებები საქართველოს მტრებისა და აფხაზთა სეპარატიზმის მხარდამჭერებისათვის ერთგვარ სამოქმედო სახელმძღვანელოდ იქცა.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პრიტიკოსთა და აფხაზ სეპარატისტთა აქტიურ მხარდამჭერ რუს ექსპრტ-პოლიტოლოგებს შორის გამოირჩევა ანატოლი ციგანოკი, სამხედრო და პოლიტიკური ანალიზის ინსტიტუტის თანამშრომელი, პოლკოვნიკი, რომელიც რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი საბჭოს წევრიცაა.

ბოლო წლების განმავლობაში ანატოლი ციგანოკმა რუსეთის ელექტრონულ მასმედიაში რამდენიმე სტატია გამოქვეყნა (მაგ. „აფხაზეთისა და სამხერეთ ოსეთის აღიარების ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლები“, „რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეცდომები ქავგასიის მიმართულებით“ და ა. შ.), რომლებშიც იგი, იმეორებს სიტყვა-სიტყვით შამბა-ნებაროშინის ყალბ დებულებებს, მას საკუთარ ნააზრევსაც უმატებს და აფხაზეთს 1918 წლიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მიჩნევს.

რუსი სამხედრო მკვლევარის აზრით, რადგან აფხაზეთის სახალხო საბჭომ 1917 წლის ნოემბერში მიიღო დადგენილება ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი „მთიელების, კაზაკებისა და სტეპის თავისუფალი ხალხების სამხერეთ-აღმოსავლეთ კავშირში“ გაერთიანების შესახებ, ეს ნიშნავს, რომ სოხუმის ოკრუგი უკვე გამოეყო ქუთაისის გუბერნიას და იმდროინდელი ამიერკავკასიისაგან (ანუ ამ შემთხვევაში საქართველოსგან) დამოუკიდებელი გახდა.

აღნიშნულ შემთხვევაში ანატოლი ციგანოკი ყურადღებას არ აქცევს არც აფხაზეთის სახალხო საბჭოს ხესნებული დადგენილების ფიქტიურ ხასიათს, არც იმ პოლიტიკურ სიტუაციას, რომლის გავლენით იქნა მიღებული გადაწყვეტილება „სამხერეთ-აღმოსავლეთ კავშირში“ გაერთიანების თაობაზე: არადა, ეს ის დროა, როცა რუსეთში, განსაკუთრებით კი მის სამხერეთ ნაწილში (კერძოდ, კავკასიაში) როცენი პროცესები მიმდინარეობს, ცენტრის კონტროლი განაპირა მხარეებზე შესუსტებულია, ადგილებზე ყალიბდება პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ორგანოები (საბჭოები), რომლებიც ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ეროვნული ინტერესების გამომხატველ ინსტიტუტებს წარმოადგენენ.

ამგვარი ორგანოები კავკასიაში საკმაოდ მრავლად იყო, თუმცა ყველა ისინი საკუთარ თავს და შესაბამისად იმიერ-ამიერკავკასიას კვლავ რუსეთის შემადგენლობაში განიხილავდნენ, საუბრები დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებაზე ჯერ-ჯერობით არ მიდის. უფრო მეტიც - ამიერკავკასიას (სოხუმის

ოკრუგის ჩათვლით) საქმაოდ მტკიცედ აკონტროლებს ჯერ „ოზაკომი“ („ოსობიი ზაკავკაზსკიი კომიტეტ“ - რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაცია), შემდეგ კი რეგიონის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები - ამიერკავკასიის კომისარიატი და სეიმი, რომლებშიც ქართველი პოლიტიკოსები დომინირებდნენ.

სწორედ ქართველების დამსახურებაა ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 7 დეკემბრის დადგენილების თანახმად, სოხუმის ოკრუგს გაგრის რაიონი მიუკრთდა, კ. ი. აფხაზეთი, შეიძლება ითქვას, კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში შედიოდა. გარდა ამისა, შენარჩუნებული იყო ერთიანი ფინანსურ-ეკონომიკური და საკომუნიკაციო სისტემაც.

ამგვარად, აფხაზეთზე რეალურად ვრცელდებოდა ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის უფლებამოსილება და ამ თვალსაზრისით რუსი მკვლევარის მტკიცება, თითქოსდა აფხაზეთი საქართველოსგან გამოყოფილი იყო, უსაფუძვლო და მცდარია.

ანატოლი ციგანოკს ასევე ზუსტად აქვს გადაწერილი შამბა-ნეკროშინის შეფასებები 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებების შესახებაც, იმეორებს რა ზემოთ მოხსენიებულ რომის სამართლის ნორმებს და 1960-იანი წლების ვენის კონვენციებს.

როგორც ჩანს, რუსმა მკვლევარმა თავი არ შეიწუხა დამატებითი საარქივო მასალების მოკვლევით, არ გადაამოწმა პროფესორების ნაზრევი და მკითხველს საკუთარ მტკიცებულებად წარუდგინა.

2.2 საბჭოთა პოლიტიკური სისტემა აფხაზეთში (XX ს. 20-60-იანი წლები)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს არქივში მოიპოვება მასალები, რომელიც ასახავს, თუ რა დესტრუქციულ პოლიტიკას ეწეოდა საბჭოთა რუსეთი საქართველოს მიმართ უკვე XX საუკუნის 20-30-იან წლებში. ბოლშევიკების ანტიქართული პროპაგანდა მთლიანად ეფუძნებოდა ყბადაღებული ლოზუნგის – „ერთა თვითგამორკვევის უფლების“ ცხოვრებაში განხორციელებას (Сагария 1983: 249).

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის ოფიციალური დაფიქსირებით საბოლოოდ წერტილი დაესვა ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში აფხაზეთის რეინტეგრაციის (ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვალ-ივნისში დაწყებულ) პროცესს და აფხაზეთის ავტონომია კონსტიტუციურად გაფორმდა.

1921 წლის 11 თებერვალს, როგორც ცნობილია, იფეოქა აჯანყებამ ბორჩალოს მაზრაში. აფხაზეთი იმთავითვე ჩართეს „რევოლუციურ ქარიშხალში“. 1921 წლის მარტში საბჭოთა ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამყარების შემდეგ უპირველეს ამოცანად იქცა აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი.

თავის დროზე, როგორც უკვე აღინიშნა, კრემლის ბოლშევიკური რეჟიმი და მისი ქართველი და აფხაზი დამქაშები აფხაზეთში ეწეოდნენ მკვეთრად გამოხატულ ანტიქართულ პროპაგანდას. ამ აღვირასნილი ანტიქართული კამპანიის ტონისმიმცემი იყვნენ ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე, რომლებიც თავიანთი პუბლიკაციებით, კონკრეტული მოქმედებით ახდენდნენ პროგრაციული სეპარატისტული გამოხდომების ინსპირირებას საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, მათ შორის, პირველ რიგში, აფხაზეთში.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 4 მარტს საბჭოთა ხელისუფლება სოხუმში გამოცხადდა, მარტის შუა რიცხვებისთვის კი წითელმა არმიამ დაასრულა სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა. 6 მარტს შეიქმნა აფხაზეთის რევკომი გ. ეშაას (თავმჯდომარე), 6. ლაკობასა და ი. აქირთავას შემადგენლობით. ფუნქციონირება დაიწყო აგრეთვე რკპ (ბ) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიურომ. ამავე დროს ბოლშევიკებს თავისი გეგმები ჰქონდათ საქართველოს მომავალი მოწყობის შესახებ. ეფრემ ეშაა აფხაზეთის რევკომის სახელით მოითხოვდა აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას ან აფხაზეთის შესვლას რსფსრ-ის შემადგენლობაში.

1921 წლის აპრილში რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში გენერალ-მაიორი პ. სიტინი მთავრობისადმი მოსკოვში გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ტერიტორიული და მატერიალური

დასუსტებისათვის აუცილებელი იყო აფხაზეთის ტერიტორიის საქართველოსაგან ჩამოცილება (სონდულაშვილი 2014: 68).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი არ ფიგურირებდა კავკასიის ეკონომიკურ კავშირში, რომელიც შეიქმნა 1921 წ. აგვისტოში. კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, აგრეთვე: დაღესტანი, მთიელთა რესპუბლიკა, ყაბარდო და ნახიჭევანი. აფხაზეთი ასევე არ შედიოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის „ეკონომიკურ ბიუროში“, რომელიც შექმნა რესეფტის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ 1921 წ. 16 აგვისტოს (Гамахария 1997).

1921 წ. 24 ნოემბერს რკ (ბ) კავბიუროს გადაწყვეტილებით რესეფტის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ორგბიურო აფხაზეთში დაუქვემდებარეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო ე. ეშა შევვანილ იქნა საქართველოს კპ ცპ-ის შემადგენლობაში.

1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში და ამიერიდან აფხაზეთი იწოდა სახელშეკრულებო რესპუბლიკად.

იმავე დღეს, აღნიშნული ხელშეკრულება დაადასტურა საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების ყრილობამაც. ამან ასახვა ჰქოვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში. მასში აღნიშნულია, რომ აფხაზეთი საქართველოს უკავშირდება განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულებით. აღნიშნული კონსტიტუცია დამტკიცებულ იქნა 1922 წელს საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე (ერემოვი 1980: 26).

1922 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა აფხაზეთისა და საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი გაერთიანება. აფხაზეთის სახელშეკრულებო რესპუბლიკას საკავშირო, ცენტრალური ხელისუფლება ფაქტობრივად ავტონომიური რესპუბლიკების მწკრივში განიხილავდა და ეს აისახა სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში, სადაც აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად არის მოხსენიებული (ორიძე 1999: 78).

საქართველოს სსრ კონსტიტუციაშიც აღინიშნულია აფხაზეთის რეგიონის სტატუსის შესახებ. „აფხაზეთი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას – ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე“.

1925 წლის 26 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით ქ. სოხუმში მიმდინარეობდა აფხაზეთის საბჭოების III ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა აფხაზეთის სსრ კონსტიტუცია.

უკანასკნელ პერიოდში ქართველმა მეცნიერებმა მოგვცეს ამ დოკუმენტის ამომწურავი სამართლებრივი ანალიზი და მიუთითეს მის იურიდიულ გაუმართაობაზე. პირველი, რასაც მიაქციეს ყურადღება ქართველმა ისტორიკოსებმა, არის წინააღმდეგობა კონსტიტუციის ცალკეულ მუხლებს შორის (ვაპასქირი 2007: 101).

ერთ-ერთ ყბადაღებულ თემას, რომელსაც ხშირად იყენებენ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები თავიანთ ანტიქართულ კამპანიაში, წარმოადგენს 30-იანი წლების რეპრესიები.

რეპრესიები დაიწყო ჯერ კიდევ ვ. ლენინის სიცოცხლეში, როდესაც საბჭოთა რეჟიმმა შეიწირა არაერთი უდანაშაულო ადამიანი. თუმცა, თავის მწვერვალს რეპრესიებმა 30-ანი წლების მეორე ნახევარში მიაღწია. რეპრესიებმა მოიცვა მთელი ქვეყანა. ბუნებრივია, ის ვერ ასცდებოდა საქართველოსაც. პირიქით, სწორედ საქართველოში წმენდა ჩატარდა განსაკუთრებული სისახტიკით და რეპრესიებმა მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია. ამის მიზეზი იყო ის, რომ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, მაინც ვერ მოახერხა ქართული ინტელიგენციის ბოლომდე დაშანება და ის არ იჩენდა საჭირო ლოიალობას მმართველი ხელისუფლებისადმი.

რეპრესიები თავს დაატყდათ საქართველოს ბოლშევიკური ელიტის წარმომადგენლებსაც. დახვრეტილ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის „ნაციონალ-უკლონისტური“ ხელმძღვანელობა.

1930 წლის აპრილში აფხაზეთის ცაგ-ის III სესიამ, ნებრორ ლაკობას მოხსენების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუციიდან ცნება „Договорная республика“-ს ამოღებისა და მის ნაცვლად მირითად კანონში ცნება „Автономная Республика“-ს ჩასმის თაობაზე.

1931 წლის თებერვალში აფხაზეთის სსრ-ის გარდაქმნამ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, როგორც ირკვევა, სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური საზოგადოების რისხვა გამოიწვია.

1931 წლის 18 თებერვალს, აფხაზეთის ასსრ-ის შექმნიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშში დაიწყო ე.წ. „აფხაზთა სახალხო ყრილობა“, რომელიც გაგრძელდა 26 თებერვლამდე.

1931 წლის აპრილში კი უკვე აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ, მოიწონა რა აფხაზეთის ცაის III სესიის ზემოადნიშნული გადაწყვეტილება, სათანადო შესწორებები შეიტანა კონსტიტუციაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზთა გამოსვლის მიზეზად სახელდებოდა მოსახლეობის ფართო ფენების უქმაყოფილება სოფლის მეურნეობის პოლექტივიზაციის გამო, მაგრამ ეს შეხედულება უკანასკნელ პერიოდში გადაისინჯა. აფხაზი ისტორიკოსის სტანისლავ ლაკობას სავსებით არგუმენტირებული დასკვნით, აფხაზთა ეს ამბოხი პირდაპირ უკავშირდებოდა აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსის შეცვლას (პაპასქირი 2007: 119).

საინტერესოა ისტორიული სიმართლე ე. წ. „სუვერენული“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ 1921-1931 წლებში, რომელიც, ფორმალურად იწოდებოდა „სახელშეკრულებო რესპუბლიკად“, სინამდვილეში კი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ოფიციალურად შედიოდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში და „დე-ფაქტო“ უკვე მაშინ წარმოადგენდა მის ავტონომიურ ქრონიკას.

ყოველგვარი მტკიცება იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთის სსრ 1921-1931 წლებში იყო საქართველოსგან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც მან დაკარგა 1931 წელს ი. სტალინისა და ლ. ბერიას სასტიკი ქმედებების შედეგად, აფხაზური სეპარატისტების უნიჭო პოლიტიკური მოსაზრებაა. ამით ისინი ცდილობენ, კიდევ ერთი ისტორიული სიყალბით განამტკიცონ სეპარატისტული ზრახვები და აფხაზურ საზოგადოებაში გააღვივონ ანტიქართული განწყობილებები.

აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის ტრანსფორმაციის ანალიზისას აფხაზური ისტორიოგრაფია ავითარებს აშკარად რედუცირებულ და ყოველგვარი ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ტრადიციებისაგან მოწყვეტილ სქემას

„აფხაზი ხალხის კანონიერი უფლებების ხელყოფისა და საქართველოს საკავშირო-რესპუბლიკური იმპერიის შექმნის შესახებ”. აფხაზი ისტორიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ „აფხაზეთის სტატუსის დამცრობა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის დონემდე წარმოადგენდა აფხაზეთის სუვერენული უფლებების უხეშ დარღვევას, რომელსაც მოჰყვა რესპუბლიკაზე ტერორი და აფხაზი ხალხის პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის სრული (?) განადგურება (Бгажба 2007: 396).

XX საუკუნის 20-30-იან წლებში გატარებულმა რეპრესიებმა საქართველოს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ტერორს შეეწირა ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები. აფხაზი ოპონენტები ცდილობენ მოიძიონ ბოროტება ქართველებში. თუმცა ეს ბოროტება წარმოქმნა საბჭოთა ტოტალიტარულმა სისტემამ, რომლის მოშლას ასე გულისტყივილით განიცდიან აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები და წარმომადგენლები.

* * * * *

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან აფხაზეთის წარმოადგენს სამი იდეოლოგიური სისტემის, სამი მსოფლმხედველობრივი სამყაროს კონფლიქტის გელს.

აფხაზური სეპარატიზმის მიერ XX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაწყებული ანტიქართული საპროტესტო კამპანია მთლიანად ექვემდებარებოდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობას, რომელიც სტიმულს აძლევდა აფხაზეთში სეპარატისტული უჯრედების შექმნას და კოორდინაციას უწევდა მათ საქმიანობას. სწორედ ამაში ვლინდება აფხაზური სეპარატიზმისთვის დამახასიათებელი და გარკვეულწილად აუხსნელი ნეგატიური სოლიდარობის ფენომენი; თავისი ანტიქართული მიზნების რეალიზაციისთვის ის გაერთიანდა რუსულ იმპერიალიზმთან.

აფხაზეთის ერთიანი საქართველოსაგან გამოყოფის იდეა და მისი იურიდიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტების დამუშავების მცდელობა ოფიციალურად პირველად დაფიქსირდა XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში. საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის გარკვეულ ჯგუფში შეიქმნა აფხაზეთისა და სოჭის ოლქის კურორტების გაერთიანების და ამის ბაზაზე

მოსკოვისადმი უშუალო დაქვემდებარებით ერთიანი შავიზღვისპირა საკურორტო ოლქის შექმნის პროექტი.

„საკურორტო რესპუბლიკის“ შექმნის იმპერიული იდეა პირველად გააქციერა საკავშირო კპ (ბ) ცპ-ს მდივანმა მ. სუსლოვმა 1945 წელს, როგორც ამას აღნიშნავს თავის მემუარებში აკ. მგელაძე, 1943-1951 წლებში საქართველოს კპ (ბ) აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი. თუმცა ჩანს, რომ მ. სუსლოვის ამ ავანტიურისტულ აქციას საკითხის წამოჭრისა და ვითარების წინასწარი ზონდირების ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

აფხაზეთის საზოგადოებრივი და კულტურული გარემო, მისი პოლიტიკური სივრცე ერთგვარად გაჯერებულია სამი იდეოლოგიური სამყაროს – ქართული ნაციონალიზმის, რუსული იმპერიალიზმისა და აფხაზური სეპარატიზმის პერმანენტული შეჯახების სხვადასხვა ეტაპებით (ჯოჯუა 2007: 42).

მიუხედავად საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მოდვაწეობის და კონკრეტულად ლ. ბერიას რეპრესიული პოლიტიკის კრიტიკისა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 40-იანი წლებისა და 50-იანი წლების დასაწყისის კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაში საბჭოთა იმპერიის უმაღლეს იერარქიაში ლ. ბერიას პოლიტიკური ინტერესების რეგულირება აფხაზეთში, რითაც მათი დამცავი მექანიზმის და აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფის პრევენციის როლი შეასრულა.

1941 წელს გაჩაღდა სსრ კავშირ-გერმანიის ომი (1941-1945 წწ.). ომის დროს, 1942 წლის ზაფხულში ფრონტის ხაზი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს – აფხაზეთის ასს რესპუბლიკას უშუალოდ მოადგა. 15-16 აგვისტოს გერმანელმა ფაშისტებმა ხელთ იგდეს ქლუხორის, ხოლო 20 აგვისტოსთვის სანჩაროსა და მარჯების უდელტეხილები. 27 აგვისტოს გერმანელებმა აიდეს სოხუმის რაიონის მაღალმთიანი სოფელი ფსხუ და აფხაზეთის ასსრ დედაქალაქს 25-35 კმ-ით მოუახლოვდნენ. აგვისტოს დღეებში სოხუმი, ოჩამირე, ტყვარჩელის მიდამოები, სოფ. აძიუბეაში კოდორის ხიდის მიმდებარე ტერიტორია, გუდაუთისა და გალის რაიონები დაიბომბა.

ამ მძიმე დღეებში ადგილობრივი მოსახლეობისაგან გამანადგურებელი ბატალიონები ჩამოყალიბდა. სექტემბრის დასაწყისში 46-ე არმია გენერალ-ლეიტენანტ კონსტანტინე ლესელიძის მეთაურობით, აფხაზეთის გამანადგურებელ ბატალიონებთან ერთად (მეთაური აფხაზეთის ასსრ შე სახალხო კომისარი

ილარიონ გაგუა) კონტრშეტევაზე გადავიდა და 6 სექტემბერს ფსხუ დაიპავა. სექტემბრის მეორე ნახევრისათვის გერმანელები სანჩაროსა და ქლუხორის უღელტეხილებიდანაც განდევნეს.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს თუ დავაკვირდებით, 1931 წლიდან 1946 წლამდე, რაიმე მკვეთრი გამოსვლა არ პქონიათ ქართველების, საქართველოს წინააღმდეგ. საარქივო მასალებში წარმოდგენილია დოკუმენტი, რომელიც 1941-1945 წწ. ომისდროინდელ აფხაზეთს შეეხება. 1942 წლის 6 თქმობრით თარიღდება. წითელარმიელები მხოლოდ „მარადიორობით“ არ იყარგლებოდნენ და ძალადობის შემთხვევებიც ფიქსირდებოდა.

ამიტომაც შესაბამისი ზომების მიღებას ითხოვს დრანდის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ტ. სამუშია, რომელიც გულრიფშის რაიონული კომიტეტის მდიგან შ. გეთიას 1943 წელს ატყობინებს არსებული ვითარების შესახებ: „ბაბუშერას საშუალო სკოლაში განთავსებულია წითელარმიელთა ნაწილი. ამ ნაწილის მეომრები სვამენ და მთვრალები უმსგავსოდ იქცევიან. სამი მათგანი რამდენიმე დღის წინ კოლმეურნის სახლში შეიჭრა და იარაღის მუქარით დვინოსა და არაუს ითხოვდა, ეს ნამდვილად არ ყოფილა პირველი შემთხვევა, თუ ვინმე უარს გაბედავს, მაშინ უკვე ძალით ართმევენ ყველაფერს, რაც გააჩნიათ. ასევე იყო გოგონას გაუპატიურების მცდელობაც. ჩვენთან გამუდმებით შემოდის წითელარმიელების მიერ შევიწროებული, შეწუხებული მოსახლეობის საჩივრები და ამიტომაც გთხოვთ, მიიღოთ შესაბამისი ზომები“ (გასვიანი 2004: 140).

არქივის მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ წითელარმიელები მსგავსი ქმედებების გამო არაერთ გაფრთხილებას იღებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ თავგასულობას მაინც არ პქონდა საზღვარი.

პოლიტიკური რეპრესიები აფხაზეთში გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებშიც, რასაც მოჰყვა აფხაზი ინტელიგენციის – ს. ბასარიას, გ. მარდანიას, რ. კუპუბას, გ. კილასონიას, პ. ხვარცკიას, კ. ვებერის, ზ. აგრიას დაპატიმრება (Пачулия 1990: 19). საქართველოს შინსახომის ჯარების სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით 1942 წლის 8 მაისს ჯგუფის ყველა წევრი დახვრიტეს.

სერიოზული უკმაყოფილება აფხაზების მხრიდან შეინიშნება 1946 წელს, როდესაც გარკვეული წინააღმდეგობა მოჰყვა სკოლის რეფორმას, როდესაც

რესპუბლიკის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, პირველ რიგში, განათლების სამინისტრომ პროექტი წამოაყენა ქართული და რუსული სწავლების გაფართოების საკითხს: ქართული ენის სწავლების მე-5 კლასიდან, ხოლო რუსულის ყველა კლასში, განსაკუთრებით კი რუსულ სკოლებში. აფხაზეთის ინტელიგენციამ ეს აღიქვა, თავისი უფლებების შებდალვად ქართველების მხრივ და მოსკოვში გაგზავნილი საჩივრებით მოითხოვა ქართული სწავლებისა და ქართული სკოლების დიკვიდაცია.

კრემლის დირექტივით აფხაზეთში მცხოვრებ ბავშვებს (უპირატესად ქართველებს) ქართული – გოგებაშვილის „დედაენა“ ეკრძალებოდათ და ვალდებული იყვნენ რუსული ენა შეესწავლათ. აფხაზებს კი მათვის გაუგებარი რუსული (კირილიცის) გრაფიკის საფუძველზე დიმიტრი გულიას და კონსტანტინე მაჭავარიანის მიერ XIX საუკუნის 90-იან წლებში შემუშავებული „აფხაზური ანბანის“ საფუძველზე სწავლა ევალებოდათ, თუმცა თავისი თავისებურებისა და უცხო კლერადობის გამო მას ბავშვებმა თავი ვერ გაართვეს.

საქართველოსაგან გამოყოფისა და განკერძოების ტენდენცია (საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის წაქეზებითა და პროვოკაციული ქმედებებით) განსაკუთრებით XX საუკუნის 50-იან წლებში გადრმავდა, მაშინ როდესაც იოსებ სტალინი გარდაიცვალა. 1953 წლის მარტში იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობაში ძალაუფლებისათვის მძაფრი ბრძოლის შედეგად დაწყებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა უდიდესი გავლენა მოახდინა აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე და არსებითად განსაზღვრა კიდეც შემდგომი დესტრუქციული პროცესების მიმართულება. გარკვეულ ეტაპზე, XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ქართულმა პოზიტიურმა ნაციონალიზმმა არსებითად თავისი ასახვა ჰპოვა ისტორიოგრაფიაში.

შემთხვევით არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ აფხაზეთში ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე პირველი სერიოზული და ორგანიზებული რუსულ-აფხაზური შეტევის (1956-1957 წ.წ.) უშუალო საბაბს სწორედ პ. ინგოროვას წიგნის გამოცემა და ისტორიოგრაფიაში ე. წ. ინგოროვას ხაზის” მეცნიერული ოპტიმიზაცია წარმოადგენდა.

ტოტალიტარული სისტემისათვის დამახასიათებელი ყველა მანკიერება ეთნიკურად ქართველებს დაბრალდა და დაიწყო ქართველთა წინააღმდეგ ფარული ბრძოლა, რასაც მოჰყვა ქართველთა ძალდატანებითი გააფხაზება.

სკპ ცენტრალური კომიტეტის ახლადარჩეულმა ხელმძღვანელობამ, 6. სრუმშივის ხელმძღვანელობით, თითქოსდა დაიწყო სტალინური სისტემის დემონტაჟი. გაჩაღდა კამპანია პიროვნების კულტის აღმოსაფხვრელად. ერთ-ერთ შეცდომად გამოცხადდა აფხაზეთში სასკოლო რეფორმა და აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანა. 1954 წელს აფხაზური ანბანი შეიცვალა და ის გადაყვანილ იქნა „კირილიცაზე“. შექმნეს ე. წ. „აფხაზური სკოლები“, რაც იმაში გამოიხატა, რომ აფხაზურად სწავლება შემოიდეს მხოლოდ დაწყებით კლასებში, ხოლო V-X კლასებში სწავლება რუსულ ენაზე გადაიყვანეს. სრუმშივ-სუსლოვის ე. წ. ნაციონალური პოლიტიკის მახინჯი იდეით აფხაზები მზად იყვნენ მოეთხოვათ აფხაზეთის კრასნოდარის მხარესთან შეერთება (Стуруя 1996: 3-4).

სკპ XX ყრილობამ და 1956 წლის მარტის დღეებში ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის თავგანწირულმა აქციამ ახალი იმპულსი მისცა ანტიქართული განწყობილებების გამოვლინებას აფხაზეთში.

სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა აფხაზეთში ზუსტად შეარჩიეს მომენტი თბილისის წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად. კერძოდ, მათ კარგად გამოიყენეს საქართველოში 1956 წლის 5-9 მარტის „ანტისაბჭოური გამოსვლების“ შედეგად გამოწვეული კრემლის გადიზიანება (Лежава 1997: 170).

1956 წლის აპრილში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კოლექტივი საგასტროლოდ ჩავიდა აფხაზეთში, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ მისცა საშუალება კონცერტი ჩაეტარებინა.

აფხაზურ სეპარატისტულ მოძრაობაში გაჩნდნენ ახალი ლიდერები, რომელთა შორის გამოიკვეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ასლან ოტირბა, რომელიც სათავეში ჩაუდგა მაშინ ე. წ. „აფხაზურ ფრონტს“ და იგი ამავდროულად ცდილობდა, პარტიულ-იერარქიულ კიბეზე წინ წაწეულიყო და დაეკავებინა უფრო მაღალი პარტიული თანამდებობა.

სსრ კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში ნიკიტა სრუმშივის პოზიციების შემდგომ განმტკიცებასთან ერთად, სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა

აფხაზეთში კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი ანტიქართული პროპაგანდა (აღნიშნულ ვითარებაში ვერ გამოიჩინა სათანადო პრინციპულობა ვერც საქართველოს კაც-მა და ვერც აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა). საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა აშკარად იყო მიმართული მკვიდრი მოსახლეობის, ქართველების და აფხაზების წინააღმდეგ (თოთაძე 1990: 10).

სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ გაუძლეს, ერთი მხრივ, აფხაზი ნაციონალისტების შემოტევას, მეორე მხრივ კი კრემლის ახალი ხელმძღვანელობის ზეწოლას და ფაქტობრივად კაპიტულაცია გამოაცხადეს. აფხაზური მოსახლეობის ცალკეულმა ჯგუფებმა ალექს შემოარტყეს პარტიის საოლქო კომიტეტის შენობას. შეწყვიტეს მეცადინეობები აფხაზი ეროვნების სტუდენტებმა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და პედაგოგიურ სასწავლებელში.

1957 წლის 18 ივნისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღედგინათ ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და დასახლებული პუნქტის, რკინიგზის სადგურის და სხვა სახელები. აღნიშნული გადაწყვეტილებით სახელები უნდა შეცვლოდა 8 სასოფლო საბჭოს, 39 დასახლებულ პუნქტს, რკინიგზის 3 სადგურს, 5 „პლატფორმას“, 3 გადასასვლელს. ასევე უნდა შეცვლილიყო 11 დასახლებული პუნქტის ტრანსკრიპცია.

აფხაზები ცდილობდნენ ქართული სახელწოდებების გაუქმებას. მათთვის მთავარს წარმოადგენდა ქართული ტოპონიმების კვალის გაქრობა. ამ მოტივით მნიშვნელობა არ ჰქონდა რა სახელს დაარქმევდნენ. მაგალითად, მოითხოვდნენ რომ ბაღნარის სასოფლო საბჭოსთვის ეწოდებინათ ხრისტოფოროვო, განთიადის სასოფლო საბჭოსთვის – პილენკოვო და ა. შ. სინამდვილეში ეს სახელები აფხაზური არ იყო. მაგრამ მათთვის მთავარი იყო ქართული არ ყოფილიყო.

აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები გავიდნენ ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში და მოუწოდეს ხალხს საპროტესტო გამოსვლებისაკენ. დემონსტრაციულად უარი განაცხადა რეპეტიციებზე სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა დასმა. პროტესტის ნიშად ასევე უარი თქვა ქ. თბილისში კონცერტში მონაწილეობაზე აფხაზური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელმა ჩიჩაძმ.

ერთი შეხედვით, შეიქმნა აფხაზური მოსახლეობის „საყოველოაო დაუმორჩილებლობის“ ფონი. საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ

მოახდინა რეაგირება აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე და სასწრაფოდ მოიწვია ცპ-ის ბიუროს სხდომა, ბიუროს მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ივანე თარბამ – ცნობილმა აფხაზმა პოეტმა, იმჟამად პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის დარგში, არქიპო ლაბახუამ (პარტიული და სახელმწიფო მოდვაწე, იმჟამად აფხაზეთის ასერ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), ხუხუტი ბლაჟბამ (ცნობილი ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი) და ზემოთ ნახსენებმა ახლან ოტირბამ.

სეპარატიზმის ახალი ტალღის აგორების საბაბად კვლავ იქნა გამოყენებული სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებშიც, (აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგების აზრით) გაყალბებული იყო აფხაზი ხალხის ისტორიული წარსული. აფხაზი ინტელიგენციის ნაწილს მიაჩნდათ, რომ გარკვეული ძალები საქართველოში ცდილობდნენ წარმოადგინონ ისტორიული ფაქტები ისე, აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი და რომ მისი ისტორიული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართველები არიან. მათი თქმით დაგეგმილი იყო ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა, სადაც აღნიშნული იქნებოდა საქართველოს ყველა ავტონომიის ისტორია.

სპეციალურად შეიქმნა აფხაზეთის ისტორიოგრაფიის შემსწავლელი კომისია, თუმცა არც ერთი საკითხი არ იქნა მიყვანილი ბოლომდე. ისინი ასევე აცხადებენ, რომ არ იყო დარეგულირებული აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხები და ისტორიული აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდებები გადაკეთებულია, გაქართულებულია, მაგალითად, მდ. კუდრი 1980 წლის რუკაზე არის კოდორი და ა. შ.

აფხაზეთში ბავშვები ღებულობდნენ განათლებას აფხაზურ და რუსულ ენებზე და არ ფლობდნენ ქართულს და ვერ კითხულობენ საქართველოდან ქართულ ენაზე გამოგზავნილ საბუთებს. ისინი ამასთანავე, აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში პალიან დაბალია აფხაზი სტუდენტების პროცენტი. თუმცა გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ შექმნილი რეალური პირობები ეკონომიკური და კულტურული დონის გასაზრდელადაა და განიხილავენ ამას როგორც ლენინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგს, რომელიც მიმართულია მცირე ერების ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

XX საუგუნის 50-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული, უკვე 80-იანი წლების ბოლოსათვის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კრემლიდან

მართვადი პროცესის ფარგლებში განვითარებულმა ეთნოკრატიულმა პოლიტიკამ გამოიწვია სტაბილური ეთნიკური ნომენკლატურის შექმნა, თითქმის ყველა დონეზე დივერსიფიცირებული სტრუქტურით – ეთნიკური პარტოკრატიით, ეთნიკური ბიუროკრატიით.

1957 წლის 11-13 აპრილს ქ. სოხუმში გაიმართა 200 კაციანი საპროტესტო აქცია პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობასთან. მდელვარებას ადგილი ჰქონდა ა. მ. გორგის სახელობის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. აფხაზი ინტელიგენციის ცალკეული ჯგუფები გავიდნენ სოფლებში, მოძრაობის მასობრივი ბაზის შექმნისა და ორგანიზებული პროტესტის გამოწვევისათვის.

გაჩნდა პოლიტიკური ლოტუნგებიც. აფხაზი სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფებმა სკპ ცკ-ისა და პირადად ნ. ხრუშოვის სახელზე გააგზავნეს რამდენიმე წერილი-პეტიცია. ისინი მოითხოვდნენ 1957 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილების ბოლომდე შესრულებას, შიდარესპუბლიკური მიგრაციის შეწყვეტას და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რსფსრ-ს იურისდიქციაში გადასვლას (Лежава 1999: 127).

ვითარების ნორმალიზაცია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკური ხელმძღვანელობის ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს 1957 წლის 12 აპრილს და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს 15-16 აპრილის გადაწყვეტილებებმა დროებით, კონფლიქტური არსენალის აღმინისტრაციული კონსერვაციით, განმუხტა დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია.

სინამდვილეში 1957 წლის საპროტესტო აქცია წარმოადგენდა აფხაზური ეთნოკრატიის პირველ ორგანიზებულ გამოსვლას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, აფხაზური სეპარატიზმის პოლიტიკური პროექტის პირველ ოფიციალურ დემონსტრაციას, რომლის დროსაც ამ დესტრუქციულმა ფენომენმა გამოხატა თავისი პროიმპერიული პლასტი – რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით.

ქართველი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ სეპარატისტებმა საბჭოთა პერიოდში აფხაზეთში ანტიქართული აქციები მოაწყვეს. ბევრს ახსოვს თუ რა ფორმით და მასშტაბებით ტარდებოდა ასეთი აქციები იმ პერიოდში.

XX საუკუნის 60-იანი წლების პირველი ნახევარი, კრემლის იმპერორატიული პოლიტიკის ეფოლუციის თვალსაზრისით, ხასიათდება საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის მხრიდან აფხაზური სეპარატიზმის მხარდაჭერისა და პოლიტიკური პროტექციის ახალი ტალღით. პროაფხაზური იმპერიული პატერნალიზმის საპროგრამო დოკუმენტი იყო 1961 წელს შექმნილი „სუსლოვის დოქტრინა”.

1964 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში და უშუალოდ ნ. ხრუშოვის უახლოესი გარემოცვის წრეში შეიქმნა აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფისა და ოსფერ-ს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით მისი ინკორპორაციის გეგმა. აღნიშნული გეგმის შესახებ ირიბი ცნობა საქართველოს კომპარტიის ცქ-ს პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს მიაწოდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა მ. ბლაჟბამ. ამავე დროს, ბლაჟბამ მჟავანაძეს მიანიშნა პრობლემის სრული სერიოზულობის შესახებ, რადგან დაგეგმილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ცვლილებას უშუალოდ ნიკიტა ხრუშოვი ლობირებდა.

შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის ტრანსფორმაციის მზაკვრული გეგმის განხორციელება ჩაშალა 1964 წლის ოქტომბრის კრემლის „სასახლის გადატრიალებამ” და ბრეჟნევ-სემიჩასტნი-შელეპინის ჯგუფის მიერ ნიკიტა ხრუშოვის გადაყენებამ.

საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილია ის, თუ რა აქციები მოაწყვეს აფხაზმა სეპარატისტებმა 1967 წელს, რადგან ის მოვლენები არ შექდებოდა არც ქართულ, არც აფხაზურ და არც საკავშირო პრესით, რადიოთი ან ტელევიზიით, რადგან იყო ცენზურა.

2008 წელს ოკუპირებულ აფხაზეთში გამომავალმა გაზეომა „Эхо Абхазии” გამოაქვეყნა ვრცელი მასალა სათაურით: „Абхазия 1967 или взятие летнего”. საგაზეო პუბლიკაციის მიხედვით, აფხაზმა მწერალმა ჯუმა ახუბამ, რომელიც ასოციაცია „აფხაზეთის ინტელიგენციის” ხელმძღვანელია, წერილი გაუგზავნა იმჟამინდელ დე ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბალაფშის და მას სთხოვა სათანადოდ აღენიშნათ აღნიშნული თარიღი. ახუბას განცხადებით, ბალაფშმა დაავალა იმჟამინდელ-ვიცე პრემიერ ლეონიდ ლაპერბაიას, მოემზადებინა ამ თარიღის აღსანიშნავი ღონისძიებები.

თუმცა ამავე გაზეთი იტყობინებოდა, რომ აფხაზეთში იყო აღნიშნული თარიღის აღნიშნის მოწინააღმდეგ აფხაზთა ნაწილი. ეს ის ნაწილია აფხაზებისა, (ან მათი შთამომავლები) რომლებიც 1967 წელს გამოვიდნენ აქციის წინააღმდეგ. ისინი ქართველთა მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილნი.

1967 წლის მარტის შუა რიცხვებში სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფმა მიმართვა გაუგზავნა (სულ 45 ხელმოწერა) აფხაზეთის ასერის სახელისუფლებო ორგანოებს. ამ მიმართვაში ისინი ულტიმატუმის სახით კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზეთის ცალკეული ქართული ტოპონიმების აფხაზურით შეცვლას.

1967 წლის 28 მარტს აფხაზებმა უკვე თვითნებურად დაიწყეს აღნიშნული მოთხოვნის სისრულეში მოყვანა. ასე, ქ. სოხუმის ავტომატური სატელეფონო სადგურის ტექნიკოსმა აბგაჯავამ და მძღოლმა ცუამ საღებავებით გადაშალეს ყველა ქართული წარწერა საგზაო ნიშნებზე (ფირნიშებზე) მდ. ფსოუდან (საქართველო-რუსეთის საზღვრიდან) ბიჭვინთამდე. ამ ქმედებისათვის ორივე დააპატიმრეს. პასუხად, 1967 წლის 31 მარტს გაგრის მცხოვრებთა ერთი ჯგუფი ჩამოვიდა ქ. სოხუმში, სადაც მათ შეუერთდა რამდენიმე ათეული ადგილობრივი მაცხოვრებელი და ისინი (სულ 150 კაცამდე) ერთდროულად – ორ ნაწილად გაყოფილი გაემართნენ საქართველოს კა აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობებისაკენ.

აფხაზეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები შეაშინა პროტესტის ასე აშკარად გამოხატვამ და მათ მოსალოდნელი კრიზისის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით დაუყონებლივ გაათავისუფლეს დაკავებულნი, მაგრამ სეპარატისტები ამან არ დააკმაყოფილა და ისინი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ.

1967 წლის 7 აპრილს აფხაზური მოსახლეობის წარმომადგენლებმა (400 ადამიანამდე) ალეა შემოარტყა საქართველოს კა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობას, ხოლო მოგვიანებით გაემართნენ საზაფხულო თეატრისკენ და თვითნებურად დაიკავა და იქ გაიძახოდნენ ანტიქართულ ლოზუნგებს – დაუინებით მოითხოვდნენ საქართველოსაგან გამოყოფას ან აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნას. შუაღამისას, 12 საათზე მოეწყო შეხვედრა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან. ისინი ვერ დააკმაყოფილა ხელმძღვანელობის განმარტებებმა და მათ უშუალოდ მოსკოვის ჩარევა მოითხოვეს. დაისვა საკითხი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივნის ჩამოსვლის შესახებ.

ამავე დროს, მომზადდა წერილი სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დ. ი. ბრეჯენევის, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის, სკპ ცპ პოლიტბიუროს წევრების სახელზე, რომელშიც პალავ იქნა დაყენებული აფხაზეთის ასსრ საქართველოს სსრ შემადგენლობიდან გამოყვანისა და მისი „დამოუკიდებელ“ მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნის საკითხი. წერილში აღნიშნული იყო მთელი რიგი მოთხოვნები: აფხაზთა ურიგო ჩაწერა აფხაზეთში, მათი პრივილეგიები თანამდებობაზე დანიშვნის საქმეში, თურქეთიდან 200 ათასი აფხაზის (მუჭაჯირთა შთამომავლების) ჩასახლება აფხაზეთში და ა. შ. ამასთან, წერილში ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთში შემოღებული ყოფილიყო აფხაზური ენის სავალდებულო სწავლება საშუალო სკოლებში, აგრეთვე, წარმოება-დაწესებულებებში აფხაზურ ენაზე საქმის წარმოება და სხვ. მათ მხარს უჭერდნენ აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა.

1967 წლის 9 აპრილს შედგა კიდევ ერთ შეხვედრა „ამბოხებულებსა“ და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებს შორის, რომლის შემდეგაც მომიტინგეთა დიდმა ნაწილმა დატოვა საზაფხულო თეატრის შენობა. დარჩნენ მხოლოდ აქტივისტები, რომლებმაც აირჩიეს სარედაქციო კომისია სკპ ცენტრალურ კომიტეტში გასაგზავნი მიმართვის მოსამზადებლად. აღნიშნულ კომისიაში შევიდნენ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თამარ შავრილი, ახალგაზრდა მწერალი ჯუმა ახუბა, იურისტი ნიკოლოზ ყოლბაია – ქ. სოხუმის პროკურორის თანაშემწე, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი აზიზ აგრბა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ვარდანია და სხვა.

10 აპრილს დოკუმენტი უკვე მომზადებული იყო. იმავდროულად შეირჩა დელეგაცია, რომელიც უნდა ჩასულიყო ქ. მოსკოვში. ამ დელეგაციაში შევიდნენ თამარ შავრილი, ჯუმა ახუბა, აზიზ აგრბა, ხ. ჭამალუა, ო. შამბა, აგრეთვე ანატოლი ზუხბა და ოლეგ დამენია, რომლებიც დელეგაციას მოსკოვში უნდა შეერთებოდნენ.

დასახელებულ პირთაგან უკანასკნელ მომენტში ქ. მოსკოვში წასვლისაგან თავი შეიკავეს ცნობილმა ტყვარჩელელმა მეშახტემ ნ. შამბამ, კოლმეურნე კ-

შლარბამ, აგრეთვე სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დეკანის მოადგილემ ვალერი ყურასქუამ. მათ ნაცვლად, დელეგაციის ხელმძღვანელმა თამარ შავრილმა, თავისი ინიციატივით, დელეგაციაში შეიყვანა შ. ხაჯიმბა, იგორ მარხოლია, ა. შლარბა. დელეგაცია ქ. მოსკოვში მატარებლით ადლერიდან გაემგზავრა.

სკპ ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართვაში მოყვანილი იყო თბილისის მხრიდან აფხაზეთის შევიწროების „ფაქტები”. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ ავტომობიური რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მუზეუმისა, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების 90% და სავაჭრო ობიექტების 83% უშუალოდ თბილისისადმი იყო დაქვემდებარებული; რომ კურორტებისა და ტურიზმის მთელი შემოსავალი (აფხაზეთის ასერ საერთო ბიუჯეტის 50%) ირიცხებოდა საქართველოს სსრ ბიუჯეტში; რომ მიმდინარეობს აფხაზეთის ტყის სიმდიდრეების დაუნდობული განადგურება და ა. შ.

ამავე დროს, სკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ დოკუმენტებში სეპარატისტები აყენებდნენ აფხაზეთის ცალკეული ტოპონიმების აფხაზურად გადარქმევის, აფხაზი ეროვნების ადამიანებისათვის ქალაქებში ჩაწერისას უპირატესობის მინიჭებისა და მათი შრომითი მოწყობისათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობის, აფხაზეთის ავტომობიური რესპუბლიკის ყველა სკოლაში აფხაზური ენის სავალდებულო სწავლების შემოდების, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მხოლოდ აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნის, თურქეთიდან 200 ათასი მუჰაჯირ აფხაზთა შთამომავლის გადმოსახლების ორგანიზაციის, საქმის წარმოების აფხაზურ ენაზე გადაყვანისა და ა. შ. მოთხოვნებს.

სეპარატისტთა ლიდერების განცხადებით, აფხაზი ხალხისათვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხების გადაჭრა შეუძლებელი იყო აფხაზეთის ასერ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნის პირობებში. აქედან გამომდინარე, ისინი მოითხოვდნენ აფხაზეთის გამოსვლას საქართველოს სსრ შემადგენლობიდან და მისი მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსში აყვანას.

14 აპრილს უკვე შედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საგანგებო სხდომა, რომელზედაც მოიწვიეს წამყვანი მეცნიერები: აკად. გიორგი წერეთელი, აკად. გიორგი მელიქიშვილი; პროფესორები: შოთა მესხია,

მამია დუმბაძე, ირაკლი ანთელავა, ნიკოლოზ სტურუა, მარიამ ლორთქიფანიძე და სხვ. ბიუროს სხდომის მსვლელობისას, ქართველმა მეცნიერებმა მოახერხეს აკად. ნ. ბერძენიშვილის წიგნის დაცვა და, მიუხედავად სეპარატისტების კატეგორიული მოთხოვნისა, ის გადაურჩა აკრძალვას (Стурия 1955: 30)

1967 წლის 18 აპრილს სეპარატისტთა ჯგუფი მიიღო სკპპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ვიქტორ გასილიევმა, რომელიც კურირებას უწევდა საქართველოს. თ. შავრილი და მისი ჯგუფი ითხოვდა შეხვედრას უშუალოდ სკპპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ მდივანთან ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ალექსი კოსიგინთან, მაგრამ სეპარატისტების ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. აუდიენცია ასეთ მაღალ დონეზე არ შედგა, რის გამოც ისინი იძულებული შეიქნენ ქ. სოხუმში დაბრუნებულიყვნენ.

ამასობაში, საქართველოს კპ ცკ-მა აფხაზეთში სიტუაციის განსამუხტავად გარკვეული დონისძიებები ჩაატარეს. საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს სხდომა შედგა, რომელზეც განიხილეს მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ხელს აწერდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გალერიან კობახია, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბაგრატ შინქუბა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჩიქოვანი. ბიუროს სხდომაზე მათ გარდა მოწვეულნი იყვნენ აფხაზეთის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები: ს. ალანია (გუდაუთა), ი. ამიჩბა (ოჩამჩირე), ქვარანძია (ტყვარჩელი), ხ. ჯიქია (გაგრა), ა. ძაძუა (გალი), გ. კოკაია (სოხუმის რ-ნი).

რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ბიუროს სხდომაზე არ მიუღიათ და მხოლოდ საკითხის განხილვით დაკმაყოფილდნენ, თუმცა აკად. ნ. ბერძენიშვილის წიგნისა და ზოგიერთი სხვა ნაშრომის პუბლიკაცია შეცდომად იქნა აღიარებული. ასევე მართებულად მიიჩნიეს მოთხოვნა ცალკეული დასახლებული პუნქტებისათვის აფხაზური სახელწოდებების დაბრუნების შესახებ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში პოლიტიკური აქცენტები სწორად იყო დასმული და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს საკმაოდ მკაცრი შეფასებაც მიეცა, მოქმედებებში ერთგვარი წინაღმდეგობრიობა მაინც შეიმჩნეოდა. პირველ რიგში, ეს გამოვლინდა იმაში, რომ საქართველოს უმაღლესმა პარტიულმა ორგანომ, ფაქტობრივად ცალმხრივი ცენტურა დააწესა. შედეგად, ქართველ მეცნიერებს დიდი

ხნის მანძილზე არ ეძღვოდათ საშუალება, სათანადო პასუხი გაეცათ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსებისა და სხვა მოღვაწეთა პროპაგანდისათვის, რომელიც ფართოდ გაიშალა აფხაზეთში.

18 აპრილს ქ. სოხუმში შედგა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც ვრცელი მოხსენებით წარდგა საქართველოს კა ცენტ პირველი მდივანი ვასილ მუვანაძე. ამავე საკითხზე მსჯელობა გაგრძელდა საქართველოს კა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის VII პლენურზე, რომელზეც საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალერიან კობახიამ დაგმო ანტიქართული ამბოხის ინსპირატორთა ქმედებები.

21 მაისს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენურმა (მის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პეტრე როდიონოვი) დემონსტრაციულად გამოიყვანა საოლქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან და გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობებიდან საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დამიანე გოგოხია და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჩიქოვანი. და ეს მაშინ, როდესაც აფხაზი ხელმძღვანელების: საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვალერიან კობახიასა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბაგრატ შინქუბას პასუხისმგებლობის საკითხი არავის დაუსვამს.

აღსანიშნავია, რომ 1967 წლის განვითარებული მოვლენების გამო აფხაზი დამნაშავეები კი არ დაისაჯნენ, არამედ პირიქით, აფხაზეთში ქართველი თანამდებობის პირები – საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დ. გოგოხია და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჩიქოვანი განთავისუფლდნენ.

მორიგი ანტიქართული საპროტესტო გამოსვლის საბაბად სეპარატისტულმა ეთნოკრატიამ გამოიყენა მთელს საბჭოთა კავშირში კონსტიტუციური სისტემის ფორმალურ-იურიდიული შეცვლის პროცესის დაწყება. ცენტრალური საერთო საკავშირო კონსტიტუციის ახალი რედაქციის შექმნის პარალელურად, ცხადია, უნდა შეცვლილიყო საქართველოს რესპუბლიკური და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური კონსტიტუციებიც.

მეტი სიცხადისათვის მოგვყავს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუპ) მიერ მომზადებული საიდუმლო მოხსენება, სადაც აფხაზეთში 1967 წლის მოვლენებია ასახული და გაგზავნილია სკპ ცენტ: „მოგახსენებთ, რომ 1967 წლის მარტის შუა რიცხვებში სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფმა

45 კაცის რაოდენობით აფხაზეთის ასსრ-ის პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მისამართით გააგზავნა განცხადება რამდენიმე დასახლებული პუნქტის, გზაგასაყარის და ა. შ. ქართულიდან აფხაზურზე სახელების გადარქმევის მოთხოვნით.

28 მარტს უცნობმა პირებმა საღებავით გადახაზეს საგზაო ნიშნებზე ქართულ ენაზე შესრულებული ყველა წარწერა, დაწყებული სოჭის რაიონიდან, დამთავრებული კურორტ ბიჭვინთამდე.

ჩატარებული დონისძიებებით დადგინდა, რომ დამნაშავეები არიან სოხუმის ატს სამსახურის ტექნიკოსი აბგაჯავა და მძღოლი ცპუა, რომლებიც დაკავებულ იქნენ პროკურატურის მიერ, მავნებლობისა და ხულიგნობისათვის.

31 მარტს გაგრის რაიონის მკვიდრთა ჯგუფი 70 კაცის რაოდენობით სოხუმში ჩამოვიდა, სადაც მათ შეუერთდა კიდევ 80 ადამიანი. ეს პირები ორ ჯგუფად გაეშურნენ პარტიის საოლქო კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოსაკენ. ისინი ითხოვდნენ დაკავებულების გათავისუფლებას. შესაბამისი საუბრის შემდეგ შეკრებილები დაიშალნენ, ხოლო დაკავებულები 1 აპრილს გათავისუფლებული იქნენ თავდებით”.

სსრკ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. სემიჩასტნი.

1967 წლის 1 აპრილი (საწყისი №745)

მსგავსი სახის მოხსენებები ხდიდა იგზავნებოდა უშიშროების კომიტეტიდან, რაც ასახავდა აფხაზეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას.

ამასთანავე, წარმოვადგენთ ზემოხსენებული დოკუმენტის დამატებას, რომელიც სკპ ცენტრალურ კომიტეტს გაეგზავნა:

„1 აპრილის №745 მოხსენების დამატებად მოგახსენებეთ, რომ 7 აპრილს, დილით, ქ. სოხუმში პარტიის საოლქო კომიტეტის შენობასთან შეიკრიბა 400-მდე აფხაზი, რომლებმაც რაიკომში გააგზავნეს დელეგაცია 19 კაცის შემადგენლობით, რათა მიედოთ პასუხი მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებზე ზოგიერთი დასახლებული პუნქტის, გზის გასაყარის და სხვ. ქართული დასახლებებიდან აფხაზურზე გადარქმევის თაობაზე. არ დაკმაყოფილდნენ რა პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკთა განმარტებებით, შეკრებილები და სხვა მათთან შეერთებული ადგილობრივი მცხოვრებლები - სულ ათას კაცამდე – გაეშურნენ საზაფხულო თეატრისაკენ და თვითნებურად დაიკავეს ის. დამის 12 საათზე თეატრში მივიდნენ

ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები, რომლებმაც შესაბამისი განმარტებები მისცეს შეკრებილებს და შესთავაზეს მათ, გაეთავისუფლებინათ თეატრი და დაშლილიყვნენ. მაგრამ შეკრებილებმა უარყვეს ეს მოთხოვნები და მოითხოვდნენ, რომ მათთან ჩამოსულიყო სკპ ცპ-ის ერთ-ერთი მდივანი.

რესპუბლიკის ხელმძღვანელების წასვლის შემდეგ შეკრების ორგანიზაციონურების წინადადებით არჩეული იყო პრეზიდიუმი სამი კაცის შემადგენლობით და წაიკითხეს სკპ ცპ-ის მისამართით წინასწარ გამზადებული მკვეთრად ნაციონალისტური ხასიათის წერილი, რომელიც მიმართული იყო ვითომდაც არსებული ქართული შოვინიზმის წინააღმდეგ, აფხაზეთის გამოყოფაზე საქართველოს სსრ-გან და მის გარდაქმნაზე საკავშირო რესპუბლიკად”.

სსრკ სუპ-ის თავმჯდომარე

ვ. სემიჩასტნი

(საწყისი №827, 1967 წლის 10 აპრილი).

საარქივო მასალებიდან მოპოვებული დოკუმენტებიდან ასევე აღსანიშნავია, წერილი, რომელიც გაეგზავნა სკპ ცენტრალურ კომიტეტს და ასახავს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს XX საუკუნის 60-იან წლებში:

„1967 წლის 10 აპრილს №827 მოხსენების დამატებად მოგახსენებთ, რომ სკპ ცპ-ში გასაგზავნი წერილის შესადგენად სოხუმის თეატრში შეგროვილებმა შექმნეს კომისია 20 კაცის შემადგენლობით, მათ რიცხვში არიან თ. პ. შაკრილი, ნ. ყოლბაია - ქალაქის პროკურორის თანაშემწე, კ. ხ. გარდანია - ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ჯ. ახუბა - დრამატული თეატრის ლიტერატურული თანამშრომელი და სხვ. ზოგიერთი პირი შეყვანილი იყო კომისიის შემადგენლობაში მათი კრებაზე არყოფნის პერიოდში.

10 აპრილის 16 საათზე თეატრის გადაჭედილ დარბაზში, სადაც ათასზე მეტი ადამიანი იყო თავშეყრილი, წაიკითხეს კომისიის მიერ შედგენილი საბუთი, რომელშიც ისევ მეორდება ცილისმწამებლური გამოხდომები საქართველოს მიმართ და წამოყენებულია მოთხოვნები აფხაზეთის ასსრ-ის გარდაქმნაზე საკავშირო რესპუბლიკად.

არჩეულ იქნა დელეგაცია 7 კაცის რაოდენობით მოსკოვში გასამგზავრებლად. ამის გარდა, შეკრებილებმა გამოყვეს 20-30 კაცისაგან შემდგარი

წარმომადგენლების ჯგუფი და დატოვეს სოხუმში, რომლისთვისაც მოსკოვში მივლინებულ ჯგუფს ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა მოსკოვში მათი მოთხოვნის განხილვის თაობაზე.

დელეგაციის წევრები, რომლებიც ავტომანქანებით გაემგზავრნენ ადლერში (110 ქმ), - ხოლო იქიდან მატარებლით მოსკოვში, - აპირებდნენ გაჩერებას აფხაზეთის ასხერ რიგ რაიონებში და იქ მათი „მისიის“ მხარდამჭერი მიტინგების ორგანიზებას, მაგრამ გატარებული დონისძიებებით შესაძლებელი გახდა ამ შეკრებების აღკვეთა.

სკპ ცენტრალური მიმართვის ტექსტის საბოლოო რედაქტირება მოსკოვში მოხდა მწერალ გ. დ. გულიას დახმარებით, რომელიც „Литературная газета“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრია და რომელსაც ადრეც აქვს მიღებული მონაწილეობა ამგვარი დოკუმენტების შემუშავებაში.

აფხაზი ინტელიგენციის ზოგი წარმომადგენელი ავლენს არაგულწრფელობას და ორპირობას, ასე მაგალითად, პროფესორი შალვა ინალ-იფა, აფხაზური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, სკპ-ის წევრი, რომელსაც პარტიის საოლქო კომიტეტმა დაავალა შეკრებილთა შორის ჩაეტარებინა განმარტებითი სამუშაოები, ამის მაგივრად მან რედაქტირება მოახდინა ნაციონალისტური დოკუმენტისა, რომელიც შეკრებილებმა 10 აპრილს მიიღეს”.

სსრკ სუპ-ის თავმჯდომარე
გ. სემიჩასტინი
(საწყისი №850, 1967 წლის 12 აპრილი)

საინტერესოა კიდევ ერთი საარქივო დოკუმენტი, სადაც საუბარია XX საუკუნის 60-იანი წლების აფხაზეთის მოვლენებზე:

„1967 წლის 12 აპრილი საწყისი №850 მოხსენების დამატებად მოგახსენებთ, რომ სოხუმში შეკრებილთა მიერ გამოგზავნილი „დელეგატების“ ჯგუფიდან მოსკოვში ჩამოვიდნენ: თ. პ. შაგრილი, 1926 წ. დაბადებული, უპარტიო, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის აფხაზური ენის კათედრის გამგე, კ. ხ. ჩამაგუა, 1928 წ. დაბადებული, სკპ წევრი, გაგრის მე-2 საშუალო სკოლის ისტორიისა და აფხაზური ენის მასწავლებელი, თ.

ბ. შამბა, 1938 წ. დაბადებული, სკპპ წევრი, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელი ჯ. ვ. ახუბა 1937 წ. დაბადებული, უპარტიო – სოხუმის დრამატული თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე, აზიზი აგრძა, 1912 წ. დაბადებული, უპარტიო, საქართველო სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სოხუმის დრამატული თეატრის აფხაზური დასის მსახიობი.

კიდევ სამბა პირმა, რომლებიც შეკრებილებმა შეიყვანეს მოსკოვში გასამგზავრებელ დელეგაციაში, ჯერ კიდევ სოხუმში უარი თქვეს მოსკოვში გამგზავრებაზე, ესენი არიან: ნ. გ. შამბა, ცნობილი მეშახეტყ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო დეპუტატი: კ. ფ. შლარბა – ცნობილი კოლმეურნე და ვ. ბ. ფურასკუა – სკპპ-ის წევრი, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. მათ ნაცვლად ამ დელეგაციაში შეიყვანა შ. დ. ხაჯიმბა, 1936 წ. დაბადებული, აფხაზეთის ასსრ-ის სტატისტიკური სამმართველოს თანამშრომელი; ი. გ. მარხოლია 1946 წ. დაბადებული, კომკავშირის წევრი, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი და 97 წლის პენსიონერი ა. შლარბა. ამ „დელეგაციას“ დაცვის სახით ახლდა 10 აფხაზი ეროვნების ახალგაზრდა.

მოსკოვში ჩამოსვლისთანავე „დელეგაციას“ შეუერთდნენ რიგი სტუდენტები და ასპირანტები აფხაზეთიდან, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ. მათ რიცხვში: ო. ნ. დომენია 1937 წ. დაბადებული, სკპპ-ის წევრი, სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი კომკავშირის მდივანი: ა. ნ. ზუხბა 1942 წ. დაბადებული, კომკავშირის წევრი, აზისა და აფრიკის ხალხების ინსტიტუტის სტუდენტი და სხვები.

ისინი მოსკოვის ერთ-ერთ სასტუმროში დაბინავდნენ, რის შემდეგ „დელეგაცია“ 14 აპრილს შეუდგა აღნიშნული დოკუმენტების შეჯამებასა და დამუშავებას. მუშაობის დროს „დელეგაციის“ წევრებს შორის უთანხმოება გაწნდა დოკუმენტის მკვეთრად ნაციონალისტური და ტენდენციური ხასიათის გამო და ორმა დელეგატმა (ა. აგრძამ და ა. შლარბამ) დატოვეს მოსკოვი.

18 აპრილს „დელეგატთა“ ჯგუფი იმყოფებოდა სკპპ ცპ-ში, სადაც მიღებული იქნა პასუხიმგებელი ორგანიზატორის ვ. ვ. ვასილიევის მიერ. საუბრისას „დელეგატებმა“ გადაწყვიტეს არ გადაეცათ მისთვის თავისი წერილი, არამედ მიეღწიათ იმისთვის, რომ შეხვედროდნენ სკპპ ცპ-ის ერთ-ერთ მდივანს ან სსრკ

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. სასტუმროში დაბრუნების შემდეგ „დელეგაციის” წევრები გამოთქვამდნენ შიშს იმის თაობაზე, რომ მათი ქმედებები შეიძლება შეფასებული ყოფილიყო, როგორც ნაციონალისტური და ანტისაბჭოური და ზოგიერთი მათგანი შეიძლება პასუხისმგებაში მიეცათ „დელეგაციის” ერთმა წევრმა ამავე დროს განაცხადა, რომ „მათ მოძრაობას მოუწევს იატაქვეშეთში გადასვლა და ისევ დაკავდეს აფხაზური მოსახლეობის დამუშავებით”. თანაც ეს უნდა იყოს გაკეთებული ისე, რომ მათი მხარდამჭერი პირები დარჩნენ ძველ პოზიციებზე. ასევე იყო გამოთქმული მოსაზრებები ბრძოლის უფრო აქტიურ მეთოდებზე გადასვლის თაობაზე და საჭიროების შემთხვევაში იარაღის გამოყენებაზე, თუ მათი პირობები არ იქნება შესრულებული.

„დელეგატების” საუბრებიდან ჩანს, რომ მათი საქმიანობის კურსში არიან აფხაზეთის ასსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ოტირბა, რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ნ. აკაბა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი შ. ლაკობა, რომლებიც გარკვეულწილად იზიარებენ თ. პ. შაკრილის და მისი თანამოაზრების მოსაზრებებებს.

20 აპრილს შაკრილის მითითებით „დელეგაციის” ოთხი წევრი გაემგზავრა სოხუმში, ხოლო თვითონ თ. შაკრილი, ახუბა და ხაჯიმბა დარჩნენ მოსკოვში იმისთვის, რომ მიაღწიონ მიღებას მაღალ ინსტანციებში, თუმცა შემდეგ მათ უარი თქვეს ამ განზრახვაზე, ჩააბარეს თავისი განცხადება სკპ ცკ-ის მისაღებში და 21 აპრილს საღამოს აფხაზეთში გაემგზავრნენ”.

სსრკ-ის სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილე ს. ბანნიკოვი.
(საწყისი №967, 1967 წლის 22 აპრილი)

როგორც ჩანს აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა იმდენად იყო კრემლისგან ზურგგამაგრებული, რომ ის ქართველთა წინააღმდეგ აქტიურ შეტევაზე გადადიოდა, რითაც მხარს უჭერდა სეპარატისტთა გამოსვლებს, რომელთაც ახალისებდნენ – ოღონდ ქართველებისთვის აუტანელი პირობები შექმნილიყო, რათა ისინი ყველა სფეროში შეზღუდული ყოფილიყვნენ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული აფხაზური სეპარატიზმი, როგორც იდეოლოგიური სისტემა და როგორც ორგანიზაციათა და ჯგუფთა კრემლიდან სუბსიდირებული ქსელი,

წარმოადგენდა არა აფხაზი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, არამედ უაღრესად რეაქციულ და დესტრუქციულ ანტისახელმწიფოებრივ მოვლენას.

2.3 საბჭოთა იდეოლოგიის პრძოლა „აფხაზეთის ისტორიისთვის“

საბჭოთა პერიოდში გაიზარდა ინტერესი აფხაზეთის ისტორიის და წარსულის კვლევის მიმართ. ეს კვლევა, ისევე როგორც პუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში ყველა სხვა კვლევები უნდა დამორჩილებოდა კომუნისტური პარტიის მიერ მიწოდებულ შაბლონებს და იდეოლოგიურ პოსტულაციებს. აფხაზეთში გაძლიერდა ქართველ მეცნიერთა დევნა.

კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ თავის გეგმას ისეთი იდეოლოგიური სარჩელი გამოაკერა, რომელიც მიჩქმალავდა ამ გეგმის ნამდვილი ავტორის ვინაობას, კერძოდ, – ქართველი შოვინიზმის აფხაზური იდეა. ასე გამოიჩენენ ქართველი ნაციონალური ეგოიზმის მქადაგებელი „აფხაზი“ იდეოლოგები, რომლებიც იმ ტოტსაც ჭრიდნენ, რომელზეც თავად ისხდნენ (გოგია 1995).

1939 წელს ს. ჯანაშიამ რუსულ ენაზე გამოსცა ნაშრომი „აფხაზეთი კოლხეთის სამეფოს ფარგლებში“, სადაც განხილულია აფხაზეთის ისტორია უძველესი დროიდან X საუკუნემდე, ქართველთა და აფხაზთა ისტორიისა და თანაცხოვრების ისტორიული საკითხები. ნაშრომმა იმთავითვე მიიქცია ცენზურისა და პარტიული ორგანოების უურადღება და ამიტომ იგი 1939 წლიდან 1947 წლის 2 დეკემბრამდე დაცული იყო აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, შემდეგ საქართველოს კპ (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტიდან რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს კპ (ბ) ცპ მდივან კ. ჩარგვიანს, რომელმაც შესასწავლად გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, იქიდან კი ნაშრომმა ბინა პოლიტიკურ პარტიათა, მოგვიანებით, ე. წ. პრეზიდენტის არქივში დაიდო. დღეს ეს არქივი საქართველოს შს სამინისტროს საარქივო სამმართველოს კუთვნილებაა.

ზემოაღნიშნულ შრომაში ს. ჯანაშია ვრცლად ეხება დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის უძველესი მოსახლეობის განსახლებასა და აფხაზების ისტორიას ქართველ ტომებთან მჟიდრო კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობაში. ამგვარ ურთიერთობას განსაზღვრავდა უძველესი დროიდანვე ქართველ ტომთა

განსახლება აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიაზე და მათი მჭიდრო ურთიერთობა აფხაზებთან.

აფხაზეთის ისტორიული ცხოვრება აფხაზთა სამეფოში ბაგრატ მეფის მიერ ხელისუფლების განმტკიცებით დასრულდა მთელი საქართველოს გაერთიანება. სწორედ ამ პერიოდის აღწერით მთავრდება ს. ჯანაშიას საკმაოდ საინტერესო ნაშრომი „აფხაზეთი კოლხეთის სამეფოს ფარგლებში“, რომელშიც ავტორი აფხაზეთის შესახებ ძალზე პრობლემატურ საკითხებს ეხება და მეტად მნიშვნელოვან დასკვნებს გვაწვდის, რითაც შესაძლებელი ხდება ქართველ ტომთა უძველესი ისტორიული მოვლენებისა და მათი განსახლების ადგილების დადგენა, ქართველ ტომთა ნათესაობასთან დაკავშირებული მრავალი გაუგებარი საკითხის გარკვევა.

საყურადღებოა, პ. ინგოროვას ფუნდამენტური გამოკვლევა „გიორგი მერჩულევის“ რომელიც 1954 წელს გამოიცა და ყურადღების ცენტრში მოექცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1955 წლის ივლისში გაზეო „Заря Востока“-ში გამოქვეყნდა აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის რეცენზია ამ წიგნზე. რეცენზიაში ავტორმა მხარი დაუჭირა პ. ინგოროვას თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ თანამედროვე აფხაზები არ არიან გვიან ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების „აბაზე“ - „აფხაზთა“ და „აფხაზების“ შთამომავალნი და რომ ადრინდელი „აფხაზები“ ეთნიკურად ქართველურ სამყაროს განეკუთვნებოდნენ.

აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და საზოგადოება მტრულად შეხვდა სახელოვანი ქართველი მეცნიერის, პავლე ინგოროვას გამოქვეყნებას. ის შეაფასეს, როგორც ისტორიის ფალსიფიკატორი და პოლიტიკურად საშიში, ბოროტი მწერალი, რომ მის ნაშრომში გაყალბებულია აფხაზი ხალხის ისტორია და კულტურა (სპა: 14).

აკად. გ. ახვლედიანის რეცენზიის პუბლიკაციამ სეპარატისტულად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლების აღმფოთება გამოიწვია. მათ ნამდვილი ულტიმატუმი წაუყენეს საქართველოს ხელისუფლებას და კატეგორიულად მოითხოვეს პ. ინგოროვას წიგნის აკრძალვა. სიტუაცია ვერ განმუხტა ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის მაშინდელი ლიდერის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილისა და ცნობილი აფხაზმცოდნე-ფილოლოგის ქეთევან ლომთათიძის (ლომთათიძე 1957: 132-139) სტატიებმა, რომლებიც გამოქვეყნდა უკრნალ „მნათობის“ 1956 წლის მე-12 ნომერში. ამ სტატიებში საკმაოდ მკაცრად

იქნა გაპრიტიკებული აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხზე პ. ინგოროვას ნაშრომში გამოქვეყნებული თვალსაზრისი. ამის პასუხად, იმავე „მნათობის“ 1957 წლის მე-2 ნომერში გაჩნდა აკად. გ. ახვლედიანისა (ახვლედიანი 1957: 107-114) და პროფესორების, სიმონ ყაუხეჩიშვილისა (ყაუხეჩიშვილი 1957: 115-125) და დავით ჯობიძის (კობიძე 1957: 126-128) პუბლიკაციები, რომლებშიც ავტორები იცავდნენ პ. ინგოროვას შეხედულებათა სისწორეს. ამ ფაქტმა აფხაზ სეპარატისტთა მოთმინების ფიალა აავსო.

სამეცნიერო ლიტერატურაში არის გამოთქმული მოსაზრება, რომ პოლიტიზირებული სამეცნიერო კამათის საფუძველი და სათავე ყოფილა XX საუკუნის 50-იან წლებში პავლე ინგოროვას მიერ წამოყენებული „ანტიმეცნიერული თეორია“, რომ თითქოს თანამედროვე აფხაზები მოვიდნენ ჩრდილო კავკასიოდან XVII საუკუნეში აფხაზეთში, სადაც აქამდე ცხოვრობდა მხოლოდ ქართველი მოსახლეობა (ანჩაბაძე 2006: 27-28).

1966 წელს ქ. თბილისში გამოიცა დიდი ქართველი ისტორიკოსის აკად. ნიკო ბერძენიშვილის თხზულებათა კრებულის: „საქართველოს ისტორიის საკითხების“ III ტომი, რომელშიც მოთავსებული იყო მეცნიერის წერილი: „მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო“.

აქ განვითარებული ცალკეული დებულებები მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზური სეპარატიზმის წარმომადგენლებისათვის, რომლებმაც მათში „დაინახეს“ აფხაზი ხალხის ეთნიკური ინდივიდუალობის უარყოფის მცდელობა. სინამდვილეში კი აღნიშნულ სტატიაში (ისევე, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილის სხვა შრომებში) მსჯელობა იყო აფხაზთა „ისტორიულ-კულტურულ“ ქართველობაზე (ბერძენიშვილი 1966: 278).

ნ. ბერძენიშვილს არ მიაჩნია „ენის მომენტი ერთადერთ განმსაზღვრელ მომენტად“ ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური წარმომავლობის დადგენისას. „დღეს აზერბაიჯანელები, – წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, – ენით თავანკარი თურქები არიან, მაგრამ ასეთივე თურქები არიან განა ისინი წარმოშობით? ვის შეუძლია უარყოს, რომ ისინი წარმოშობით სანახევროდ მაინც, თუ უფრო მეტად არა, კავკასიური მოდგმის „ალბანელები“ არიან?“.

აფხაზეთის ისტორიის ზოგადი სურათი მოცემულია 1976 წელს ზ. ანჩაბაძის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში: „აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიის ნარკვევი“.

მასში აფხაზეთის ისტორიული წარსული გაშუქებული იყო საერთო-ქართული ისტორიის ჭრილში.

ამავე პერიოდში გამოიცა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის, ეთნოგრაფისა და ლიტერატურათმცოდნის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, პროფ. შალვა ინალ-იფას მონოგრაფია: „აფხაზთა ეთნოკულტურული ისტორიის საკითხები“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „ალაშარა“, ქ. სოხუმი, 1976 წელი), სადაც ავტორმა მოურიდებლად, ერთი ხელის მოსმით, მეტად მწირი არგუმენტაციის საფუძველზე, აფხაზები აფხაზეთის „ერთადერთ აბორიგენებად“ გამოაცხადა.

ისტორიული წარსულის მრუდე სარკეში ჩვენება დღეს აფხაზური ისტორიოგრაფიის თვითმიზნად იქცა. პირველ რიგში ეს ჩანს ეთნიკური ისტორიის მაგალითზე. ამ საქმეში ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერად მოგვევლინა აწ განსვენებული პროფესორი შ. ინალ-იფა. განსაკუთრებით, 1976 წელს გამოქვეყნებული კიდევ ერთი ანტიქართული ნაშრომით (ითონიშვილი 1991: 105).

შ. ინალ-იფა ზემომოთხესენებულ წიგნში (ტირაჟით - 5000 ეგზემპლარი) აცხადებდა, რომ აფხაზურ-ადილური მოდგმის ტომები იყვნენ აბორიგენები არამარტო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიისა, არამედ მთელი ისტორიული კოლხეთის (ყოველ შემთხვევაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლის მაინც), ქართველურმა ტომებმა (მეგრელ-ჭანები-სვანები) კი, მეცნიერის აზრით, ამ ტერიტორიაზე (კოლხეთში) შემოადწიეს გვიან. გარდა ამისა, შ. ინალ-იფას მონოგრაფიაში ეჭვებეშ იყო დაყენებული „აფხაზთა“ სამეფოს ქართული ეთნო-კულტურული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შინაარსი. ავტორი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მსჯელობდა XI-XII საუკუნეებში აფხაზური ეთნიკური ელემენტის განსაკუთრებულ წვლილზე საქართველოს ისტორიაში.

შ. ინალ-იფას წიგნში ასევე ტენდენციურად იყო გაშუქებული ენათმეცნიერული საკითხებიც. აღსანიშნავია, რომ შ. ინალ-იფას წიგნს არ გაუვლია სათანადო აპრობაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებში. ნაშრომის რედაქტორი იყო რუსი აკადემიკოსი, სპეციალობით ეგვიპტოლოგი – მიხეილ კოროსტოვცევი, რომელმაც აღნიშნული წიგნი აფხაზეთის

ისტორიისა და კულტურის „ჭეშმარიტ ენციკლოპედიად“ გამოაცხადა (პაპასქირი 2007: 178).

გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების – ზურაბ ანჩაბაძისა და გიორგი ძიძარიას სიცოცხლეში აფხაზები მაიცდამაინც ვერ ახერხებდნენ თავიანთი მოსაზრებების ფართო ასპარეზზე გატანას.

ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „აფხაზეთის ისტორია“ პირველი სახელმძღვანელოს გახმაურებული განხილვა 1987 წლის მარტში. ამ სახელმძღვანელოს ავტორები იყვნენ პროფესორები: ზურაბ ანჩაბაძე, გიორგი ძიძარია და არველოდ ქუპრავა. მწვავე კრიტიკის ქვეშ მოექცა პროფესორ ზურაბ ანჩაბაძის მიერ დაწერილი მონაკვეთი. სეპარატისტებს არ მოსწონდათ ის, რომ ამ ნაწილში აფხაზეთის ისტორია გაშუქებული იყო საერთო-ქართული ისტორიის ჭრილში. აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგებმა წიგნის განხილვა ფაქტობრივად ზურაბ ანჩაბაძისა და ქართული საისტორიო სკოლის გასამართლებად აქციეს.

აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის საკითხების შესწავლით დაინტერესდნენ რუსი ისტორიკოსებიც. XX საუკუნის 80-იან წლებში აფხაზეთში მიმდინარეობდა რუსული „მეცნიერების“ ფართო პროპაგანდა აფხაზების მხრიდან.

ვ. ი. კონფლიკტის რედაქტორით 1987 წელს მოსკოვში გამოიცა წიგნი „*Абхазское долгожительство*“, სადაც აღნიშნულია, რომ აფხაზებსა და ქართველებს განსხვავებული გენეტიკური წარმომავლობა გააჩნიათ, რომ აფხაზები გენეტიკურ ნათესაობაში არიან ჩრდილოკავკასიელ ადიდებთან, რომ IX-X საუკუნეებში აფხაზებში აფხაზეთის სამეფო აღწევს უმაღლეს განვითარებას, მაგრამ X საუკუნის ბოლოდან კარგავს დამოუკიდებლობას და დიდი ხნით შედის გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ჩამოთვლილ ავტორთა ნაზრევზე დაყრდნობით სეპარატისტთა ლიდერები გაიძახოდნენ, რომ მათი სახელმწიფოებრივი ისტორია სულ მცირე 1200 წელს ითვლის.

აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ ვერაგულად „შელახვის“ ვერსიას ავითარებს 1931 წელს გამოქვეყნებულ წერილში „Сваноколхи Ашхароцуйц и убиенные апостолы“ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვორონოვი (Воронов 1990: 6). მან ისტორიული მეცნიერება თავისი ახალი სენსაციური „აღმოჩენით“ განაცვიფრა.

მისი ავტორიტეტული მტკიცებით, აფხაზური სახელმწიფოებრიობა, თურმე, არც მეტი, არც ნაკლები – 2500 წლის ყოფილა. საპირისპირო მოსაზრება სეპარატისტი იდეოლოგებისათვის ყოვლად მიუღებელია და მათი ავტორები მკაცრად ისჯებიან (კვესელავა 2004: 226).

მაგალითად, პროფესორ ხ. ბდაშვილის – „აფხაზური ენის ბზიფური დიალექტის“ ავტორს თავის დროზე არ „აპატიეს“ მეცნიერული კეთილსინდისიერება და წიგნი აკრძალეს, ხოლო მეცნიერი პარტიიდან გარიცხეს.

თავი 3.

რუსული იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში XX საუკუნის 70-80-იან წლებში

3.1 ქართულ-აფხაზური ურთიერთობები XX საუკუნის 70-80-იან წლებში და კრემლის იმპერიული პოლიტიკა

XX საუკუნის 70-იან წლებში აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი დაძაბულობა შეინიშნებოდა. რუსეთისათვის ჩვეული ხელშეწყობითა და წამქეზებლური პოლიტიკით თანდათან იგრძნობოდა აფხაზეთის სეპარატისტულად განწყობილი ძალების მნიშვნელოვანი გავლენა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებზე. აფხაზ სეპარატისტთა გამოსვლები თანდათან პერმანენტულ ხასიათს იძენდა.

1972 წლის თებერვლის სკპ ცკ დადგენილების შემდეგ, რომელიც ქ. თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობას შეეხებოდა, აფხაზეთის რეგიონი თანდათანობით იღებდა სუვერენული რესპუბლიკის სტატუსისთვის საჭირო ყველა ატრიბუტს. გაიხსნა აფხაზეთის ტელევიზია, უნივერსიტეტი, ხორციელდება საკადრო პოლიტიკა, რომელიც თანამდებობაზე დაწინაურებისაკენ გზას უკეტავდა ქართველებს.

1972 წელს შეიცვალა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა და ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ქ. შევარდნაძე, რომელმაც ძველი პარტიული აპარატის ქ. წ. „წმენდა“ დაიწყო. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, აფხაზეთსაც შეეხო. 1975 წელს მან პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან ვალერიან კობახია გადააყენა და ამ თანამდებობაზე ვალერი ხინობა აირჩიეს, რომელიც ადრე აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრად მუშაობდა და რამდენიმე წლის მანძილზე უშუალოდ ე. შევარდნაძის, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, დაქვემდებარებაში იყო.

ვ. კობახიას თანამდებობიდან გადაყენებამ და მის ადგილზე ვალერი ხინობას დანიშვნამ აფხაზეთის სეპარატისტულად განწყობილი წრეების გადიზიანება და აღშფოთება გამოიწვია და აღნიშნულ ფაქტს აფხაზეთში მწვავე რეაქცია მოყვა. აფხაზ სეპარატისტთა ლიდერები მოსკოვის ხელშეწყობით სხვადასხვა მეთოდით ცდილობდნენ ნებისმიერი სახის საბაბის გამოყენებას ახალი პოლიტიკური დაძაბულობის შესაქმნელად.

1977 წლის 7 ოქტომბერს მიღებულ იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რის შემდეგაც დაიწყო მუშაობა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების პროექტებზე. აღნიშნული მოვლენით ისარგებლეს აფხაზ სეპარატისტთა თავკაცებმა და შეადგინეს ახალი წერილი-საჩივარი, რომელიც 1977 წლის 10 დეკემბერს გაუგზავნეს სსრ კავშირის მე-9 მოწვევის უმაღლეს საბჭოს, სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლეონიდ ბრეზნევს, სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიხეილ იასნოვს. აფხაზი სეპარატისტები წერილში ე. შევარდნაძეს აფხაზი ხალხის მიმართ ლ. ბერიას პოლიტიკის გატარებაში სდებდნენ ბრალს და აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფასა და რსფსრ-ის შემადგენლობაში შეყვანას მოითხოვდნენ. ამ მიზნით აფხაზი პროვოკატორები აპირებდნენ თავისი ძირითადი მიზნის – აფხაზეთიდან ქართველთა განდევნის გეგმის განხორციელებას. ისინი ასევე მოითხოვდნენ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნას და ტელევიზიის შექმნას. წერილ-საჩივარს ხელს აწერდა აფხაზური საზოგადოების 130 წარმომადგენელი.

სკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა აფხაზ სეპარატისტთა საჩივრის განხილვა და ის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს გადაუგზავნა, რამაც სეპარატისტების აღშფოთება გამოიწვია. ისინი საპროტესტო დეპეშებს აგზავნიდნენ ქვეყნის უმაღლეს სახელისუფლებო ინსტანციებში, მაგრამ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ არ გაამწვავა მდგომარეობა

სეპარატისტების კაპრიზების დასაქმაყოფილებლად. აფხაზ სეპარატისტთა ახალ გამოხდომას აფხაზეთის ასერ პოლიტიკურ ელიტაში ცვლილებები მოჰყავა. დაკავებული თანამდებობიდან გადააყენეს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინობა, რომლის ადგილიც ბ. ადლეიბაძ დაიკავა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენურმა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, სკპას რიგებიდან გაერიცხათ წერილი-საჩივრის ის ავტორები, რომლებსაც ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობები. კერძოდ, სკპას რიგებიდან გარიცხეს უურნალ „ალაშარას“ რედაქტორი ა. ჯენია, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი იური არგუნი, გუდაუთის რაიონული გაზეთის „ბზიფის“ რედაქტორის მოადგილე ახუბა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მსგავსი მკაცრი კურსი არ იქნა მოწოდებული ქ. მოსკოვში, სადაც გადიზიანდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თამამი მოქმედებების გამო და მოუწოდეს საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელ ორგანოებს, შეერბილებინათ თავიანთი პოზიცია. მეტიც, სსრკ ხელისუფლებაში მიზანშეწონილად ჩათვალა, უშუალოდ ჩარეცლიყო კონფლიქტი და სიტუაციაზე კონტროლი თავის თავზე აედო. იმავდროულად, აფხაზი სეპარატისტები კრემლის ხელშეწყობით აგრძელებდნენ ანტიქართული პოლიტიკის წარმართვას.

1978 წლის 22 მაისს სეპარატისტებმა ქ. სოხუმში, ლენინის მოედანზე მრავალათასიანი საპროტესტო აქცია გამართეს მოთხოვნით – გაიხსნას აფხაზური ტელევიზია და უნივერსიტეტი სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე. იყო პლაკატები საბჭოთა რუსეთთან მიერთების მოთხოვნით. ნიშანდობლივია, რომ მიტინგზე მისული საქართველოს პარტეი პირველი მდივანი ქ. შევარდნაძე და საკავშირო ცკ მდივანი ვ. კაპიტონოვი აიძულეს, დაეტოვებინა სამთავრობო ტრიბუნა. შემდგომ კი საგანგებო დადგენილებით მათი მოთხოვნის დიდი ნაწილი დაკმაყოფილებულ იქნა.

1978 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში პოლიტიკური ვითარება კვლავ უკიდურესად დაიძაბა. აფხაზური მოსახლეობის ნაწილი, სეპარატისტთა წაქეზებით გნებათაღელვას გამოხატავდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ქართველი იუზა უბილავას დანიშვნის გამო. აღნიშნული აღშფოთება გამოწვეული იყო იმით, რომ ჯერ კიდევ გაზაფხულზე სეპარატისტები,

კრემლის ფარული მხარდაჭერით, კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზეთის სამივე უმაღლეს თანამდებობაზე – საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, – მხოლოდ და მხოლოდ აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნას.

აფხაზ სეპარატისტულ ძალებს შერჩეულიც ჰყავდათ თავიანთი კანდიდატურა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. ეს გახდდათ ვალერიან კობახია, რომელიც, მათი გაგებით ე. შევარდნაძემ სრულიად უსამართლოდ გადააყენა საქართველოს კა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიუხედავად ყველაფრისა მაინც წავიდა გარკვეულ დათმობაზე. დაკმაყოფილდა სეპარატისტების კაპრიზი და ერთპიროვნული მოთხოვნა. ვ. კობახია აირჩიეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, ბაგრატ შინქუბას ნაცვლად, რის შემდეგაც ვ. კობახია კვლავ იქცა აფხაზურ პოლიტიკურ ფიგურად. ამით სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგებმა კრემლის ხელმძღვანელობის დახმარებით თავი გამარჯვებულად ჩათვალეს და თანდათანობით კიდევ უფრო განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები.

ამასთანავე, 70-იანი წლების ბოლოს შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე შეშფოთებული აფხაზეთის მოსახლეობა პროტესტს გამოხატავდა აფხაზთა მხრიდან სეპარატისტული გამოვლინებებისა და ანტიქართული ქმედების გამო. საქართველოს შსს არქივში ინახება განცხადება-საჩივარი, მოქალაქე (გულრიფშის რაიონის ბაბუშერის საშუალოს სკოლის პედაგოგი) შალვა ჩემიას მიერ 1978 წელს შედგენილი, რომელიც გაეგზავნა საქართველოს კა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს და სკპპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჯენევს. (იხ. დანართი №4).

პედაგოგი გულისტკივილით აღნიშნავს აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა მდგომარეობას, რომლებიც მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და აღშფოთებას გამოხატავენ სეპარატისტთა მიმართ, რომლებიც აღვივებენ ქართველთა და აფხაზთა შორის ეროვნულ შუდლს. მას, როგორც პედაგოგს, გაუგონარი ფაქტები მოყავს დასტურად, რომელიც ნათლად ადასტურებენ

სეპარატიზმის ნიშნების აშკარა გამოვლენას და საბჭოთა რუსეთის მხრიდან მის წახალისებასა და ხელშეწყობას.

შ. ჩემია წერილში აცხადებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ქართველისთვის გაუგებარია, რატომ ხდება, რომ შუღლის გაღვივება ხდება აფხაზთა და ქართველთა შორის, რომელიც ოდითგანვე არსებობდა ორ ერს შორის და უცხო ძალის მიერ ბზარი გააჩინა, რომლის გამრთვლებასაც ალბათ საუკუნე დასჭირდება.

წერილში იგი აღწერს იმ ცილისმწამებლური პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ატარებს აფხაზი ხალხის სეპარატისტულად განწყობილი ნაწილი. თითქოსდა დასავლეთ საქართველო მთლიანად აფხაზებით იყო დასახლებული და ქართველებმა ამოჟლიტეს ისინი, თითქოს აფხაზებს ჰყავდათ მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები და პოეტები, მაგრამ მათი „დიდებული“ კვალი ქართველობამ გააქრო. თითქოს აფხაზეთში ყველა წამყვან, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აფხაზებს ნიშნავდნენ და მათთან მიღებაზე შესულ ქართველებს უყურებდნენ ეროვნული სხვაობის თვალით.

აღნიშნული წერილი გახლავთ მნიშვნელოვანი წყარო, რეალური მასალა, აფხაზეთის ადგილობრივი მოსახლეობა (აღნიშნულ შემთხვევაში ერთი ქართველი კაცი) თუ როგორ გამოხატავდა გულისტკივილსა და პროტესტს პრორუსული ძალებისა და არსებული პროპაგანტისტული მანქანის საშუალებით ანტიქართული პოლიტიკის წარმართვის მიმართ, რაც მესამე ძალის ინსპირირებით ხდებოდა აფხაზეთში XX საუკუნის 70-80-იან წლებში. ამ ფართო მასშტაბის ანტიქართულ კამპანიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ისტორიის ფალსიფიკაციას.

მსგავსი სახის მაგალითები ასახულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოძიებულ საარქივო მასალებში.

სსრკ-ს პოლიტიკური მმართველობის წამქეზებლური პოლიტიკით ქართველთა და აფხაზთა შორის კონფლიქტის გაღვივების ერთ-ერთ თვალსაჩინო და მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს ქვემოთ ისტორია, რაც ნათლად ასახავს აფხაზეთში XX საუკუნის 70-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, რომლის შესახებ ისტორიული მასალები 8 ტომად შეკრული (ე. წ. „გინდიას საქმე“) ინახება საქართველოს შსს არქივში.

1978 წ. 15 ივლისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეშის კულტურის სახლში ზუგდიდის კოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ლირას“ კონცერტი პქონდა

დაგეგმილი, რომელიც ანშლაგით დაიწყო. კონცერტი დაგვიანებით მეგრული სიმღერა „ჩელა“-თი გაიხსნა. ანსამბლ „ლირას“ იმ პერიოდში სახელი ჰქონდა განთქმული და გამოირჩეოდა მეგრული სიმღერების სათანადო შესრულებით.

მრავალრიცხოვანმა ხალხმა მოიყარა თავი თითქმის მთელი აფხაზეთის ტერიტორიიდან. მოულოდნელად კულტურის სახლის დარბაზი დაბნელდა და ახალგაზრდა ადამიანის ყვირილის ხმა გაიხმა.

საკონცერტო დარბაზში ამ შეძახილს მოყვა სტვენა და სცენის მიმართულებით წვრილი ქვების სროლაც დაიწყეს. სოფელ ფოქვეშის კულტურის სახლთან ახლოს მდებარე ელექტროგადამცემ ბოძე დენის ხაზი კონცერტის ჩაშლის მიზნით ვიდაცამ ჩაჭრა, რამაც გამოწვია ელექტრო ენერგიის მიწოდების შეწყვეტა. დარბაზში დამსწრე ხალხმა 24 წლის ზაურ გინდიას ხმა ამოიცნეს.

ზაურ გინდია 1944 წელს სოფელ ფოქვეშში დაიბადა. მან უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო. 1970-1976 წლებში დაუსწრებლად დაამთავრა ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ზაურ გინდია სოფელ ფოქვეშის კოლმეურნეობაში იურისკონსულად მუშაობდა. აღნიშნული ინცინდენტის შემდეგ გინდიას წინააღმდეგ აღიძრა საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის I ნაწილით (აგიტაცია ან პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის, ან შესუსტების, ან ცალკეული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მიზნით, გავრცელება იმავე მიზნით ცილისმწამებლური მონაჭორისა, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას, აგრეთვე იმავე მიზნით ასეთივე შინაარსის ლიტერატურის გავრცელება, დამზადება ან შენახვა).

საქმის აღმვრასთან ერთად გამოძიებაც დაიწყო და ისიც ფაქტი გახდა, რომ გინდიას საბჭოთა ხელისუფლების მოშლა ან დასუსტება კი არ ჰქონდა განზრახული, არამედ ერთაშორის შუღლის გაღვივება. ამის გამო სსრ 71-ე მუხლის I ნაწილი მოუხსნეს და 75-ე შეუფარდეს. ზ. გინდიას სახლიდან ნივთმტკიცების სახით ამოღებულ იქნა საბეჭდი მანქანა, წერილები და პროკლამაციები.

ზაურ გინდია მოსახლეობაში აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლას და საბჭოთა რუსეთთან შეერთებაზე აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის ასსრ საქართველოს მონობის უღელქვეშ იმყოფება, რომლის მთავრობაც აფხაზი ხალხის მიმართ ნაციონალ-შოვინისტურ და ასიმილაციურ პოლიტიკას ატარებს.

საქართველოს სსრ მთავრობა ლახაგს აფხაზთა კონსტიტუციურ უფლებებს და ასიმილაციის გზით ცდილობს მისი, როგორც ერის, განადგურებას.

ანსამბლის კონცერტის ჩაშლას სოფელში დიდი ხმაური და აურზაური მოყვა. სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. მოწმეთა დაკითხვის მასალები მოწმობენ, რომ კონცერტის ჩაშლის შესახებ მთელმა სოფელმა წინასწარ იცოდა. უამრავი ადამიანი დაკითხეს, რომლებიც ყველაზე, (რასაც საქართველოს შეს არქივში მუშაობისას გავეცანით), რომ სოფლის აფხაზური მოძრაობის ლიდერები ზაურ გინდია, ოთარ არჩბა, ჯაფარ ჯინჯოლია, მუშნი გინდია და ბაბური ჩაწხალია კონცერტის ჩაშლას თავის თავზე იდებდნენ. ხაშბა იხსენებს ერთ-ერთ საიდუმლო შეხვედრას, რომელიც გინდიამ მოაწყო. ამ შეხვედრაზე გინდიას პირადად უთქმამს ხაშბასთვის – „ქართველების ჩამოსახლებაა დაგეგმილი, მათ ჩვენში გარევენ და ჩვენ აღარ ვიარსებებთ, ამიტომ ჯობია რუსებს შევუერთდეთო. ჩვენ მშვიდად გავყიდით რუსეთში ციტრუსს, ახლა კი ქართველებს გააქვთ რესპუბლიკის გარეთ“.

გამოძიებისათვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ზაურ გინდია ქ. მოსკოვში ცილისმწამებლურ და დამამცირებელ წერილებს გზავნიდა ქართველი თანამდებობის პირებზე მათი კომპრომეტაციის მიზნით, რადგან მას მიაჩნდა, რომ სტატისტიკურად მის სოფელში ეთნიკურად ქართველი უფრო მეტი იყო დასაქმებული, ვიდრე აფხაზი.

აფხაზები ყოველთვის ცდილობდნენ რაიმე ინციდენტი არ გახმაურებულიყო და ყველაფერი მიჩუმათებულიყო. სწორედ ამ მოტივით ზაურ გინდიას საქმიდან გამომდიებელი გ. მაისურაძე შეიცვალა რუსი ეროვნების ალ. კუდაშოვით.

საქმე ასე განვითარდა – ალ. კუდაშოვმა სისხლის სამართლის საქმე გინდიას მიმართ 75-ე მუხლით დასრულდა და საბრალდებო დასკვნით იგი საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადააგზავნა, სადაც მას ეს ჩადენილი დანაშაული დაუმტკიცეს და სამწლიანი თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. შემდგომ კი სასჯელი პირობითით შეუმსუბუქეს და ბოლოს გაათავისუფლეს. დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილი ზაურ გინდია თავის მავნებლურ ქმედებებს კვლავაც აგრძელებდა.

სოფელ ფოქვეშის კლუბში მომხდარ ინციდენტზე აღმრულ გინდიას საქმეში დევს პროკურორ ზ. ბარციცის დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბრალის დასამტკიცებლად საკმარისი მტკიცებულებები ვერ შეგროვდა და საქმის

გამოძიების წარმოების შეჩერების მოტივად ქმედების ჩამდენი პირების დაუდგენლობას ასახელებს, რაც სიმართლეს არ შეუფრება.

ზაურ გინდია მისი დაპატიმრების შემდეგ მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავდა, რომ მან წაიკითხა პ. ინგოროვას, ს. ჯანაშიასა და ი. ადამიას ნაშრომები და ძალიან გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ ქართველი მეცნიერების აზრით, აფხაზები მე-17 საუკუნეში გამოჩენილან და დასახლებულან აფხაზეთის ტერიტორიაზე და რომ ისინი ქართველი ტომები არიან და მათი ენა კი – ქართულის დიალექტია. არადა მან შ. ინალ-იფას ზემოთხსენებული წიგნიდან იცოდა, რომ აფხაზი უძველესი ერი იყო, რომელიც ოდითგან ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა.

ზაურ გინდიას თქმით, მან ვერ მოახერხა თავისი საეციალობით დასაქმებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ მიმართა ოჩამჩირის რაიონის პროკურატურასა და მილიციას. ბოლოს კი გაიგო, რომ სამსახურში ქართველი მიუღიათ.

1979 წლის 29 სექტემბერს სოფელ ფოქვეშში აქტივისტთა კრება მიმდინარეობდა. სოფლის მოსახლეობისთვის სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „დასახლებული პუნქტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახელის დარქმევისა და გადარქმევის წესის კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენების შესახებ“ უნდა გაეცნოთ. აფხაზები სოფლებისთვის ქართულენოვანი წარწერის ნაცვლად აფხაზურენოვან წარწერას ითხოვდნენ დაჟინებით.

საკავშირო დადგენილებაში კი ნათქვამი იყო, რომ ქართულ დასახლებებში აფხაზურენოვანი წარწერის აუცილებლობა საბჭოთა კავშირში არ იყო. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების გაცნობას სოფლის კლუბში კვლავ ხმაური და აურზაური მოჰყვა.

ეს ისევ ზაურ გინდია იყო, ამჯერად მისი პრეზენტია უკვე ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გახლდათ მიმართული და ამჯერად იგი რუსული პოლიტიკითაც იყო უკმაყოფილო, თუმცა იქვე ეჭვსაც გამოთქვამდა, რომ სანამ საქართველოს ხელისუფლების ხელში იქნება ტოპონიმიკის საკითხების გადაწყვეტა, არასოდეს აფხაზი ხალხის სასარგებლოდ ეს არ იქნება გადაწყვეტილო.

ზაურ გინდია ვარაუდობდა და ეჭვობდა, რომ ეს ყოველივე ქ. თბილისში დაიგეგმა. მან ლეონიდ ბრეუნევი უდიერად მოიხსენია და მის ასაკს დაბრალა

აფხაზებისთვის არასასურველი და მიუღებელი დადგენილების მიღება. ბიგვავას, რომელიც ამ დადგენილებას მოსახლეობასამცნობდა, ზაურ გინდიამ მოულოდნელად პკითხა, ეს დადგენილება ქ. თბილისში დაიწერა თუ ქ. მოსკოვში და რა მასშტაბისააო, საკავშიროთუ ადგილობრივი. ბიგვავამ უპასუხა, რომ გადაწყვეტილება საკავშიროა, მსგავსი საკითხი ლენინგრადებსაც აწუხებთ, ზოგს პეტროგრადის დარქმევა უნდა, ვოლგოგრადებებს კი – სტალინგრადისო. როდესაც დადგენილებაზე გინდიამ ბრეჟნევის ხელმოწერა იხილა, ბიგვავას უთხრა, მოსკოვში პატარა საქმეებისთვის ველარ იცლიან, ბრეჟნევი დაბერდა, ამიტომაც ახალგაზრდა და ენერგიული ლიდერია საჭირო და არა ასაკოვანი ბრეჟნევიო.

ბიგვავას კითხვაზე, თუ სად ნახა მან ბრეჟნევი, გინდიამ უპასუხა, რომ ტელევიზორში იხილა, მოხუცი და ტექსტით ხელში. ბუნებრივია, რომ ეს ხმა მივიღა საბჭოთა უშიშროებამდე. ამის შემდეგ ზაურ გინდია დააპატიმრეს.

1979 წლის 15 ოქტომბერს ზაურ გინდიას ადმკვეთი დონისძიება – პატიმრობა შეუფარდეს. ხელისუფლებამ უპყე მის გამოსვლაში სისტემის შეცვლისკენ მოწოდება დაინახა, ბრალი 71-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დასდო და დაპატიმრა. აღმრული საქმე მოგვიანებით, 1980 წლის 2 იანვარს, № 679/17 ხისხლის სამართლის საქმესთან სოფელ ფოქვეშში 1978 წ. 15 ივლისს ანსამბლ „ლირას“ კონცერტის ჩაშლის ფაქტზე, გააერთიანა და პატიმრობაში აიყვანა.

სწორედ ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორ რუდენკოს გინდიას მმა წერს წერილს. გინდიას მმა აცხადებს, რომ ის კოლმეურნეობა, სადაც მისი მმა მუშაობდა, გაძარცვულია და დასაჭერი მისი მმა კი არა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეაო. ამ წერილმა რეალურად ვერაფერი შეცვალა. იმ პერიოდში ქ. სოხუმში კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი მოხდა: ქ. სოხუმის დრამატული თეატრის მეორე სართულზე, ფოიეში, ვიდაცამ შოთა რუსთაველის თაბაშირის ბიუსტი დააზიანა და ფანჯრიდან გადააგდო.

ცნობილი გახდა, რომ ქართველი მწერლის ბიუსტის შეურაცხვოფა თეატრის აფხაზი ეროვნების სამმა მთავარმა მსახიობმა ჩაიდინა, რომლებმაც რატომდაც გადაწყვიტეს, რომ იქ რუსთაველის ადგილი არ იყო. თუმცა მეორე დღეს აფხაზეთის სუკ-ის შენობაში თეატრის დამლაგებელი მივიდა „აღიარებით“, რომ თითქოს პოლის დალაგების დროს ხელი უნებლიერ გაჰკრა რუსთაველის ბიუსტს,

პოსტამენტიდან შემთხვევით გადმოაგდო და მხოლოდ ეს იყო ამ ინციდენტის მიზეზი.

აღნიშნულ ფაქტზე საქმე სახელმწიფო ქონების ხელყოფის მუხლით აღიძრა. დამნაშავები კვლავ დაუსჯელები დარჩნენ, რადგან ვითარება რომ არ დამძიმებულიყო და არ გამწვავებულიყო.

რეალურად კი იმ პერიოდში სოხუმში, გუდაუთაში, გაგრაში, ახალსოფელში, დურიფშისა და ოთხარაში, სადაც დიდი რაოდენობით ქართველი ცხოვრობდა, გარდა ორი საშუალო სკოლის დირექტორისა და ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ეთნიკურად ქართველები აღარ ინიშნებოდნენ.

მადალ და საპასუხიმგებლო თანამდებობებს აფხაზური მხარისთვის მისაღები პიროვნებები იკავებდნენ. სწორედ ამ პრინციპით იქნენ შეერჩეულნი და დანიშნულნი მინისტრთა საბჭოს ქართველი წევრებიც. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ი. ზარანდია დაინიშნა, რომელიც მართალია ეთნიკურად აფხაზი არ იყო, თუმცა მეუღლე პყავდა აფხაზი და აფხაზთა გავლენიან წრეებშიც დიდი ნათესაური კავშირები ჰქონდა. აფხაზეთში თანამდებობის 60 პროცენტზე მეტს აფხაზები ფლობდნენ, მათ შორის საოლქო კომიტეტში, მინისტრთა საბჭოში, უმაღლეს საბჭოში და სხვაგან პირველ ადგილებს (გასვიანი 2004: 538-547).

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით ქ. სოხუმის ადმინისტრაციის უფროსად ეროვნებით აფხაზი ნ. ხაშბა დაინიშნა. აღსანიშნავია, თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში ეთნიკურად ქართველების მიმართ ჩადენილი მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებების უმეტესი ნაწილი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ რეგისტრაციაში არ ტარდებოდა, ან ტარდებოდა და საქმე ბოლომდე გაუსწენელი რჩებოდა.

ამ მოვლენების პარალელურად, 1978 წ. ქ. გაგრაში მიღიციამ დააკავა გაგრელი ქართველი არკადი მარკოზია, რომელსაც ავტომანქანა „ვოლგის“ საბარგულში იარაღი „აღმოუჩინეს“. ამასთანავე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 1979 წ. გუდაუთის რაიონში აფხაზი ეროვნების მიღიციის თანამშრომელმა ტაბელური იარაღით, პირადი ანგარიშწორების გამო, თავისივე კოლეგა მოკლა. საქმეს ერთი მოწმე პყავდა, რომელიც იმავე დღეს სადისტურად იქნა მოკლული. ორივე საქმე კი მალევე დაიხურა ისე, რომ ძიებაც კი არ დაწყებულა.

ხორციელდებოდა დევნა მიღიცის იმ თანამშრომლებზე, რომლებიც ქართველების მიმართ დადგებითად იყვნენ განწყობილნი. ასე გაუსწორდნენ ქ. გუდაუთის მიღიცის კაპიტან ვაჟა მგალობლიშვილს, რომელსაც აფხაზმა სეპარატისტებმა ჯერ სახლ-კარი გადაუწვეს, მერე აიძულეს ოჯახთან ერთად დაეტოვებინა აფხაზეთის რეგიონი.

იმავე პერიოდში სახლ-კარი გადაუწვეს გუდაუთის აფთიაქის გამგე რევაზ შალამბერიძეს და თუ იმ შემთხვევაში ჩივილს მიმართავდა სიკვდილით დაემუქრნენ. გუდაუთის რაიონულ აპარატში აჩადარას საგუშაგოს თანამშრომელს, სოხუმელ თამაზ ჩოჩიას გუდაუთის ცენტრში კლავენ, ხოლო ახალგაზრდა კახაბერ ბზიკაძეს სახალხოდ აწამებენ მხოლოდ იმისთვის, რომ ქართულ ტელეარხს ინტერვიუ მისცა ეთნოწმენდის ფაქტზე. მის მშობლებს კი აიძულებენ, რომ ბზიკაძის გვამი მზის ჩასვლამდე დაუყოვნებლივ დაკრძალონ. ასეთი ფაქტები თანდათან მოხსირდა აფხაზეთში.

ამასთანავე, ხდებოდა დაზარალებულებზე ზეწოლის, დაშინებისა და დაშანებაუების ფაქტები და ყოველივე ამის ფონზე გუდაუთის რაიონის ქართული მოსახლეობა მოკლებული იყო კავშირგაბმულობას, პრესისა და რადიოს ნორმალურ მუშაობას.

ამ პერიოდში სურსათით არ მარაგდებოდა მაღაზიები. ასევე მოხუცებსა და პენსიონერებს სამი-ოთხი თვის დაგვიანებით აძლევდნენ პენსიას. ხალხი პურის საყიდლად ქ. ადლერსა და ქ. სოჭში, სხვა პროდუქტების შესაძენად კი ქ. მაიკოპსა და ქ. ტუაფსეშიც მიღიოდა.

ამ ფაქტებიდან გამომდინარე უკვე რეალობა გახდათ, რომ აფხაზური სეპარატიზმი ნელ-ნელა იკრეფდა ძალას და ძლიერდებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ ზაურ გინდიასნაირი ადამიანებისთვის „კარგი ნიადაგი“ შემზადებულიყო ისტორიულად ერთად მცხოვრებ ქართველ და აფხაზ ხალხს შორის შედლის ჩამოსაგდებად და თანდათან გასაღვივებლად, რაშიც ხელისუფლებას „დამსახურებული“ როლი გააჩნდა.

შოვინისტური პროპაგანდისთვის შესანიშნავი პირობები შეიქმნა აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაშიც აფხაზებს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა უწყობდა ხელს. თანდათან მომრავლდა და იმატა ფაქტებმა, როდესაც ქართველებს სამსახურიდან ითხოვდნენ, მათ ადგილებს კი აფხაზები იკავებდნენ.

* * * * *

აფხაზეთში XX საუკუნის 70-იან 80-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით ჩვენ ჩავიწერეთ ინტერვიუ ამ მოვლენების თვითმხილველებთან და შემოვიტანეთ სადისერტაციო ნაშრომში, როგორც ზეპირი ისტორიები. (ის დანართი №5).

საქართველოს შსს საარქივო მასალებში თავმოყრილია გამოუქვეყნებელი დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ აფხაზეთში XX საუკუნის 80-იან წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს. ქვემოთ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტები უმეტესად აღნიშნავენ საქართველოს ისტორიის გაყალბებულ ფაქტებს, რომლის ქმედებაში საბჭოთა რუსეთი წარმმართველ როლსა და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

ერთ-ერთ ასეთი წერილით, აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები თხოვნით მიმართავენ სკპ ცკ პოლიტბიუროს წევრს, სკპ ცკ პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარეს ა. პელშეს, გაერკვეს არსებულ ვითარებაში, რომელიც შექმნილია XX საუკუნის 80-იან წლებში და მიიღოს ზომები არასტაბილური ვითარების დასარეგულირებლად.

აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისთვის გაუსაძლისი პირობებისა და ხელოვნური პოლიტიკური პროგრამიების შექმნისთვის ადგილობრივი მოსახლეობა (ქართველები) პროტესტის სახით აგზავნიდნენ ქ. მოსკოვში წერილებს, რომ უმაღლეს ხელისუფლებას მხედველობაში მიეღო მათი თხოვნა და გაეტარებინათ შესაბამის ზომები აფხაზების არაკორექტული ქცევების აღსაპვეთად. ერთ-ერთი ასეთი წერილი, რომელიც მოძიებულია საქართველოს შსს არქივში და რომელსაც ხელს აწერს უამრავი ადამიანი, 1980 წლის აპრილშია შედგენილი. იგი გაეგზავნა სკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კპ ცკ პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. გ. გილაშვილს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზ. ა. პატარიძეს. ხელისმომწერნი (სულ 324 ადამიანი) საქართველოს მთავრობას სთხოვენ აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეჩერებას (ის. დანართი №3).

წერილი იწყება მეტად მნიშვნელოვანი შესავალი ნაწილით, სადაც აღწერილია ქართველთა და აფხაზთა ერთად თანაცხოვრების ისტორია. საუბარია

საქართველოზე, სადაც ოდითგანვე ერთად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ერისა თუ ეროვნების წარმომადგენლები. ქართული ენა კულტურის ენა იყო არა მარტო აფხაზებისთვის, არამედ ბევრი ჩრდილოკავკასიელი ხალხისთვის, რადგან საერთოა წარმომავლობა და ეკუთვნიან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს.

წერილში გულისტკივითაა აღნიშნული, რომ „დღეს აფხაზეთში შექმნილი ვითარება გვაიძულებს, დავფიქრდეთ დღევანდელობაზე, გავაპატიოზოთ გუშინდელი, გავითვალისწინოთ ხვალინდელი“. წერილის მიხედვით ირკვევა, რომ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერები მოსახლეობას აწვდიან საქართველოს ისტორიის ფალსიფიცირებულ ვარიანტს, არწმუნებენ მათ, თითქოს აფხაზები ქართველებმა დაიმონეს, წაართვეს ყველა კულტურული მონაპოვარი, რომ საქართველოს ისტორიის ადრინდელი პერიოდის ყველა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ტომით აფხაზია და ქართველი ისტორიკოსები ამას მალავენ და ა. შ.

ხელისმომწერნი წერილში აცხადებენ, რომ „ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ადამიანებს ისინი (იგულისხმება აფხაზი სეპარატისტები) საქართველოზე უქმნიან კოშმარულ წარმოდგენას, რომ თითქოს აფხაზები არიან ქართველთა მიერ დაჩაგრული, დამონებული, რომ ქართველები იყვნენ ბარბაროსი დამპყრობლები და ა. შ. მიზანი ერთია – საქართველოდან აფხაზეთის ასერ გამოყოფა. საქართველოს საზღვარი გაიკლის არა მდინარე ფსოუზე, სოფ. ლესელიძეში, არამედ მდინარე ენგურზე, ზუგდიდთან“.

წერილში ასევე გულისტკივილითაა აღნიშნული, რომ: „დღეს აფხაზეთში კანონიერ „მესაჭეებად“ დგანან მოღალატეები, ქართველი ხალხის მტრები და სწორედ ისინი განაგებენ ქართველი კაცის ბედ-იღბალს. კიდევ ერთხელ მოვითხოვთ: აფხაზეთის ასერ-ში გამეფებული უკანონობის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას: კადრთა შერჩევაში ლენინური პრინციპულობის განუხრელ დაცვას: მხოლოდ ღირსეული ინტერნაციონალური სულისკვეთების მქონე, განათლებული, პატრიოტი და საქმის მქონე მუშაკთა დაწინაურებას; დაუყოვნებლივ უნდა დაისაჯონ საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით ყველა ისინი, ვინც ერთა შორის თესავს შუღლს, ვინც ხელყოფს ერთა შორის მმობისა და მეგობრობის ურდვევ პრინციპებს. დაუყოვნებლივ უნდა იქნას ლიკვიდირებული ნაციონალისტთა სამწლიანი ბატონობის შედეგად შექმნილი უთანასწორობანი ხელმძღვანელ ორგანოებში. საქართველოში მცხოვრებ ყველა მცირე ერს მიენიჭოს თავისი ადგილი, ერთხელ და სამუდამოდ იყოს მათოვის გასაგები, რომ ქართველი ერი

თვითონ განაგებს თავის მიწა-წყალს, არავის დააკავებს ძალად საქართველოში, მხოლოდ თან ვერ გაატანს ქართული მიწის მტკაველსაც კი. ყველა ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა დაუყოვნებლივ და ყველასათვის გასაგები ფორმით“.

წერილში ასევე გრძელდება მოსაზრება: „აფხაზთა ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მიღების საკითხი. მიუხედავად დაუსრულბელი ბოდიშებისა და ფიცისა, რომ ყველაფერი მოეწყობა ისე, როგორც ამას ინებებს აფხაზ „მეამბოხეთა“ ბრძო, მათ მაინც მოითხოვეს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ამოღება, საქართველოდან გამოყოფა და კრასნოდარის მხარესთან შეერთება. ეს იყო დაუფარავი მცრობისა და სიძულვილის დემონსტრაცია. გონებადაბნეულებმა ბრძო რუსთაველის ძეგლიც კი შეურაცხეო. ქართველი კაცი ამას ვერასოდეს დაივიწყებს. აი, როგორი ფაქტებით აღინიშნა ადლეიბას ხელმძღვანელობის დაწყების პერიოდი. წამოყენებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად პროვოკატორებმა მოაწყვეს გაფიცვები. რამდენიმე დღე აფხაზები სამუშაოდ არ გამოდიოდნენ, ხოლო მათ, ვისაც არ სურდა გაფიცვა, ტერორისტული ჯგუფი მუქარით აიძულებდა სამუშაოდ წასვლას. ნაწილობრივ დაიკეტა მაღაზიები, შემცირდა ტრანსპორტის მოძრაობა. ეს პოლიტიკური საბოტაჟი არავის შეუფასებია პარტიული პრინციპულობით“.

წერილის შემდგენელი აღნიშნავენ, რომ „რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიდგომა საკითხისადმი... უკიდურესად მცდარია, რასაც დღევანდელი სინამდვილე ადასტურებს. აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრად გამჟღებული კოჭლაძის ნაცვლად მოსკოვიდან მოიწვიეს ივანე კლიმოვი“. აქედან ნათლად ჩანს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა როგორ აქტიურად ერეოდა იმ პერიოდის აფხაზეთის (საქართველოს) პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სემოსესენებული წერილი ადასტურებს, რომ აფხაზეთის ომამდე რამდენიმე წლით ადრე იკვეთებოდა აფხაზეთის ერთიანი საქართველოდან ჩამოცილების საფრთხე, რომელსაც ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა აშკარად ამჩნევდა სეპარატისტების მხრიდან გამოწვეული ანტიქართული მოქმედებებით.

XX საუკუნის 70-იანი წლები აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს, რაც აისახება სეპარატისტების გააქტიურებით, საპროტესტო მოქმედებებით და ყველა აღნიშნულ ქმედებას, რა თქმა უნდა, კრემლი წარმართავდა.

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის პროტესტის ყველა მცდელობა, აფხაზეთში XX საუკუნის 70-იან წლებში განხორციელებული პროგოკაციული ქმედებების მიმართ, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოხმაურებისა და რეაგირების გარეშე დარჩა. 80-იან წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინერტულობის ფონზე, აფხაზი სეპარატისტული იდეოლოგიის ლიდერებს მიეცათ ანტიქართული პროპაგანდის ფართოდ გაშლის საშუალება, რომლის პროპაგანდის მნიშვნელოვან მანქანად იქცა ე.წ. „აფხაზური ტელევიზია“, რომელიც ეთერში მხოლოდ აფხაზურ და რუსულ ენებზე გადიოდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მუშაობისას მოძიებულ იქნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება რომელიც შეეხება აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ზოგიერთი მთიანი რაიონების დახმარების მიზნით უმაღლესი განათლების სპეციალისტების მომზადებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ გამოყოს სპეციალიზებულ და უმაღლეს სასწავლებლებში ადგილები კონკურსის გარეშე მიღებისათვის ამ რაიონების მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლებისთვის, რაც მიგვაჩნია საინტერესო ფაქტია ქართული სახელმწიფოს მხრიდან - მიმართული აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობისადმი.

შსს არქივში მოვიპოვეთ წერილი, რომელიც შეეხება აფხაზი საზოგადო მოღვაწის ივანე თარბას დაჯილდოებას. დოკუმენტის მიხედვით საქართველოს კპ ცკ აჯილდოვებს ი. კ. თარბას (აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის დიმიტრი გულიას სახელობის პრემიის ლაურეატი) მეგობრობის ორდენით მრავალწლიანი, ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწეობისათვის. წერილში აღწერილია, რომ ი. თარბას ლიტერატურული კრებულები, რომანები და პოემები გამოირჩევიან ჰუმანურობითა და პატრიოტიზმით.

ყურადღებას იქცევს 1981 წლის 13 თებერვალს სსრკ კპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ე. შევარდნაძის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომელსაც ხელს აწერს ილია ანთელავა - საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,

არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი არქივში მოძიებული წერილი.

ზემოთხსენებული წერილი შეეხება აფხაზი საზოგადო მოღვაწისა და პოეტის გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 135-ე წლისთვის აღსანიშნავად შესაბამისი სამუშაოების უზრუნველყოფას.

ამასთანავე, არქივში მასალების მოპოვებისას მოძიებულ იქნა ამონაწერები პროტოკოლიდან, რომელიც შეეხება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით აფხაზური გაზეთის „აფხსი ყაფში“-ს („საბჭოთა აფხაზეთი“) და ქ. სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საპატიო ორდენებით დაჯილდოვებას.

საგულისხმოა დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს რ. ალავიძე და შეეხება მდ. ენგურზე სოფელ ოტობაიასთან დამაკავშირებებებით ხიდის მშენებლობის საკითხს, სადაც დეტალურადაა აღწერილი სამშენებლო დონისძიებებთან დაკავშირებული პროცედურები, რაც ადასტურებს აფხაზეთისადმი განუწყვეტლივ ყურადღებას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან.

საინფორმაციო ხასიათის წერილი „აფხაზეთის გუდაუთის რაიონის სამომავლო ხოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზომების შესახებ“, რომელსაც ხელს აწერს ა. იობაშვილი, ითვალისწინებს პირუტყვის ფერმების მშენებლობის უზრუნველყოფას.

არქივში მოძიებული საარქივო დოკუმენტები სრულად აქარწყლებენ იმ მოსაზრებებს, თითქოს ქართველთა მხრიდან აფხაზები შევიწროებას განიცდიდნენ, რის შესახებაც ისინი გამუდმებით ჩიოდნენ კრემლში, რაც ყოველივე აზრსაა მოკლებულია და იგი არანაირი დოკუმენტური მასალით არ დასტურდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებში დაცულია წერილი შედგენილი ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ, რომელიც შეწუხებული იყო აფხაზეთში მიმდინარე ქართველების საწინააღმდეგო პოლიტიკით. წერილი დათარიღებულია 1981 წლის 3 თებერვლით და ხელს აწერენ მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, ჟურნალისტები, პედაგოგები, კოლმეურნეები, მუშები, მოსამსახურეები.

აღნიშნული წერილი გაეგზავნა სკპ XXVI ერილობის პრეზიდიუმს, სკპ ცკ გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეუნევს, ხოლო ასლი - საქართველოს კპ ცკ პირველ მდივანს, ე. ა. შევარდნაძეს. წერილის შესავალში საუბარია აფხაზეთის ისტორიაზე.

ასევე მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკისა და აფხაზების ქართველებზე წაკიდების გზით შავიზღვისპირეთში რუსებით დასახლების შესახებ. წერილში საზოგადოების წარმომადგენლები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ანტიქართულ მოძრაობას აფხაზეთში არასდროს არ მიუღია ისეთი საშიში ფორმა, როგორიც XX საუკუნის 80-იან წლებში ჰქონდა, რაც საქართველოს სსრ ნაციონალური და საკადრო პოლიტიკის ჩავარდნის შედეგად მიიჩნევდნენ.

წერილით ირკვევა, რომ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას მემკვიდრეობად ერგო აფხაზეთში შექმნილი განსაკუთრებით რთული და საგანგაშო პოლიტიკური სიტუაცია და 80-იანი წლების აფხაზეთის საოლქო კომიტეტში ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი დაჯგუფება: ანტიქართული, შთაგონებული ყველა ჯურის კარიერისტებისა და მაქინატორების მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახია და პრინციპული, პარტიული, რომლის სათავეშიც იდგა საოლქო კომიტეტის მდივანი გ. ხვარწკია, რომლის გარშემო დაჯგუფებული კომუნისტების მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. კორუფცია, რომელსაც ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ვ. მუავანაძის მმართველობის პერიოდში, რომელიც გაიფურჩქა მცდარი საკადრო პოლიტიკის შედეგად.

წერილის მიხედვით ჩანს, რომ აფხაზების ხელში, რომლებიც იმ დროისთვის შეადგენდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმცირეს ნაწილს (15%), აღმოჩნდა ნომენკლატურული თანამდებობების ორი მესამედი. თანამდებობებისთვის ბრძოლამ მიიღო ანტიქართული ხასიათი, რაც დამდუპველ გავლენას ახდენდა სახელმწიფო აპარატის ნორმალურ მუშაობაზე. კნინდებოდა მართლმსაჯულება, კორუფციის ზრდამ კი შეუძლებელი გახადა ბრძოლა ვ. კობახიას მფარველობის ქვეშ მყოფ საქმოსნებთან და მაქინატორებთან. სამწუხაროდ, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო, გარკვეულიყო ამ რთულ და დახლართულ ვითარებაში და აირჩია მცდარი გზა: 1973 წ. სიტუაციის განმუხტვის მიზნით დაკავებული თანამდებობებიდან ერთდროულად გაათავისუფლა ვ. კობახია და გ. ხვარწკია.

გაგრაში სასწრაფოდ ჩასულმა შევარდნაძემ საქალაქო კომიტეტის შენობაში შევარდნილ უმართავ მასას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ამხანაგებო, მოხდა შეცდომა, ავჩქარდით საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის არჩევისას. ჩვენს შეცდომას ჩვენვე გამოვასწორებთ. გნებავთ გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველ

მდივნად აფხაზი? აი, თქვენ აფხაზი ასენიკო კონსტანტინეს ძე გვარამია, გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი, ჩვენ მას გინიშნავთ საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად!“.

საზოგადოება წერილში აცხადებდა, რომ აფხაზური პროგოკაციული მოძრაობა ინსპირირებულია მოსკოვის გარკვეული წრეების მიერ, რომლის მიზანია ქართველების აფხაზეთიდან განდევნა!

აღნიშნული წერილი შეიქმნა და გაიგზავნა, მაგრამ არ გამოქვეყნებულა საჯაროდ, არ დაბეჭდილა საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ პრესაში, არ გაშუქებულა საინფორმაციო საშუალებებით. არადა ამ წერილის საჯაროობას თვით ავტორები მოითხოვდნენ. იყო მცირე გამოხმაურება მხოლოდ სკპ ცკ-ის წერილების განყოფილებიდან, რაც დაბეჯითებით გულისხმობდა, რომ ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო არასწორად ინფორმირებულები რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ აფხაზეთის ასსრ-ში გატარებული დონისძიებების შესახებ.

ამონაწერი პროტოკოლიდან, რაც წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებში, აღნიშნავს, რომ მდგომარეობა აფხაზეთში შედარებით სტაბილურია. თუმცა აფხაზეთის ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის ქმედებებმა გამოიწვიეს აუთიტაუი და მდგომარეობის გართულება, რაშიც საბჭოთა რუსეთის როლი უდაოა და მისი წაქეზებით სიტუაცია თანდათან იძაბება და პროცესები სულ უფრო უმართავი ხდება. მაგალითად უერნალ „ალაშარა“-ში გადაწყვიტეს, რომ არ დაებეჭდათ ისტორიის ფაკულტეტის ლექტორის ზ. პაპასქირის სტატია, რომელშიც იგი აკრიტიკებს ქართველი მეცნიერების განმარტებას „აბაზგები-“ს ტერმინის შესახებ.

სეპარატისტების მონაცემებით მოქმედებს იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს ატმოსფეროს დაძაბვას ეროვნებათა შორის და მათი ძირითადი მიზანია ავტონომიური რესპუბლიკის გამოყოფა საქართველოსაგან. მათი თქმით აფხაზეთში მსხვილი სამეწარმეო ობიექტები შენდება ქართული მოსახლეობის მოსაზიდად აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ამასთანავე, დაძაბული სიტუაცია შეიქმნა აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციაში, როდესაც ქართველი მწერლის ა. ჯიქიას წიგნის განხილვის საბჭოს ზოგიერთმა წევრმა ავტორს მოსთხოვეს შეცვალოს გეოგრაფიული სახელწოდებები ძველი აფხაზური სახელწოდებებით. წარმოდგენილი ამონაწერიდან

ნათლად ჩანს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო უნიტროების კომიტეტი ცდილობს კონტროლი დააწეოს შექმნილ სიტუაციაზე და გამოააშკაროს ნებატიური ვითარების გამოვლინებები. პროტოკოლის დოკუმენტს ხელს აწერს ა. ინაური.

საარქივო დოკუმენტი შეეხება იმ წერილებს, რომლის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ხელმოწერა იყო ფიქტიური და პრობლემული წერდა ხალხი, რომელიც არ იყო ინფორმირებული აფხაზეთის ასსრ-ში ჩატარებულ დონისძიებებზე. ინფორმირების მიზნით ჩატარდა შეხვედრები საქართველოს ცპ პატ ს მდივნებისა და წერილების ავტორებს შორის.

უემოთხესენებული დოკუმენტით ირკვევა, რომ სისტემატურად ტარდება დონისძიებები ქ. თბილისის და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის განსახორციელებლად. საქართველოს და მისი ისტორიული ნაწილის - აფხაზეთის ტელევიზიით ხშირად აშუქებენ ამ ორის მრავალსაუკუნივან მეგობრობას, ტარდება მეგობრობის ესტაფეტა ს. ლესელიძე - ქ. თბილისის მარშრუტით, რეგულარულად ტარდება ფოლკლორის საღამოები. ტრადიციული გახდა ქართველი და აფხაზი ახალგაზრდობის შეხვედრები ს. რუხში. იქმნება მეგობრობის მუზეუმები ქ. სოხუმში და გაგრაში. აღნიშნული წერილებით დასტურდება ქართველთა მხრიდან ორ ისტორიულ ხალხს შორის მჭიდრო ურთიერთობისა და დაახლოების საქმეში უმნიშვნელოვანები წვლილის შეტანა.

1982 წლის დეკემბრით დათარიღებული ამონაწერი - პროტოკოლი №54 აღნიშნავს, რომ აფხაზური ენის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ზომებზე დადგენილების თანახმად ჩატარებულია დიდი სამუშაო. ეს სამუშაო მიმართულია აფხაზური ენის სწავლებისა და შესწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე. ახალი, ეფექტური მეთოდების თვალსაჩინოებისა და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე. ამ დადგენილების მიხედვით უნდა გაუმჯობესდეს აფხაზური ენის მასწავლებლების მომზადება, ახალი სახელმძღვანელოების, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენის უზრუნველყოფა.

აფხაზური ენის სწავლების გაუმჯობესებას ხელს უწყობს აფხაზური ტელევიზიის დაარსება. შემოღებულია სპეციალური რუბრიკა „საუბრები მშობლიურ ენაზე“. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია აფხაზური

ენისა და ლიტერატურის კათედრა. მიღებული ზომების შედეგად გაუმჯობესდა მოსწავლებში აფხაზური ენის ცოდნა. თუმცა წარმოდგენილ საბუთებში აღნიშნავენ, რომ არსებობს პრობლემები და მათ გადასაჭრელად საქართველოს კაცი სამდივნომ მიიღო რიგი დადგენილებები. საქართველოს სსრ-ს განათლების სამინისტროს დაევალა დაეხმაროს აფხაზეთის განათლების სამინისტროს სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებაში და ა.შ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დაევალა გარკვეული ამოცანები აფხაზური ენის სწავლების გასაუმჯობესებლად. მაგალითად, გამოყონ ბიბლიოთეკები საჭირო სასწავლო მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით და ა. შ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უმიშროების კომიტეტის ამონაწერი პროტოკოლიდან №44 შეეხება აფხაზეთის ასსრ-ში კომპლექსური დონისძიებების გატარებასა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლას. ამონაწერიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის ოქრიტორიაზე ყველა სახით ცდილობდა შექმნილი დაძაბული სიტუაცია განემუხტა და დაესტაბილურებინა.

საინტერესო წერილია დაცული საქართველოს შსს არქივში, რომელიც ქართველების იმ მცირეოდენი ნაწილის მიერ არის შედგენილი.

ზემოაღნიშნული ინტერვიუებიდან ნათლად ჩანს, რომ პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში ხელოვნურად, რუსეთის უხეში ჩარევით დაიძაბა და აღნიშნულმა პროცესებმა თანდათან გააღვივეს აფხაზური სეპარატიზმი, რაც აფხაზეთის რეგიონში კონფლიქტის პროვოკირების საფუძველი გახდა.

საინტერესო წერილი აღმოვაჩინეთ საქართველოს შსს საარქივო მასალებში. ის შეეხება საპროტესტო წერილს, რომელიც გაეგზავნა კომპარტიის XXVI ყრილობას (ასლი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას) და ხელს აწერს რამდენიმე ადამიანი. წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ გაზეთ „კომუნისტი“ დაიბეჭდა ვთორდუასა და ი. გობექიას წერილი სახელწოდებით „თაიგული“, სადაც ქართველები ეთნიკურ ჯგუფებად არიან მოხსენიებულნი (დაყოფილნი).

წერილზე ხელისმომწერნი გაკვირვებას გამოხატავენ ვის ინტერესებს ემსახურება ინტერნაციონალიზმის ამ ფორმის გამოვლენა: „ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ჯგუფებად ამგვარი დაშლა და ამ ჯგუფების ერებად წარმოდგენა

მეფის რუსეთის იდეოლოგიური არსენალიდან არის ამოდებული და არსებითად არაფრით განსხვავდება 1980 წლის 5-6 ივნისს სწორედ ბზიფში თავყრილობაზე შეკრებილ პროვოკატორთა მტკიცებებისაგან, რომ მეგრელებისა და სვანების ასიმილატორები არიან. მოვითხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ საჯარო განმარტებას, თუ რის შემდეგ გახდა სვანი და რაჭველი ცალკე ეროვნების წარმომადგენლად აფხაზეთში”.

1985 წლის მარტში საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში მოხდა ფორმალურად მორიგი, მაგრამ თავისი შინაარსითა და პოლიტიკური ტრანსფორმაციის ხასიათის რადიკალური ცვლილებები.

1985 წელს სსრ კავშირის ხელისუფლების სათავეში მიხეილ გორბაჩოვი მოვიდა, რომელმაც ახალი პოლიტიკური კურსის – „პერესტროიკის“ დაწყება გამოაცხადა. სიტყვის თავისუფლებამ – საჯაროობის პოლიტიკისა და ზოგადად „პერესტროიკის“ მთავარმა მონაპოვარმა, საზოგადოებას საშუალება მისცა, დიად ემსჯელა მტკიცნეულ პრობლემებზე. ბიძგი მიეცა დემოკრატიულ განახლებას, რომელმაც საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა. საქართველოში გააძლიერეს თავიანთი საქმიანობა დისიდენტურმა წრეებმა; მოკავშირე რესპუბლიკებში აზვირთდა ეროვნული მოძრაობა.

„პერესტროიკის“ პირველმა ორნახევარმა წელიწადმა აჩვენა, რომ ტოტალიტარული სისტემა არ ქვემდებარებოდა რეფორმებს. ამიტომ 1987 წელის ოქტომბრიდან მიხეილ გორბაჩოვმა გამოაცხადა „პერესტროიკის“ მეორე ეტაპზე – დემოკრატიკისა და საჯაროობის პოლიტიკაზე, რამაც სტიმული მისცა რეუიმის მიმართ ოპოზიციური მოძრაობების გააძლიერებას.

სწორედ ამ ეტაპზე მოხდა საქართველოს დისიდენტური და ეროვნულ-განამათავისუფლებელი მოძრაობის ლეგალიზაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ოფიციალური დაყენება დღის წესრიგში.

ამ დროიდან აფხაზურმა სეპარატიზმა შეიძინა სრულიად განსაზღვრული, იმპერიული ცენტრიდან დეტერმინირებული ფუნქცია – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და მისი პოლიტიკური სუვერენიტეტის შეკავების, ბლოკირების ფუნქცია.

შეკავების ფუნქციისათვის გამოიყენებოდა როგორც იდეურ-პოლიტიკური პლატფორმა – აფხაზი ერის სუვერენული უფლებების რეალიზაცია ავტონომიური სახელმწიფოებრიობის სტატუსის ამაღლების გზით, ისევე კონკრეტული

პოლიტიკურობის ტაქტიკური ხაზი – ბრძოლა ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს არ ცნობდა აფხაზი ხალხის გარკვეულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ უფლებებს და აპირებდა აფხაზეთის ავტონომიის ლიკვიდაციას.

„პერესტროიკის“ მიერ შექმნილი პლურალიზმისა და საჯაროობის პირობებში აფხაზური სეპარატიზმის პირველ ოფიციალურ გამოვლინებას წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული „სამოცის წერილი“ – აფხაზური მეცნიერებისა და ქულტურის სამოცი თვალსაჩინო წარმომადგენლის 1988 წლის 17 ივნისის მიმართვა სკპ XIX საკავშირო კონფერენციისადმი.

მოგვიანებით, სწორედ „ცენტრის“ მხრივ, ადგილობრივი სეპარატისტი ძალების წაქეზების შედეგი იყო ე. წ. „ლიხნის მიმართვა“ (1989 წ. მარტი) და ე. წ. „აფხაზური წერილი“ (1988 წ. ივნისი), რომელიც სკპ XIX კონფერენციის პრეზიდიუმს გაეგზავნა. ორივე ამ დოკუმენტი საკითხი იდგა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ლიხნის მიმართვა მალევე გამოქვეყნდა აფხაზეთის პრესაში. ფაქტია, რომ საქართველოს სელისუფლებამ შესაფერისად ვერ შეაფასა ლიხნის მოვლენები და სათანადო ზომები ვერ მიიღო შეთქმული სეპარატისტების მიმართ. თუმცა ისიც მართალია, რომ შეთქმულ სეპარატისტთა ზურგში იმპერიული ხელისუფლება და უზარმაზარი სამხედრო მანქანა იდგა.

„ლიხნის მიმართვით“ გამოწვეული ვნებათადელვა ჩამცხარალი არ იყო, რომ 1988 წლის 17 ივნისს აფხაზთა შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა, რომელთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით მწერალი ალექსი გოგუა გამოირჩეოდა, მომავალი XIX საკავშირო პარტკონფერენციის პრეზიდიუმს გაუგზავნა განცხადება, შემდგომ „აფხაზური წერილის“ სახელით რომ გახდა ცნობილი. მასში გადმოცემული იყო თხოვნა, გადაეწყვიტათ საკითხი „აფხაზეთის დაქვემდებარებისა სელისუფლების ცენტრალური ორგანოებისადმი“.

აღნიშნული წერილი გამოქვეყნდა გუდაუთის სეპარატისტულ და ანტიქართულ გაზეთ „ბზიფში“ (1989 წლის ოქტომბერი №17, 20-22, 24-29-ში). წერილები საძულველ და ცილისმრამებლურ ტონში იყო დაწერილი, სადაც ყველაფერი ქართველთა მიმართ სიძულვილით იყო გაჟღენილი.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ძალიან დაიძაბა 1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა სელისუფლების კრიზისის პერიოდში, როდესაც საქართველოსა

და აფხაზეთში ჩამოყალიბდნენ და გავლენა მოიპოვეს სხვადასხვა სამოქალაქო მოძრაობამ და პარტიამ, როგორც არაფორმალურმა გაერთიანებებმა (სსდგეს 2008; 54).

1988-1989 წლებში სკპ მმართველმა აპარატმა დაინახა, რომ რეალური საფრთხე ემუქრებოდა მის ყოვლისშემძლეობას. ქართულ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებმა, პირველ რიგში, ზ. გამსახურდიამ თავიანთი აქტიური საქმიანობით 1988-1989 წლებში უნებლიერ ხელი შეუწყვეს პროცესებს, რომ ეთნიკურსა და კონფესიონალურ საფუძველზე შეექმნათ ანტიქართული კოალიცია საქართველოში მცხოვრები ყველა არაქართველისაგან, ნაწილობრივ კი – ქართველ მუსლიმთაგან, რომელთაც აერთიანებდათ შიში ქართული ნაციონალიზმისა და ფანატიზმის წინაშე.

ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი იყო მიმდინარე ეთნიკური მეტოქეობა (Tekushev 2013: 11).

საქართველოს ხელისუფლება კარგად ხედავდა, რომ საქმე უფრო და უფრო მწვავდებოდა, მაგრამ იმპერიის ძალებისაგან წაქეზებულ და გათამამებულ აფსუებს გერაფერს აგონებდა, ისინი არაფერს ეპუებოდნენ – მეტ და მეტ პრივილეგიებს მოითხოვდნენ – დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ საბჭოთა დროშებით და სიმბოლიკით ხელში, სინამდვილეში კი რსფსრ რესპუბლიკაში შესვლა უნდოდათ.

რამდენადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ფეხს იდგამდა საქართველოში, იმდენად ძლიერდებოდა აფსუების ავანტიურისტული ფესვები ქ. მოსკოვში, იმდენად ღვივდებოდა და ძლიერდებოდა კრემლის ზეწოლა აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტის გეგმით. ამით კრემლი ცდილობდა, რომ ოუ გონს არ მოეგებოდნენ ქართველი ნაციონალისტები და საბჭოთა იმპერიისაგან საქართველოს გამოყოფის განზრახვაზე ხელს არ აიღებდნენ – მაშინ აფხაზეთს უნდა გამომშვიდობებოდნენ.

რუსი პოლიტიკოსები და მასმედია (და სპეციალური სამსახურებიც) მოქმედებდა იმპერიული პრინციპით – „გათიშე და იბატონე“, ცდილობდნენ საქართველოში შიგნითაც აემდვრიათ წყალი – ერთიმეორისათვის დაეპირისპირებინათ სხვადასხვა ეთნიკურ-ეროვნული ჯგუფები, მათ შორის, ქართველებისადმი სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, აფსუები, ოსები, ჩეჩნები, ლეკები და ა. შ. ამ მხრივ ცალკეულ რეციდივებს პქონდა ადგილი დმანისში, ბოლნისში, ჯავახეთში, ყვარელში, მაგრამ საკითხი დარეგულირდა.

რუსული გეგმა თანდათან იხვეწებოდა, საბჭოთა უშიშროება აფხაზეთში ამზადებდა პროტუსულ სახელისუფლებო გუნდს, რომლის მეთაურად მოიაზრებოდა საბჭოების საკავშირო ყრილობის დეპუტატი გუდაუთის რაიონიდან ვ. არძინბა.

პოლიტიკური ვითარება დაძაბა და მეტად გაამწვავა 1990 წლის ზაფხულში ე. წ. „თურქი-მესების“ საკითხმაც. როგორც ჩანს, საბჭოთა სუკ-მა და სხვა სპეცსამსახურებმა საქართველოს წინააღმდეგ ახალი მექანიზმები გამონახეს, ეს გახლდათ დეპორტირებული გამუსლიმებული ქართველების გადმოსახლება შუა აზიიდან, რაც უკიდურესად სარისკო და რთული იყო. ეტყობა ამ სირთულეების შესახებ საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურებს საქმის კურში პყავდათ შეყვანილი სეპარატისტების ლიდერები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მათი აფხაზეთის გზით საქართველოში ძალით დაბრუნებას, რადგან ამას საქართველოში შეტაკებები და კონფლიქტი გამოეწვია, დიდი არეალი შეეტანა ხელისუფლებასა და მოსახლეობაში.

ქართველთა და აფხაზთა ურთიერთდაპირისპირებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მოსკოვის დესტრუქციულმა პოლიტიკამ, რომლის განხორციელებაში ერთ-ერთი მთავარი შემსრულებელი მოსკოვში აღზრდილი აფხაზური ინტელიგენცია გახდა. მათ კარგი თანამდებობები და უზრუნველი ცხოვრება აინტერესებდათ.

XX საუკუნის 80-იანი წლების I ნახევარში სეპარატისტულმა ძალებმა აფხაზეთში დაიწყეს აქტიური მზადება ახალი პროვოკაციული ქმედებებისათვის. აღნიშნული პერიოდის კვლევისას აღსანიშნავია, რომ პროვოკაციების მოწყობაში მათ საბჭოთა რუსეთი აქტიურად უწყობდა ხელს და ადგილობრივ მოსახლეობაში თანდათან ღვივდებოდა ანტიქართული პოლიტიკა. აფხაზეთში მცხოვრები ქართველი საზოგადოებისათვის მსგავსი სახის პროვოკაციული ქმედებანი მიუღებელი იყო და ისინი გამოხატავდნენ პროტესტს შექმნილი პოლიტიკური ვითარებისადმი.

1988 წლის ივნისისათვის მოსკოველმა კონსულტანტებმა, „აფხაზ ამხანაგებოან“ ერთად, დაასრულეს მუშაობა ე. წ. „აფხაზურ წერილზე“ (მას ხელს აწერდა აფხაზური ინტელიგენციის 60 წარმომადგენელი), რომელიც გაეგზავნა სკკ XIX საკავშირო კონფერენციის პრეზიდიუმს. წერილს თან ერთვოდა ე. წ. „ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის“ მიზნები და ამოცანები.

დოკუმენტის საბოლოო ტექსტი კი დაიწერა 1988 წელს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის სწავლული მდივნის ალმირ აბრეგოვის მიერ. „აფხაზური წერილი“, ბუნებრივია, არ გამხდარა საგანგებო მსჯელობის საგანი საკავშირო კონფერენციაზე. მიხეილ გორბაჩოვსა და მის პოლიტიკურ გუნდს მაშინ აფხაზებისთვის არ ეცალა. ვითარება შეიცვალა დაახლოებით 3-4 თვის შემდეგ, როდესაც ქართველი ახალგაზრდების ანტიმპერიულმა გამოსვლებმა სსრ კავშირის ხელმძღვანელობა შეაშფოთა. სწორედ მაშინ გაახსენდათ „ძველ მოედანზე“ (სკპ ცენტრალური კომიტეტის რეზიდენცია მოსკოვში) აფხაზთა პრეტენზიები თბილისისადმი და მაშინვე შეუდგნენ სათანადო ნაბიჯების გადადგმას აფხაზეთში ძლიერი ანტიქართული ფრონტის შესაქმნელად. 1988 წლის ნოემბერში აფხაზური სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი, სახელისუფლებო სტრუქტურებისა და პირველ რიგში, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მხარდაჭერით, გამოვიდა ინიციატივით და ფაქტობრივად დაარსა პირველი აფხაზური „ეროვნულ-პატრიოტული“ ორგანიზაცია – „აფხაზეთის სახალხო ფორუმი – აიდგილარა“ (აფხ. „ერთობა“). ეს იყო აფხაზი სეპარატისტების მთავარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც 1988 წლის 13 დეკემბრის დამფუძნებელ ყრილობაზე შეიქმნა.

გაერთიანების პირველი თავჯდომარე ნაციონალისტურ-სეპარატისტული შეხედულებებით ცნობილი აფხაზი მწერალი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ალექსი გოგუა გახდა. „აიდგილარას“ მეორე, რიგგარეშე ყრილობაზე ა. გოგუა გადადგა და ფორუმის ლიდერი სეპარატისტული დაჯგუფების ერთ-ერთი იდეოლოგი სერგეი შამბა გახდა. „აიდგილარას“ პოლიტიკური კონცეფცია ანტიქართულ და ანტისახლმწიფოებრივ სეპარატისტულ იდეოლოგიას ემყარებოდა. ის მოითხოვდა აფხაზი ხალხის „თვითგამორკვევას“ და აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფას.

1989-1991 წლებში აფხაზეთის „სუვერენიტეტის“ უზრუნველყოფის საშუალებად ფორუმს მიაჩნდა აფხაზეთის სტატუსის გაფართოება მოკავშირე რესპუბლიკის დონეზე და მოსკოვისადმი უშუალო დაქვემდებარება (ლაკობა 2004).

ახლადშექმნილმა ორგანიზაციამ იმთავითვე გამოამჟღავნა თავისი აგრესიული ანტიქართული განწყობილებები. ამასთან, „აიდგილარას“ ლიდერები დემონსტრაციულად უდასტურებდნენ თავიანთ ერთგულებას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სამშობლოს. ისინი გამოდიოდნენ ქართული

ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, რომელიც უმთავრეს მიზნად იმპერიის ნგრევასა და საქართველოს სახელმწიფო ბრძოლის მოპოვებას ისახავდა. ეს კარგად ესმოდათ ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებსაც, რომლებიც იმთავითვე შეუდგნენ აფხაზებთან შერიგების გზების ძიებას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ქართველი „არაფორმალების“ მიერ მოწყობილი პირები მასობრივი აქცია სოხუმში 1988 წლის 3 დეკემბერს. ამ აქცია-მიტინგზე ქართული ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეებმა: მერაბ ჯოსტავამ, ზურაბ ჭავჭავაძემ – მოუწოდეს აფხაზ თანამომეუბს ერთობისა და თანხმობისაკენ. გამოითქვა სურვილი აფხაზებთან ერთად ახალი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შენებისა, რომელშიც აფხაზ ხალხს მიეცემოდა პულტურულ-ეკონომიკური განვითარების ყველა პირობა, თვითმმართველობის თვისობრივად ახალი დონე. მაგრამ ქართველ პატრიოტთა ამ მოწოდებებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ პარტია ადექვატური გამოხმაურება აფხაზთა მხრიდან.

აფხაზეთში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ (იურიდიულად ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური) მხოლოდ აფხაზი შეიძლებოდა ყოფილიყო. კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო აფხაზთა წარმომადგენლობა ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებაში – მინისტრთა საბჭოში. მართალია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ქართველი ინიშნებოდა, მაგრამ ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა უმრავლესობას სათავეში აფხაზები ედგნენ. ასე, მაგალითად, 20 მინისტრიდან და სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარიდან 13 აფხაზი იყო, ქართველი კი მხოლოდ – 5. 1989 წ. აფხაზეთში არჩეული სსრ კავშირის 15 სახალხო დეპუტატიდან ნახევარზე მეტი – 8 აფხაზი იყო, ქართველი – 5. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და პროკურორის თანამდებობებიც აფხაზებს ეკავათ. ქალაქებისა და რაიონების 8 პროკურორიდან 5 აფხაზი იყო.

XX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნასა და 80-იანი წლების I ნახევარში ლატენტური კონფლიქტი საქართველოს რესპუბლიკურ ხელმძღვანელობასა და აფხაზურ ეთნიკურ ბიუროკრატიას შორის ფაქტობრივად ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. ამას შედეგად მოჰყვა ავტონომიურ რესპუბლიკაში ეთნოკრატიული მოდელის საბოლოო ფორმირება და აფხაზური ეთნოკრატიის, როგორც ელიტური პოლიტიკური კლასის, ჩამოყალიბება.

3.2 ქართულ-აფხაზური ურთიერთობები XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე და კრემლის იმპერიული პოლიტიკა

1989 წლის დასაწყისში აფხაზი სეპარატისტები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ, რითაც კიდევ უფრო გაამწვავეს ვითარება ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1989 წლის 7 თებერვალს გუდაუთის რაიონულმა გაზეთმა „ბზიფმა“, რომელიც ამ დროისათვის „აიდგილარას“ პროპაგანდისტულ ორგანოდ იქცა, გამოაქვევნა ე.წ. „აფხაზური წერილის“ სრული ტექსტი.

ამით ოფიციალურად გაცხადდა სეპარატისტთა სურვილი, გამოეყვანათ აფხაზეთი საქართველოს სსრ შემადგენლობიდან. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო სეპარატისტების მიერ საქართველოსა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ წამოწყებული „დიდი შეტევისა“.

მოსკოვმა სახელდახელოდ გადადგა ნაბიჯები აფხაზეთის ასსრ-ში სეპარატისტული მოძრაობის გასაღვივებლად. ის, რომ აფხაზთა ე.წ. „ეროვნული მოძრაობა“ მთლიანად ინსპირირებული იყო საკავშირო ცენტრის მიერ, რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ამას თითქმის დოკუმენტურად ადასტურებს არა სხვა ვინმე, არამედ სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის – ქვეყნის მთავარი დამსჯელი სტრუქტურის უკანასკნელი შეფი ვადიმ ბაკატინი (Бакатин 1992: 49).

იმაზე, თუ ვის რაში სჭირდებოდა აფხაზეთში პროვოცირებული შეტაკებები, საქართველოს დემოკრატიულ ქალებს საკმაოდ ნათელი დასკვნა გამოჰქონდათ. თანამემამულებისადმი მიმართვაში 1989 წლის 21 ივლისს საქართველოს სახალხო ფრონტი წერდა: „...ამ მოვლენების ნამდვილი ინსპირატორები არიან რეაქციული გარეშე ძალები, ათწლეულების მანძილზე რომ ხელოვნურად აკოწიწებდნენ „აფხაზურ საკითხს“, აფხაზ ხალხს ქართველ ხალხზე რომ გეშავდნენ და უსისინებდნენ... ეთნიკური და კულტურული თვითმყოფობის შენარჩუნება, სრული ეროვნული თავისუფლების მოპოვება ქართველებსა და აფხაზებს მხოლოდ ერთად შეუძლიათ“ (ჩერვონნაია 1994: 95).

ქართველთა წინააღმდეგ მიმართული გამოსვლის კულმინაციას წარმოადგენდა 1989 წლის 18 მარტის ლიხნის თავყრილობა, სადაც თავი მოიყარა

აფხაზური საზოგადოების ფართო სპექტრმა. უკიდურესად აგრესიული სეპარატიზმი აღნიშნულ თავყრილობაზე აშკარად იგრძნობოდა.

ეჭვს არ იწვევს, რომ დამოუკიდებლობა მოწყერებულ სეპარატისტთა ძალებს საბჭოთა იმპერია უმაგრებდა ზურგს, რაზეც მეტყველებენ ლიხნის თავყრილობის მიმართვის ადრესატები, რომლებთანაც თადარიგი პქონდათ დაჭერილი: გ. გორბაჩოვი, გ. სმირნოვი, ნ. რიუკოვი, გ. მარჩუკი და ა. შ.

„აფხაზეთის სახალხო ფორუმის“ საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით მიმართა გუდაუთის რაიონული საბჭოს აღმასკომის (რაიონის ოფიციალური ხელისუფლების) თავმჯდომარეს და მისგან 18 მარტს ლიხნის ველზე „სახალხო თავყრილობის“ გამართვის ნებართვა ითხოვა. „თავყრილობას“ უნდა განეხილა „წინადადებათა პროექტი“ ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე. ამგვარი აქციის ჩატარების მოტივად გამოცხადებული იყო ის, რომ სკპ ცენტრალური კომიტეტი ამზადებდა საგანგებო პლენუმს ეროვნებათაშორის ურთიერთობებზე.

1989 წლის 18 მარტს, სოფელ ლიხნში შედგა აფხაზთა მრავალათასიანი თავყრილობა, რომელსაც სრული შემადგენლობით დაესწრო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, მათ შორის: საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გალერიან კობახია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ზუბაია და სხვ.

„თავყრილობაზე“ მიღებულ იქნა სკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოსადმი „მიმართვის“ პროექტი, რომლის ქვეშაც თავისი ხელმოწერა დასვა აფხაზური ეროვნების უკლებლივ ყველა ხელმძღვანელმა, მათ შორის, ბ. ადლეიბამ და ვ. კობახიამ. „ლიხნის მიმართვას“ ხელი არ მოაწერა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ზუბაიამ.

„ლიხნის თავყრილობაზე“ მიღებული გადაწყვეტილებები იყო საქართველოსა და ქართველი ხალხის მორიგი „დაბეზღება“. სეპარატისტები აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებულ ყველა უბედურებაში საქართველოსა და ქართველობას ადანაშაულებდნენ.

„აფხაზთა თავყრილობის“ მონაწილეები კატეგორიულად სვამდნენ 1931 წელს დაშვებული „ტრაგიკული შეცდომის“ (როდესაც თითქოს „დამოუკიდებელი

აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აფხაზი ხალხის ნების გარეშე, გადააკეთეს აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში) დაუყოვნებლივ გამოსწორების საკითხს, ანუ აფხაზეთის ასერ-ის ფაქტობრივად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოყვანას, რაც ეწინააღმდეგებოდა როგორც სსრკ-ის, ისე საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციებს, რომლებშიც ერთნიშნად იყო დადასტურებული და კონსტიტუციურად განმტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკათა (ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ-ის) ტერიტორიული მთლიანობის ურყევობა.

„ლიხნის დეკლარაციაში“ განსაკუთრებით გაამწვავა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში, სტიმული მისცა ფართომასშტაბიან დესტაბილიზაციას და საქართველოს ეროვნული მოძრაობის აფხაზეთის სექტორის გააქტიურებას. „ლიხნის თავყრილობის“ დოკუმენტი წარმოადგენდა მორიგ დაბეზღებას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე.

ასეთი „დოკუმენტები“ აღრეც (1957, 1967, 1978, 1984 წლებში) იქმნებოდა, მაგრამ იმხანად მათ აფხაზეთის ქართველობის რაიმე მასშტაბური საპროტესტო აქცია არ მოჰყოლია, რაც აიხსნებოდა შემდეგი გარემოებით: მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო ხელისუფლება მოხერხებულად იყენებდა „აფხაზურ საჩივრებს“ თბილისზე გავლენის შესანარჩუნებლად, მთლიანობაში, ის მაინც ერიდებოდა ურთიერთობების მკვეთრად გამწვავებას საქართველოს ხელისუფლებასთან. მაგრამ ამ შემთხვევაში „ლიხნის თავყრილობაზე“ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ხელისუფლებისათვის და თვით აფხაზებისათვის მოულოდნელად, აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ და სრულიად საქართველომ მწვავე პროტესტით უპასუხა.

მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის ქართველმა სტუდენტობამ და პროფესორ-მასწავლებლებმა ღიად გაიღაშქრეს ლიხნის თავყრილობის მიერ მიღებული ანტიქართული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.

ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ყოველივე მოხდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის, მათ შორის, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბორის ადლეიბასა და აფხაზეთის ასერ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვალერიან კობახიას უშუალო მონაწილეობითა და დასტურით. უფრო მეტიც, მათ ოფიციალურად მოაწერეს ხელი ე. წ. „ლიხნის მიმართვას“, 123

რითაც ფეხქვეშ გათელეს ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეროვნული ინტერესები.

ქ. თბილისიდან სასწრაფოდ მოავლინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფი ცპ-ის მდივნის (იდეოლოგიის დარგში) ნუგზარ ფოფხაძის მეთაურობით. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორის, პროფ. ნაპოლეონ ქარქაშაძის კაბინეტში შედგა ნ. ფოფხაძის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოთარ ზუხბაიას და საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ზურაბ ერქვანიას შეხვედრა აფხაზეთის ქართველ სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

ნ. ფოფხაძემ მოუწოდა შეკრებილებს, არ აჰყოლოდნენ ემოციებს, გამოეჩინათ გონიერება და არ გადაედგათ მკვეთრი ნაბიჯები, რასაც შეეძლო კიდევ უფრო დაემაბა სიტუაცია აფხაზეთში. ფაქტობრივად, ეს იყო მცდელობა, გამოეთიშათ აფხაზეთის ქართული ინტელიგენცია საერთო-ეროვნული საპროტესტო მოძრაობიდან, მაგრამ ამ მცდელობამ მიზანს ვერ მიაღწია.

შეხვედრის მონაწილეებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდნენ პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის მდივანი გენო კალანდია, საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგე, დოც. შამილ ცხვედიანი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტები: მურმან ბერია, ზურაბ პაპასქირი, – ცალსახად აგრძნობინებს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ აფხაზეთის ქართული მოსახლეობა ამიერიდან უკვე არ მოითმენდა ეროვნული დირსების შედეგას და რომ ის კონსტიტუციის ფარგლებში საკადრის პასუხს გასცემდა სეპარატისტებს.

ხელისუფლებამ აწონ-დაწონა ქ. სოხუმში შექმნილი სიტუაცია და ვითარების შემდგომი შესაძლო გართულების შიშით, უფრო კეთილგონივრულად ჩათვალა ორგანიზატორებისათვის მიტინგის ჩატარების ნება („დე-ფაქტო“) დაერთო. შეიქმნა მიტინგის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ არაფორმალები. ქ. თბილისიდან ჩამოვიდნენ მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, თამარ ჩხეიძე, ქართული ეროვნული მოძრაობის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებმაც ადგილობრივ არაფორმალ ლიდერებთან: ვლადიმერ (ვოვა) ვეკუა, ჯონი ლატარია, ანზორ გვარამია, თემურ ლორთქიფანიძე, ნუგზარ

მგალობლიშვილი და სხვებთან ერთად ფაქტობრივად წარმართეს მთელი მოსამზადებელი მუშაობა.

სიტუაციას განსაკუთრებით ამწვავებდა ის გარემოება, რომ მიტინგის მომდევნო დღეს – 26 მარტს დანიშნული იყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების არჩევნები. იყო საშიშროება ამ არჩევნების ჩაშლისა აფხაზეთში, რასაც შეიძლებოდა კრიზისის უკიდურესად გამწვავება მოჰყოლოდა. ასეთ ვითარებაში, ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ არათუ არაფერი იღონა დაბატულობის განსამუხტავად, არამედ, პირიქით, მეტად მოუფიქრებელი, წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, როდესაც პარტიის საოლქო კომიტეტის ოფიციალურ თრგანოში, გაზეთ „აფხნი ყაფშში“ ერთდროულად, დემონსტრაციულად, გამოაქვეყნა ლიხნში მიღებული დოკუმენტების რედაქტირებული ვარიანტი. ფაქტობრივად, საქმე იქამდე მივიდა, რომ შეიძლებოდა გადაზრდილიყო ფართომასშტაბიან სამოქალაქო დაპირისპირებაში.

მრავალათასიანი მიტინგი დაიგეგმა 25 მარტისთვის (ქ. სოხუმში, მთავრობის სახლის წინ, ყოფილ ლენინის მოედანზე) ლიხნის თავყრილობის ერთი კვირის თავზე. 1989 წლის 25 მარტს ქ. სოხუმში შედგა ქართველი მოსახლეობის მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი. თავიდან მიტინგი დაგეგმილი იყო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, მაგრამ ხელისუფლებამ გადაკეტა მოედნის მისასვლელები და არ გაატარა იქითკენ მიტინგის მონაწილენი, ამიტომ მიტინგის ადგილად სახელდახელოდ შეირჩა კიროვისა და თრახელაშვილის ქუჩების გადაკვეთა, სადაც დაახლოებით 10 ათასამდე კაცი შეიკრიბა.

მიტინგზე გამოვიდნენ: მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, ვლადიმერ ვეკუა, დიმიტრი ჯაიანი, გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე, თამაზ კვაჭანტირაძე და სხვ. მათ დაგმეს სეპარატისტთა ქმედებანი და მოუწოდეს აფხაზ ხალხს, არ ედალატა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და მეგობრობისათვის. ამასთან, გამომსვლელებმა გააკრიტიკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საქმიანობა და, რაც მთავარია, კრემლის იმპერიული პოლიტიკა. გაისმა მოწოდებები, 26 მარტის არჩევნებზე არ მიეცათ ხმა დეპუტატობის იმ კანდიდატებისათვის, რომლებმაც მოაწერეს ხელი „ლიხნის მიმართვას“. მიტინგმა მშვიდობიანად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. იმავე დღეს

მრავალათასიანი მიტინგი შედგა გალის ცენტრში. საპროტესტო აქციები გაიმართა აფხაზეთის სხვა რაიონებშიც.

ჯ. პატიაშვილმა 1989 წლის 28 მარტს საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის რიგგარეშე სესიაზე მოხსენებაში განაცხადა: „არ შეიძლება აფხაზი ხალხი, რომელიც ქართველი ერის ცნობიერებაში ყოველთვის იყო კეთილშობილების, რაინდობისა და სამართლიანობის განსახიერება და რომელსაც ჩვენ მუდამ ვცემდით და ვცემთ დიდ პატივს, გავაიგივოთ აქციის ორგანიზატორებთან“ (Надареишвили 1998: 101).

1989 წლის 1 აპრილს დაახლოებით 500 ქართველი შეიკრიბა ქ. ლესელიძეში საპროტესტო მიტინგზე. ისინი გმობდნენ აფხაზების აღვირას სხილ ქმედებებს. როდესაც მიტინგის მონაწილენი სოხუმში ბრუნდებოდნენ, სოფ. ბზიფთან ეგზალტირებული აფხაზების ბრძო მოულოდნელად თავს დაესხა მათ. თავდასხმა ასევე განმეორდა ახალ ათონში, სადაც ავანტიურისტებმა იარაღიც კი გამოიყენეს და ზოგიერთი პირიც დაჭრეს.

საქართველოს კაცის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი ყველაფერს აკეთებდა, რომ კეთილგონივრული გზით დაეოკებინათ აფხაზი სეპარატისტები, მაგრამ მათი შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. ჯ. პატიაშვილი სეპარატისტებს შეახსენებდა, რომ აბსოლუტურად მცდარი იყო მოსაზრება, თითქოსდა 1921 წელს დამოუკიდებელი რესპუბლიკა პქონდათ და მათ მხარს უჭერდა ლენინი. თუ არა სტალინი, მათ ეს რესპუბლიკა შემდეგაც არ ექნებოდათ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯ. პატიაშვილმა აღნიშნა: „აფხაზ ამხანაგებს მოჰყავთ მრავალი ფაქტი ამ თავისი მიზნის დასასაბუთებლად, მაგრამ არ შეუძლიათ მოიყვანონ არცერთი სამართლებრივი დოკუმენტი, რადგან სამართლებრივი ნორმა, რომელიც ადასტურებს ამგვარი გადაწყვეტილების მართებულობას, უბრალოდ არ არსებობს“ (გასვიანი 2005: 100).

იმდროინდელი რუსული პრესა მაიც ტენდენციურად აშუქებდა განვითრებულ მოვლენებს და კიდევ უფრო აქეზებდნენ აფხაზებს და ეუბნებოდნენ, შეხედეთ ქართველები თქვენ არარაობად გთვლიან, მათ თქვენი გადაყლაპვა ან გადასახლება სურთ, თუ ჩვენთან არ იქნებით, ისინი გაგელებენ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ლიხნის შეკრება აფხაზების მიმართ გატარებული ცალმხრივი პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო. ათეული წლების მანძილზე, ასეთმა ვითარებამ დაარღვია ყოველგვარი პრინციპი თანამდებობების

განაწილებაში. აფხაზობა ეთნოსიდან უკვე სოციალურ კატეგორიად იქცა. დაიწყო ქართველების ორგანიზებული დევნა, შევიწროება და ჩაგვრა.

1. ლიხნის წერილში მთვარი ლეიტმოტივი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის ამაღლება რესპუბლიკის სტატუსამდე, რაც საქართველოსგან დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნიშნავდა. ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირში იყო რუსეთის სპეცსამსახურებთან.

2. აქვე უნდა ითქვას, კრემლს შენარჩუნებული პქონდა ძალუფლება თავისი სპეცსამსახურების სახით, რომლებიც ცდილობდნენ ბერკეტები არ გაეშვათ ხელიდან.

3. რაც შეეხება იმას, იყო თუ არა 28-26-11 რუსეთზე დიპლომატური გამარჯვება, ამაზე დღემდე მიჰირს ზუსტი პასუხი გაცემა, მიუხედავად იმისა, რომ გეთანხმებით - იმ დროისათვის არჩევნების ასეთი ფორმულით ჩატარება აფხაზეთში, მართლაც იყო გამოსავალი ჩიხური სიტუაციიდან, თუმცა ბოლომდე გამართლება ამ გადაყვეტილებისა მაინც არ არის სწორი, თუ გნებავთ იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში, ამან ვერ გვიშველა კატასტროფის თავიდან აცილების საქმეში.

4. აფხაზეთში განვითარებული მოვლენები პირდაპირ კავშირშია 1991 წლის ბოლოს ქ. თბილისში განვითარებულ მოვლენებთან, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქ. თბილისში იგნორირებული იყო კონსოლიდაციისა და პრაგმატული კონსულტაციების აუცილებლობა, რის გამოც პოლიტიკური ცენტრი მოიშალა და ეს ტალღისებურად გადაედო აფხაზეთს.

მართალია, ოფიციალურად არ აღიარებდნენ, მაგრამ კარგად იყო ცნობილი, რომ აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებლებში წლების მანძილზე აფხაზი ეროვნების სტუდენტებისათვის არ შეიძლებოდა ორიანის დაწერა. თანამდებობის დასაკავებლად საჭირო იყო დიპლომები და ეს საქმეც დიდი ენთუზიაზმით ქვედებოდა.

სასტიკი ტენდენციურობით ტარდებოდა სასამართლო პროცესები. ერთი და იგივე დანაშაულისათვის ქართველი გაცილებით მკაცრად ისჯებოდა, ამ სამარცხინო კამპანიის შედეგად ბევრი აფხაზის გულში გაღვივდა ზიზღი და სიძულვილი ქართველების მიმართ. ჩვეულებრივ ნორმად იქცა შეურაცხყოფის მიყენება ქართველებისათვის, როცა ისინი ქართულად გაბედავდნენ დალაპარაკებას და სხვა მრავალი.

ზოგმა აფხაზმა მეცნიერმა ისიც გადაწყვიტა, ასეთი საქციელი მეცნიერული არგუმენტებით და შრომებით გამოაგრებინა, შეითხა ისტორიის ყალბი ფურცლები, სადაც ისინი ითვისებდნენ და ამახინჯებდნენ საქართველოს ისტორიას, ქართველი და აფხაზი ხალხების საუკუნოებრივ მეგობრობას. ქართველ ისტორიკოსებს კი ეკრძალებოდათ ჭეშმარიტების დასაცავად ხმა ამოედოთ. ამ გაუმართლებელი აკრძალვების შედეგად ზოგიერთი აფხაზი მეცნიერის გამოკვლევები გარკვეულ „წარმატებასაც“ აღწევდა. ბევრმა მათმა თვისტომმა და მეზობელთა ნაწილმაც ირწმუნა თუ როგორ „დაიპყრო“ საქართველომ აფხაზეთი და როგორ „გჩაგრავდით“ მათ.

დაწყებულმა ეთნოკრიზისმა, რაც პოლიტიკურ კონფლიქტში გადაიზარდა, საქართველოში ენერგიულად დაწყებული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის, შინა სამოქალაქო ომის ტალღაზე გადასვლა სცადა და გარკვეულ მიზანსაც მიაღწია.

ამ სირთულეების გათვალისწინებით საბჭოთა სპეცსამსახურებს სეპარატისტების ლიდერები ეტყობა საქმის კურსში ჰყავდა შეყვანილი, რომელთაც მხარი დაუჭირეს აფხაზეთის გზით მათი ძალით დაბრუნებას, რათა ამას საქართველოში შეტაკებები და კონფლიქტი გამოეწია.

ასეთ ვითარებაში, მარტის ბოლოს ჯ. პატიაშვილი სოხუმში ჩავიდა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება გამართა. თავდაპირველად ქართული მხარე უარს აცხადებდა (აფხაზებთან ერთად) დახურული პარტიული ფორუმის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე და ცალკე ითხოვდა აუდიენციას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ჯუმბერ პატიაშვილთან, მაგრამ მან დემონსტრაციულად იუარა ქართველების ცალკე მიღება, რის შემდეგაც ქართველი წარმომადგენლობა იძულებული შეიქნა, დაგვიანებით შესულიყო დარბაზში.

აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები თავიანთ გამოსვლებში ცალსახად აცხადებდნენ, რომ აფხაზეთი არის მათი სამშობლო და სახელმწიფოებრივ მოწყობაზე ფიქრი მხოლოდ აფხაზი ხალხის პრეროგატივაა და რომ ქართველებს არა აქვთ უფლება, ჩაერიონ მათი სამშობლოს ბედ-იღბლის გადაწყვეტაში.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები ცდილობდნენ, როგორდაც მოეთოვათ

აფხაზთა ემოციები და ურჩევდნენ მათ, არ დაეყენებინათ საქართველოს სსრ-დან აფხაზეთის გამოყოფის საკითხი. როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, ყველაზე აქტიურად უტევდა აფხაზებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბორის ნიკოლსკი, რომელიც დიად და მოურიდებლად აკრიტიკულა სეპარატისტების ქმედებებს და უურადღებას ამახვილებდა ლიხნში მიღებული გადაწყვეტილებების ანტიკონსტიტუციურობაზე. სხდომის მონაწილე აფხაზები „ხმალამოღებით“ ხვდებოდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა ნებისმიერ მცდელობას, გადაეყვანათ საუბარი კონსტუქციულ ჭრილში და არ აძლევდნენ მათ თავიანთი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას.

ამ მხრივ განსაკუთრებით ზღვარგადასულად იქცეოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ახლადდანიშნული დირექტორი, უკვე საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი ვლადისლავ არძინბა. მისი ქცევით აღშფოთებულმა ქართველებმა, პოეტ ჯანო ჯანელიძის მოწოდებით, პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომათა დარბაზი. მხოლოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნუგზარ ფოფხაძისა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოთარ ზუბანიას თხოვნა-მუდარის შემდეგ დაბრუნდნენ სხდომათა დარბაზში ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებმაც მაინც მოახერხეს ეთქვათ თავიანთი სიტყვა და დაეცვათ ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები.

მიუხედავად ამისა, ქართული მხარის იმედები, რომ ამ შეხვედრის შემდეგ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა გააკეთებდა საორგანიზაციო დასკვნებს და ის აფხაზი ხელმძღვანელები, რომლებმაც ხელი მოაწერეს „ლიხნის მიმართვას“, მიიღებდნენ მკაცრ სასჯელს და განთავისუფლდებოდნენ დაკავებული თანამდებობებიდან, ამაო გამოდგა. საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის პასიურობამ ეროვნულ-პატრიოტული ძალების აღშფოთება გამოიწვია და მათ ხელისუფლების უმოქმედობას მდაფრი პროტესტით უპასუხეს.

აფხაზეთში ლიხნის თავერილობის შემდეგ საპროტესტო აქციების გამართვის ინიციატივით გამოვიდა არაფორმალური ორგანიზაცია - „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ აფხაზეთის ორგანიზაცია. 2 აპრილს ქ. სოხუმში საპროტესტო მიტინგზე სიტყვით გამოვიდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭავჭავაძე, რომელმაც დაგმო სეპარატისტების პროვოკაციული გამოხდომა

და მოუწოდა შეკრებილებს, არ აჰყოლოდნენ ემოციებს და არ მოენდომებინათ ანალოგიური მეთოდებით პასუხის გაცემა. მიუხედავად ამ მოწოდებისა, ქ. სოხუმში ვითარება სულ უფრო საგანგაშო ხდებოდა. პროტესტის ნიშნად მეცადინეობები შეწყვიტეს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა.

1989 წლის 4 აპრილს ქ. თბილისში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ინიციატივით დაიწყო პერმანენტული მიტინგები. მომიტინგებმა დაიკავეს მთავრობის სასახლისშინა მოედანი რუსთაველის გამზირზე. თავიდან ისინი მოითხოვდნენ „ლიხნის თავყრილობის“ ორგანიზატორთა დასჯას, მაგრამ თანდათანობით მომიტინგებმა ოპოზიციის რადიკალურად განწყობილი ნაწილის (ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი) გავლენით ახალი ლოზუნები წამოწიეს. კერძოდ, დღის წესრიგში დაყენებულ იქნა სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსკლისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი. არ ცხრებოდა სიტუაცია საკუთრივ აფხაზეთში, სადაც ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა დაიწყეს მზადება გრანდიოზული საპროტესტო მიტინგის მოსაწყობად გულრიფშის ცენტრში. ასეთ ვითარებაში, აუცილებლად იქნა მიჩნეული საქართველოში მიმდინარე მოვლენებში სსრ კავშირის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის ჩარევა.

საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა შეაშფოთა აფხაზეთში დაწყებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა და ვითარების განმუხტვას სოხუმში ჩასკლით შეეცადა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რესპუბლიკაში სკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა: ვ. ლობკოს, ვ. მიხაილოვისა და გ. სელეზნიოვის გაგზავნის შესახებ. ისინი ქ. თბილისში ჩამოვიდნენ 5 აპრილს. 6 აპრილს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი, ვ. მიხაილოვის თანხლებით, ქ. სოხუმში ჩავიდა, სადაც შედგა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

პლენუმმა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლა ბორის ადლეიბა. ამ პოსტზე არჩეულ იქნა ვლადიმერ ხიშბა, რომელსაც იმ დროისათვის ეპავა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს საკადრო გადაწყვეტილება დაგვიანებული იყო და ამით ვერ მოხერხდა აფხაზეთსა და, რაც მთავარია, თბილისში ვითარების შემდგომი ესკადაციის შეჩერება. აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის გამოცოცხლება სულ უფრო თვალში საცემი

იყო. ხელისუფლებამ ვერ შეძლო 8 აპრილს გულრიფშში დანიშნული საპროტესტო მიტინგისათვის ხელის შეშლა.

ამჯერად, მიტინგის მოწყობის ინიციატივა მოდიოდა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური და გულრიფშის რაიონული ორგანიზაციებისაგან. აფხაზეთში ჩამოვიდა რუსთაველის საზოგადოების წარმომადგენლობითი დელეგაცია მისი პრეზიდენტის აკაკი ბაქრაძის მეთაურობით, რომელმაც ვრცელი სიტყვით მიმართა მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეებს.

მიტინგზე აგრეთვე გამოვიდნენ: გურამ მამულია, შოთა ჯლამაძე, გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე. გამომსვლელებმა დაგმეს სეპარატისტთა დესტრუქციული ქმედებები და ერთხელ კიდევ გაუწოდეს აფხაზ ხალხს ძმობის და მეგობრობის ხელი (პაპასქირი 2007: 211).

ამასობაში, მთელი საქართველო შიშით ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას საქართველოს დედაქალაქში. ხელისუფლებამ 7 აპრილს ფაქტობრივად მიიღო გადაწყვეტილება მიტინგის დასაშლელად სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ. „სამხედრო ოპერაციის“ კონტროლი დაევალა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, გენერალ კონსტანტინე კოჩეტოვს, რომელიც ამ მისით ჩამოვიდა ქ. თბილისში. ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა 8 აპრილს, საღამოს, მას მერე, რაც შედგა საქართველოს სამეურნეო აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა მდივანმა, ნუგზარ ფოფხაძემ, გამოიჩინა კომუნისტური შეურიგებლობა, რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის სახელით შეკრებილებს განუცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ საჭირო იყო ძალის გამოყენება.

ეს უკვე იყო დაგეგმილი სისხლიანი ანგარიშსწორების ერთგვარი იდეოლოგიური სამზადისი. აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისში მიმდინარე მიტინგის სამხედრო ძალის გამოყენებით დაშლის საშიშროება იმავე 8 აპრილის საღამოს იგრძნო სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა აკაკი ბაქრაძემ. მან ამის შესახებ დიად განაცხადა სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარაში, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ წევრის ბესარიონ თდიშარიას ოჯახში, სადაც გაჩერდა გულრიფშის მიტინგის შემდეგ.

1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათზე, ქ. თბილისში განხორციელდა „სამხედრო ოპერაცია“ მიტინგის დასაშლელად. დაიღუპნენ სრულიად უდანაშაულო

ადამიანები (ძირითადად ქალები). საბჭოთა არმიის გენერლებმა არ იკმარეს მესანგრეთა ნიჩბები და დამატებით მომწამვლელი აირიც გამოიყენეს. თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ქ. სოხუმში შეიტყვეს 9 აპრილს, დილაადრიან. მაშინათვე ქალაქის ცენტრში, კონსტიტუციის მოედანზე მოეწყო სტიქიური საპროტესტო მიტინგი, რომელზეც აკაკი ბაქრაძემ დაგმო ხელისუფლების მოქმედება. საბჭოთა სუკ-მა და სპეცსამსახურებმა ქ. სოხუმში წინასწარ თადარიგი დაიჭირეს და ტექნიკით აღჭურვილმა სამხედრო ნაწილებმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარმა ქ. სოხუმის მთავარი ქუჩები გადაკატეს და მიტინგის მსურველთა ჯგუფები დაქსაქსეს. ქართველები სიტუაციის გამწვავებას მოერიდნენ და დაიშალნენ. მთელი საქართველოს მასშტაბით სამდღიანი გლოვა გამოცხადდა (პაპასქირი 2007: 211).

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ანტიმპერიულმა აქციებმა ახალი ძალით იფეთქა. საქართველოს სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის დირსეულმა წარმომადგენლებმა, ერთნიშნად დაიკავეს რა „არაფორმალთა“ პოზიცია, მკაცრად გააკრიტიკეს ხელისუფლების ქმედებები და მოითხოვეს „სამხედრო ოპერაციის“ ორგანიზაციორთა და შემსრულებელთა დასჯა. საყოველთაო საპროტესტო მოძრაობას, ბუნებრივია, აქტიურად გამოეხმაურა აფხაზეთიც, სადაც სეპარატისტებმა სახელდახელოდ შეთითხნეს მორიგი „დაბეჭდება“.

ამრიგად, ეროვნულ ცნობიერებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, დადებითი 9 აპრილს არაფერი მოუტანია. პირიქით, უდიდესი დამანგრევებული ზეგავლენა იქონია და კიდევ უფრო გააღრმავა არსებული პრობლემები. ტყუილია, თითქოს ვინმეს პქონდა „გამარჯვების“ შეგრძნება 10 აპრილს, შემდეგ პირველი დღეების ან თუნდაც თვეების განმავლობაში: არა მხოლოდ ქვეცნობიერად, არამედ ცნობიერადაც ბევრი გრძნობდა, რომ ეს იყო უდიდესი დამარცხება.

გარდა ამისა, სწორედ 9 აპრილის შედეგად შეიქმნა ფსიქოლოგიური ფონი, რისი მეშვეობითაც საქართველოში პროცესების მართვა, საზოგადოების განწყობისა და დამოკიდებულების ფორმირება უაღრესად გაადვილდა. საკავშირო ტელევიზიით გადმოცემულ თუნდაც ერთ სიუჟეტს, ერთ ნაბეჭდ სიტყვას შეეძლო საშინლად არააღექვატური რეაქცია გამოეწვია. გავიხსენოთ თუნდაც, რა რეაქცია მოჰყვა „ადამონ ნიხასის“ ლიდერის ალან ჩოჩივის წერილს „აფხაზებისადმი“. საეჭვოა მას ასეთივე მძვინვარე რეაქცია მოჰყოლოდა, რომ არა 9 აპრილის მოვლენები. ანუ 9 აპრილმა დაძაბა ფსიქოლოგიური ფონი საქართველოში. ამ

შესაძლებლობით შემდგომ მოსკოვის სპეცსამსახურებმა ბრწყინვალედ ისარგებლეს, როდესაც სჭირდებოდათ საზოგადოებრივი პროცესების მართვა ჩვენს ქვეყანაში და გარკვეული რეაქციების პროცესირება.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა დიამეტრალურად შეცვალეს არა მარტო საქართველოს განვითარების ვექტორი, არამედ კითხვის ნიშის ქვეშ დააყენეს თვით საბჭოთა იმპერიის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ეს უკვე მეტისმეტად ჩათვალა კრემლმა და რეაქციამაც არ დააყოვნა. რუსულმა სპეცსამსახურებმა მთელი ძალით აამოქმედეს ის დაყოვნებული მოქმედების ნაღმები, რომლებიც გათვლილი იყო ექსტრემალური პირობებისთვის ქვეყნის ეროვნული მოწყობის მაშინდელი სისტემის სახით.

სეპარატისტები, რუსების წაქეზებით მომხდარში ქართველებსა და საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ. „აფხაზეთის სახალხო ფორუმის“-ს ლიდერები კატეგორიულად მოითხოვდნენ სკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დაუყოვნებლივ და გადამწყვეტ ჩარევას. ახალი „მიმართვის“ ავტორები განსაკუთრებით ადშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ აფხაზეთში არ წყდებოდა ყოველდღიური უსანქციო მიტინგები, პარალიზებული იყო ქ. სოხუმის სახალხო მეურნეობის რიგი თბიექტების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების ფუნქციონირება.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში შექმნილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ კრემლს აშკარად აგრძნობინა, რომ კითხვის ნიშის ქვეშ დგებოდა საბჭოთა იმპერიის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამიტომ მთელი ძალით აამოქმედა როგორც ზემოთ წარმოდგენილი სპეცსამსახურები, ასევე საქართველოს უშიშროებაში თავის დროზე სწორედ „განსაკუთრებული პერიოდისთვის“ ჩანერგილი და რუსეთიდან მოვლინებული ოფიცრები. ამ მხრივ ვითარება განსაკუთრებით რთული იყო აფხაზეთის უშიშროების კომიტეტში, რადგანაც სენატულ კონტიგენტთან მჟიდრო კავშირში იყვნენ აფხაზი თანამშრომლები.

გაუცხოება და დისტანცირება ნათლად შეიმჩნეოდა ქართველებსა და აფხაზებს შორის. ქართველებთან ახლო ურთიერთობას ერიდებოდნენ სხვა ეროვნების თანამშრომლებიც. აფხაზ ოპერატიულ მუშაკებთან გარკვეული სირთულეები ექმნებოდათ ოპერატიული დანაყოფების ქართველ ხელმძღვანელებს. ძნელად ხერხდებოდა აფხაზ მოსახლეობაში მიმდინარე პროცესების

სრულფასოვანი შეფასება, რადგანაც აფხაზი თანამშრომლებისაგან მოწოდებული ინფორმაცია ობიექტურად არ ასახავდა ოპერატორულ რეალობას. უმრავლესობა აფხაზი ეროვნების მუშაკებისა, თავმჯდომარის აფხაზი მოადგილის, გ. ბერულავას ხელმძღვანელობით აქტიურად თანამშრომლობდნენ საყოველთაოდ ცნობილ ანტიქართულ ორგანიზაცია „აიდგილარასთან”.

საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა კომუნისტურ ძირმომპალ რეჟიმს აშკარად აგრძნობინა, რომ მისი დემონტაჟი გარდაუვალი იყო. მმართველი ელიტა, როგორც დედაქალაქში, ასევე რაიონებში ყოველგვარი ძალდატანების გარეშე თანდათან თმობდა პოზიციებს. მათი მთავარი საზრუნავი ამჯერად თანამდებობის შენარჩუნება კი არა, თავის გადარჩენა იყო. ამისათვის ბევრი არ ერიდებოდა ყველა ცოდვა სუკისკენ გადმოემისამართებინა, რაც ამ ორგანოსადმი ეროვნული მოძრაობის უარყოფით დამოკიდებულებას უფრო აგრესიულს ხდიდა. საქართველოს სუკის მიმართ უნდობლობის გაღვივების ერთ-ერთი დადასტურება იყო მისი ხელმძღვანელის, პროფესიონალი ჩეკისტის, გენერალ ალექსი ინაურის გადადგომის შემდეგ მის ადგილზე პარტიული ფუნქციონერების ჯერ გივი გუმბარიძის, ხოლო 9 აპრილის შემდეგ ტარიელ ლორთქიფანიძის დანიშვნა.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიული ფუნქციონერების უშიშროების ხელმძღვანელებად მოსვლა თვით თანამშრომლებშიც არ იყო დადებითად აღქმული. მითუმეტეს, რომ ტ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობის დროს მოხდა ეროვნული ძალების შეჭრა უშიშროების კომიტეტის შენობაში, რამაც მოსკოვს საბაბი მისცა გაეტანა სმოლენსკში აგენტურისა და ოპერატიული აღრიცხვის საქმეები, ასევე მნიშვნელოვანი საარქივო მასალები.

ქართველი მოსახლეობის საპროტესტო მოძრაობის მასშტაბებმა დააფრთხო სეპარატისტები და მათ უმაღვე გადადგეს საპასუხო ნაბიჯები. სეპარატისტთა ლიდერებმა, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა 1989 წლის 31 ივლისს მორიგი „დაბეზდება“ – დეპეშა-საჩივარი გააგზავნეს სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის სახელზე.

საჩივარში ხაზგასმული იყო, რომ ქ. სოხუმში გამართული მიტინგი ხასიათდებოდა ანტისაბჭოთა, ანტირუსული ქმედებებით. ასე დაასკვნეს აფხაზმა სეპარატისტთა ლიდერებმა, რომლებიც დეპეშას აწერდნენ ხელს (ალექსი გოგუა, ჯუმა ახუბა, ვალერი კვარჭია, სერგეი შამბა, ოლეგ დამენია). თუმცა აღნიშნული სახის საპროტესტო დეპეშა აფხაზეთის ქართველობას ვერ შეაჩერებდა. მალე

დაიწყო ახალი საპროტესტო აქციები აფხაზეთის ასერ ხელმძღვანელობის სეპარატისტული ქმედებების წინააღმდეგ.

„აიდგილარას“ პროგრამაში გკითხულობთ: „აფხაზეთის სახელმწიფო სახელმწიფო ბრიოს წარსულში აქვს ფესვები გადგმული. სახელმწიფო წარმოადგენს აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის უმაღლეს ფორმას. ყოველთვის, როცა კი გარეშე ძალთა დარტყმებებებში იმსხვრეოდა აფხაზეთის სახელმწიფო, აფხაზი ხალხი გენოციდს განიცდიდა. მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა ტრადიციამ აფხაზთა მენტალიტები იმგვარად ჩამოაყალიბა, რომ ჩვენ ხალხს უმაღლეს, უცილობელ და სიმწარით მოპოვებულ ფასეულობად ექცა ეროვნული სახელმწიფო, რომლის გარეთაც აფხაზთა ეთნოსის არსებობას აზრი ეკარგება. თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზური სახელმწიფოს წინაშე თრი ამოცანა დგას: აფხაზეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტის შესახებ მიღებული დეკლარაციის კონსტიტუციური უზრუნველყოფა; სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება. სამწუხაროდ, აფხაზეთის წინაშე მდგომი ამ და მრავალი სხვა ამოცანის განხორციელებას აბრკოლებენ საქართველოს ნაციონალ-შოვინისტური ძალები. მაგრამ აფხაზეთის სუვერენიზაციისა და დემოკრატიზაციის საწინააღმდეგო ქმედებებს თბილისის მეტროპოლიის მხრიდან მხოლოდ დროებითი ხასიათი შეიძლება პქონდეთ“ (ПИФАА 1992: 1).

კლადისლავ არძინბას მომხრეებმა, რუსეთის ხელისუფლების პირდაპირი და ფარული მხარდაჭერით სრულ იზოლაციაში მოაქციეს აფხაზეთში მომუშავე თანამდებობის პირები და პარლამენტის წევრები, ნულამდე დაეცა ქართველთა გავლენა და უფლებები აფხაზეთში. ყველა სფეროდან განიდევნა ქართული ენა, საკმარისი იყო, რომ ეთნიკურად ქართველს რაღაც გადაცდომა მოსვლოდა, იგი სასტიკად ისჯებოდა. საკითხავია – რა იყო ეს ყოველივე – თუ არა გამოუცხადებელი ომი ქართველების წინააღმდეგ, რომელიც დიდი ხნის წინ დაიწყო და მიმდინარეობდა აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ.

ჟურნალ „Дружба народов“-ის ფურცლებზე (1989, №5), მწერალი ალექსი გოგუა სტატიაში „Наша тревога“ გამოხატავს შეშფოთებას საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის არსებობის შესახებ და დიდ ტრაგედიად მიაჩნია („...წინასწარ გაანადგურეს და სისხლისაგან დაცალეს ინტელიგენცია, დახურეს

აფხაზური სკოლები, აფხაზეთის საუკეთესო მიწებზე დაასახლეს 200 ათასი მცხოვრები საქართველოს სხვა რაიონებიდან, რასაც მოჰყვა მკვიდრი მოსახლეობის ერთი ნაწილის ასიმილაცია. ამით კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ხალხი და მისი კულტურა შოკის მდგომარეობაში ჩააგდეს. მისი ავტონომია კი ცარიელ აბრად, ფარატინა ქაღალდად აქციეს (Gogya 1989:158).

ალექსანდრე გოგუას ამ გამოსვლამ ნამდვილი „შოკი“ გამოიწვია საქართველოს სამეცნიერო ინტელიგენციის წრეში. მრავალრიცხვან ცხარე და მკვეთრ გამოხმაურებათა შორის გამოყოფილ პ. ლოროქიფანიძის ყველაზე დააბუთებულ და საფუძვლიან სტატიას, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „აფხაზეთი ოდიოგან შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და ქართულ კულტურულ-ისტორიულ სამყაროში“, და რომ „ჩვენ – ქართველებსა და აფხაზებს – უერთმანეთოდ არ გვეცხოვრება. ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვოთ, ერთ მიწაზე. ეს ისტორიამ იმთავითვე განსაზღვრა“ (Лордкипаниძე 1989: 3).

რა იყო ეს, თუ არა ქართველებისა და საერთოდ საქართველოს იურისდიქციის სრული იგნორირება და აფხაზეთის დაკარგვა.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ლოიალური პოლიტიკის შედეგად კრემლის მიერ აღორძინებული აფხაზური ნაციონალ-სეპარატიზმი XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისთვის მეტისმეტად აგრესიული გახდა (პიპინაშვილი 2009: 116). ამასობაში, აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები სულ უფრო ამძაფრებდნენ სიტუაციას ქ. სოხუმში. 1989 წლის 22 ივნისს „აფხაზეთის სახალხო ფორუმის – აიდგილარას“ ინიციატივით მოწვეულ იქნა აფხაზი ხალხის წარმომადგენელთა კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1000-მდე ადამიანმა, მათ შორის, მთელმა აფხაზურმა ნომენკლატურამაც. კრებამ მიიღო სპეციალური „მიმართვა“ სკპცენტრალური კომიტეტისადმი.

ზემოხსენებულმა საკითხებმა განსაკუთრებული სიმძაფრე, ბუნებრივია შეიძინა იმ პერიოდში, როდესაც ომი უკვე კარს იყო მომდგარი და რესპუბლიკაც სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა პოლიტიკურ პროვოკაციაში (Сичинавა 1992: 2).

1989 წლის ივლისის დასაწყისში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრებმა, ბაგრატ შინკუბამ და ალექსი გოგუამ დეპეშა გაუგზავნეს უმაღლესი საბჭოს

თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ანატოლი ლუკიანოვს და ქვეყნის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს ვადიმ ბაკატინს.

8 ივლისს აფხაზეთის სახალხო ფორუმმა „აიდგილარამ” მიმართა სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ გორბაჩოვს და მოსთხოვა მას აფხაზეთში ცენტრისადმი პირდაპირი დაქვემდებარების შემოღება.

სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა 13 ივლისიდან, როდესაც სოხუმში დაიწყეს შეკრება რაიონებიდან და სოფლებიდან ჩამოყვანილმა აფხაზი ეროვნების მოქალაქეებმა. იმავე დღეს, აფხაზთაწარმომადგენლობითი დელეგაცია გამოცხადდა ქ. სოხუმის №1 საშუალო სკოლაში, სადაც შეხვდა თუ სოხუმის ფილიალის ხელმძღვანელობას და ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა მისადები გამოცდების გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზი „პარლამენტიორები” სისხლისდგრით იმუქრებოდნენ.

25 ივნისს „აიდგილარამ” გამოაქვეყნა მიმართვა აფხაზი ხალხისადმი”, ხოლო 27 ივნისს მიღებულ იქნა მორიგი „მიმართვა” სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი, რომელშიც ფაქტობრივად მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, შეექმნათ საკანონმდებლო ბაზა აფხაზეთის ასსრ საქართველოს სსრ შემადგენლობიდან გამოსვლისათვის.

14 ივლისს მთელი დღის განმავლობაში ქ. სოხუმში დაძაბულობა არ ცხრებოდა. შეაღამისოთვის აფხაზებმა ალექს შემოარტყებს სოხუმის №1 საშუალო სკოლის შენობას. იმავე დამეს სეპარატისტებმა დაარბიეს მარქსის ქუჩაზე მოწყობილი 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი დროებითი სტენი. შინაგან საქმეთა ორგანოებმა ვერ შეძლეს სკოლის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა. შეიქმნა სკოლის დარბევისა და იქ მყოფ პირებზე – საბუთების მიმდები კომისიის წევრებზე თავდასხმის საფრთხე. 15 ივლისს, შეადლისოთვის, სანაპიროზე, რუსთაველის სახელობის პარკში შეკრება დაიწყებს ქართველი საზოგადოებრიბის წარმომადგენლებმა. ისინი იჩენდნენ მაქსიმალურ სიფრთხილეს, რათა არ შესულიყვნენ კონტაქტში №1 საშუალო სკოლის ირგვლივ შეგროვილ აფხაზებთან და არ მიეცათ მათვების პროვოკაციის საბაბი.

17 საათისათვის რუსთაველის პარკს მიუახლოვდა ავტომანქანა, საიდანაც აფხაზმა ოპერატორმა გამომწვევად დაიწყო იქ შეკრებილი ქართველების გადაღება. მანქანასთამ მივიდა რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებმაც მოსთხოვეს მას

გადაღების შეწყვეტა და იქაურობის დატოვება, მაგრამ ოპერატორმა კურად არ იღო ეს მოთხოვნა. ამას მოჰყვა შეხლა-შემოხლა, რის შემდეგაც მანქანამ სასწრაფოდ დატოვა პარკის მიმდებარე ტერიტორია, რამდენიმე წუთში კი გამოჩნდა რკინის ხელკეტებითა და ქვებით შეიარაღებული აღგზნებულ ადამიანთა ბრძო (2000-მდე კაცი).

გაჩაღდა ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც სასიკვდილოდ დაიჭრა აფხაზეთში ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ აფხაზეთის ორგანიზაციის ლიდერი ვლადიმერ ვეკუა. სიკვდილს ბეწვე გადაურჩა იმავე ორგანიზაციის მეორე ლიდერი, თუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი იოსებ ადამია, რომელმაც სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო. თითქმის პარალელურად აფხაზები შეიჭრნენ №1 საშუალო სკოლის შენობაში, გაანადგურეს იქაურობა და სასტიკად გაუსწორდნენ მიმდები კომისიის წევრებს.

სუბტობიკულ ინსტიტუტან ქართველი არაფორმალების მიერ გამართული მიტინგი საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების მოქმედებად იქცა შეფასებული (Чумалов 1995: 201).

ამავე დროს, ქალაქის ცალკეულ უბნებში ატყდა სროლა, რომელიც არ შეწყვეტილა თითქმის მთელი დამის განმავლობაში. 16 ივლისს ქართული მხარე შოკისაგან გამოვიდა და შეუდგა ძალების მობილიზაციას. მალე ქალაქი ქართველების კონტროლქვეშ მოექცა. შეიქმნა ერთგვარი შტაბი, რომელიც განთავსდა კინოთეატრ „აფხისი“-ს შენობაში.

ქ. სოხუმში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ინფორმაცია ელვისებურად მოედო მთელ საქართველოს. 16 ივლისს ათასობით ადამიანი გალისა და სამეგრელოს მიმდებარე რაიონებიდან ერთიანად დაიძრა სოხუმისაკენ, მაგრამ ისინი მდ. ლალიძგას ვერ გასცდნენ.

აფხაზთა ერთი ჯგუფი თავს დაესხა შსს ოჩამჩირის რაიონულ განყოფილებას და დაიტაცა საბრძოლო იარაღი. შეიარაღებულმა აფხაზმა „ბოევიკებმა“ 16 ივლისს დაიკავეს „საბრძოლო პოზიციები“ მდ. ლალიძგის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ და სროლა აუტეხეს ოჩამჩირისკენ მომავალ მანქანებს.

სროლის შედეგად დაიღუპნენ გალის რაიონის მცხოვრებნი, მაგრამ მაშინ მაინც მოხერხდა კონფრონტაციის შემდგომი ესკალაციის შეჩერება. ამაში დიდი

იყო ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერების, პირველ რიგში კი, მერაბ ჯოსტავას, აგრეთვე საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის წელი.

ასევე პოზიტიური როლი შეასრულა სხვ კავშირის შინაგანი ჯარების (გენერალ-პოლკოვნიკ იური შატალინის სარდლობით) დროულმა ჩარევამაც. გატარებული დონისძიებების შედეგად შეიარაღებული დაპირისპირება შეწყდა. 1989 წლის 15-16 ივნისის ტრაგედიამ შეიწირა 14 ადამიანის – 9 ქართველისა და 5 აფხაზის სიცოცხლე.

1989 წლის 15 ივნისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ გაუქმდეს 1989 წლის 14 მაისის უკანონო განკარგულება ქალაქ სოხუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის შესახებ (Чумалов 1995: 190-193).

ივნისის მოვლენებმა უკიდურესად აღაშფოთა მთელი ქვეყანა, ათენულ ათასობით ადამიანი გაემგზავრა აფხაზეთში, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ლიდერთა აქტიურობით მოხერხდა ვითარების სტაბილიზაცია.

მიუხედავად ყოველივე ზემოსენებული ვითარებისა, დაძაბულობა მომდევნო პერიოდშიც შენარჩუნდა (მალაშენა 2011: 91).

სეპარატისტებმა წარმოიდგინეს თავი აფხაზეთის ერთადერთ მეპატრონედ და კატეგორიულად აუკრძალეს ქართველებს საკუთარი სახელმწიფოს – საქართველოს სსრ-ის, რომლის ნაწილსაც შეადგენდა აფხაზეთის ასსრ, – ფარგლებში ესწავლათ და ემუშავათ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში.

ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა სურვილი, შეექმნათ ეროვნული საუნივერსიტეტო ცენტრი სოხუმში, ვერანაირად გერ შეუშლიდა ხელს საკუთრივ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციონირებას, ვინაიდან უნივერსიტეტის მთელი ქონება აფხაზურ მხარეს რჩებოდა და, რაც მთავარია, აფხაზეთის უნივერსიტეტს უცვლელად უტოვებდნენ მისაღებ კონტინგენტს. ერთი სიტყვით, აფხაზები პრაქტიკულად არაფერს არ კარგავდნენ.

სეპარატისტებისთვის უბრალოდ კატეგორიულად მიუღებელი იყო „მათ სამშობლოში“ ისეთი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, რომელშიც არა მარტო სწავლება იქნებოდა ქართულ ენაზე (ეს ისედაც იყო აფხაზეთის უნივერსიტეტში, ქართულ სექტორზე), არამედ საქმის წარმოებაც. თვით აფხაზეთის უნივერსიტეტში,

როგორც ცნობილია, საქმის წარმოება მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ის ამ მხრივ არაფრით არ განსხვავდებოდა რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტომომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლისაგან.

სეპარატისტებს კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ როდესაც მთელ საქართველოში აზვირთდა ეროვნული მოძრაობა და რესპუბლიკა ასე გაქანებით მიემართებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ, ზოგად-ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის მატარებელი უმაღლესი სასწავლებლის გახსნა ქ. სოხუმში დამატებით იმპულსებს შესძენდა აფხაზეთის ჩართვას საერთო-ქართულ პროცესებში. სწორედ ამის დაშვება არ სურდათ აფხაზებს და ამიტომაც იმუქრებოდნენ ისინი სისხლისღვრით, რაც შეასრულეს კიდეც 1989 წლის 15-16 ივლისს.

ასე რომ, ნებისმიერი მცდელობა ჩვენი ოპონენტების მხრიდან, ქართველებს გადააბრალონ 15-16 ივლისის ტრაგედია, ყოველივე აზრს მოკლებულია.

ის, რომ აფხაზთა ე. წ. „ეროვნული მოძრაობა“ მთლიანად ინსპირირებული იყო საკავშირო ცენტრის მიერ, რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამას თითქმის დოკუმენტურად ადასტურებს არა სხვა ვინმე, არამედ სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის – ქვეყნის მთავარი დამსჯელი სტრუქტურის უკანასკნელი შეფი ვადიმ ბაკატინი (Бакатин 1992: 49)

სსრ კავშირის უმაღლეს სახელისუფლებო ინსტანციებში გაიგზავნა არაერთი საჩივრის წერილი აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების მოთხოვნით. სინამდვილეში, არავინ არ ემუქრებოდა აფხაზების სიცოცხლეს, ხოლო მოსახლეობიდან ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების ოპერაცია, რომელიც დაიწყო სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ნაწილებმა, მედგარ წინააღმდეგობას სწორედ აფხაზთა მხრიდან წააწყდა.

უფრო მეტიც, ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთ აფხაზურ სოფელში ამგვარი ოპერაციის ჩატარებისას, აფხაზმა ბოევიკებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ორი რუსი ჯარისკაცი. ამ ფაქტმა ნათლად აჩვენა, თუ ვინ ამღვრევდა წყალს და ვისგან მოდიოდა დესტაბილიზაციის საფრთხე ავტომომიურ რესპუბლიკაში, რაც პკლევისას ჩანს, რომ რუსეთს მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა.

აღსანიშნავია, რომ კრემლის მიერ საქართველო, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ანალოგიურად არასაიმედო რეგიონად იყო აღქმული და მოვლენათა მსვლელობის ლოგიკით მოელოდა, რომ ისინი გავიდოდნენ საბჭოთა

კავშირის შემადგენლობიდან. საკავშირო სუპ-ში შემუშავებული გეგმის მიხედვით აფხაზეთში აქტიურად ამოქმედდნენ ვითომ ადგილობრივი ეროვნული ძალების მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაცია „აიდგილარა”. მას მიზნად დაუსახეს ამ ავტონომიაში ქართული ეროვნულ განმანთავისუფლებელ ძალებთან დაპირისპირება და ხელის შეშლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.

ლოგიკიდან გამომდინარე, აღნიშნული ორგანიზაცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი რომ ყოფილიყო, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კი არ უნდა დაპირისპირებოდა, არამედ მასთან ერთად უნდა ებრძოლა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისათვის.

საერთო ამოცანებიდან გამომდინარე „აიდგილარა”-სთან მჯიდრო კავშირში იმყოფებოდნენ რუსული და სომხური ორგანიზაციები „სლავიანსკი დომ” და „კრუნკი”, რომლებიც „აიდგილარა”-ს მხგავსად შექმნილი იყვნენ და იმართებოდნენ საკავშირო სუპ-ის მიერ. ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობა ძირითადად დაკომპლექტებული იყო კადრებით, რომლებიც გასულ წლებში მოსახლეობაში სეპარატიზმის გაღვივებისთვის უშიშროების მიერ აყვანილი იყვნენ აღრიცხვაზე. აქედან ზოგი თავის დროზე იმყოფებოდა ოპერატიულ დამუშავებაში, ზოგი კი გადმობირებული.

სსენებული ორგანიზაციები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ქმნიდნენ რაიონებში თავიანთ ფილიალებს. მათი წარმომადგენლები აქტიურად ეწეოდნენ არაქართველი მოსახლეობის იდეოლოგიურ დამუშავებას. ისტორიული ფაქტების გაყალბებით ქართველებს წარმოაჩენდნენ, როგორც დამყრობლებს და არაქართველ, განსაკუთრებით აფხაზ მოსახლეობას გამუდმივებით უნერგავდნენ აზრს აფხაზეთის ქართველებისგან გაწმენდის აუცილებლობაზე.

საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთი იდეოლოგიური ფრონტი გაიშალა ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების სახით. რუსეთის სპეცსამსახურების მიერ „აიდგილარას” ანალოგიურად იქ შექმნილი ე. წ. სახალხო-ნაციონალური მოძრაობები ყოველგვარ დახმარებას ჰპირდებოდნენ აფხაზ სეპარატისტებს. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ყაბარდოელთა ნაციონალური მოძრაობა „ადალე ხასე”.

სეპარატისტი ლიდერები აფხაზური ტელევიზიისა და პრესის საშუალებით მუდმივად საუბრობდნენ აფხაზი და ჩრდილო კავკასიის ხალხების ურყევ ძმობაზე და ერთიანობაზე. ამავე პერიოდს საეჭვოდ ემთხვევა „მოიელ ხალხთა

კონფედერაციის” შექმნა, რომლის დედაქალაქად ქ. სოხუმი გამოცხადდა. იმართებოდა შეხვედრები ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლებთან.

სეპარტისტებს მუდამ ჰყავდათ მათი მხარდამჭერები და გულშემატკივრები. მათ შორის საზღვარგარეთაც, რომლებიც ჩვენი მოსაზრებით აქტიურად თანამშრომლობდნენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან (სუპ). ამის ნათელი დასტურია კავკასიოლოგი ჯორჯ ბრაიან ჰიუიტი, რომელმაც 1989 წლის 21 ივლისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნდა კავკასიოლოგ ჯორჯ ბრაიან ჰიუიტის (ამჟამად ოკუპირებული აფხაზეთის საპატიო კონსული დიდ ბრიტანეთში) წერილი: „უცხოელის დაკვირვებანი აფხაზებისა და ქართველების დაძაბულ ურთიერთდამოკიდებულებაზე, დია წერილი ქართველებს”, რომელიც ქართველებმა აფხაზური სეპარატიზმის მხარდაჭერად ჩაუთვალეს.

ჯორჯ ბრაიან ჰიუიტი დაიბადა 1949 წლის 11 ნოემბერს, ინგლისის ქალაქ დონკასტერში. 1975-76 წლებში იგი, როგორც ასპირანტი სამეცნიერო სტაჟირებას გადიოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაცა იგი გადიოდა ცნობილმა ქართველოლოგმა, ინგლისის დაზვერვის დადგენილი თანამშრომელმა დევიდ ლანგმა, რომელიც 1963 წელს ოპერატორულ დამუშავებაში მყოფი მეცნიერი გადმობირებულ იქნა საქართველოს უშიშროების კომიტეტის მიერ არსებული ე. წ. მაკომპარომატირებული მასალების (პომოსექსუალიზმის ფაქტები) გამოყენებით და მას მიენიჭა აგენტურული ფსევდონიმი „ჯიმი”.

შემწეული იყო „ჯიმის” განსაკუთრებული კეთილგანწყობა ჰიუიტის მიმართ, როგორც საქართველოში, ასევე დიდ ბრიტანეთში. საქართველოს სპეცსამსახურებთან ერთად „ჯიმისთან” მუშაობდა საკავშირო სუპ-ის პირველი მთავარი სადაზვერვო სამმართველო (ПГУ).

ჰიუიტმა საქართველოში გაიცნო და 1976 წელს დაქორწინდა ეროვნებით აფხაზ ქალბატონზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტ ზაირა ხიბაზე, რომლის მმა ანატოლი ხიბა ცნობილი კრიმინალი, რვაჯერ ნასამართლევი რეციდივისტი და ქართველთა მოძულეობით ცნობილი ოჯახის შვილი იყო.

აღსანიშნავია „სუპ”-ის დამუშავების საქმეში არსებული ერთ-ერთი აგენტის მინიშნება აღნიშნული ქორწინების შესახებ: „აღსანიშნავია, რომ მისი მეუღლე მასზე 5 წლით უფროსი იყო და როგორც ქალი არ არის მიმზიდველი”.

დაქორწინების შემდეგ იგი პერიოდულად ჩამოდიოდა საქართველოში, მეგობრობდა კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. თავიდანვე

დაუახლოვდა ქართველ მეცნიერებსა და დისიდენტებს, მათ შორის ზოად გამსახურდიას, რის გამოც მოხვდა „სუკ”-ის თვალთახედვის არქში და მიმდინარეობდა მისი აქტიური დამუშავება.

საგულისხმოა, რომ ჯორჯ ბრაიან ჰიუიტს ქალები ნაკლებად აინტერესებდა. ხიბაზე ქორწინება მას უფრო მნიშვნელოვან მიზანთან აახლოებდა. მან ოკუპირებულ აფხაზეთში პერმანენტული ვიზიტები განახორციელა. განსაკუთრებით ლიტერატურისა და ისტორიის ქ. სოხუმის კვლევით ინსტიტუტში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პირველი პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა.

1979 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ქ. ოჩამჩირის რაიონული განყოფილების მიერ, ჯ. ჰიუიტის მიმართ შეიქმნა ოპერატიული შერჩევის საქმე „ფილოლოგი”, ხოლო 1990 წელს კი ოპერატიული დამუშავების საქმე „მენტორი” №399, შეფერილობით „საბჭოთა მოქალაქეების წაქეზება დანაშაულის ჩადენის მიზნით”. იგი ხასიათდება როგორც ენერგიული, კომუნიკაბელური პიროვნება, რომელიც კარგად ფლობს ქართულ, აფხაზურ და რუსულ ენებს.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჯორჯ ბრაიან ჰიუიტი მუშაობდა ქ. ლონდონის უნივერსიტეტის აზიის განყოფილებაში, რომელიც „სუკ”-ის მასალების თანახმად ქარმოადგენდა დიდი ბრიტანეთის დაზვერვის საფარს. ამ პერიოდშივე მან დაიკავა აშკარა პროაფხაზური პოზიცია და დღემდე ეწევა პროფესიულ საქმიანობას, ქართველ და აფხაზ მეცნიერებს შორის შუღლის გაღვივების კუთხით. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო”-ს რედაქციაში და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გაზეთის იმავე ნომერში სწორად შეაფასეს ზემოსენებული წერილის მიზანიც, მიმართულებაც და ის მოსალოდნელი შედეგებიც, რისთვისაც შედგენილი იყო ჰიუიტის ხელმოწერით გამოქვეყნებული აღნიშნული ნაშრომი, რომელიც სასწრაფოდ ითარგმნა რუსულ ენაზე და ნაბეჭდი ფურცლების სახით გრცელდებოდა მთელ ოკუპირებულ აფხაზეთში.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნებული წერილი „უცხოელის დაკვირვებანი აფხაზებისა და ქართველების დაძაბულ ურთიერთდამოკიდებულებაზე, ლია წერილი ქართველებს” მეცნიერული კვლევის ყოველგვარ დირებულებას მოკლებულია და გაჟღენთილია ქართველი ხალხისა და მისი ისტორიის სიძულვილით, არსებული და გამოგონილი უარყოფითი

მოვლენებით. აღნიშნულია საუკუნეების მანძილზე თითქოს ქართველებისგან აფხაზი ხალხის შევიწროება-დამცირების საკითხების შესახებ. ამ თრ ხალხს შორის დაპირისპირების გაღვივებისაკენ არის მიმართული თვით ქართული, აფხაზური, მეგრული და სვანური ენების წარმოშობის საკითხი.

სამწუხაროდ, უშედეგოდ დასრულდა ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის მცდელობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის იმუმინდებლი ნოდარ ამაღლობელის ხელმძღვანელობით საპროტესტო წერილი გაეგზავნათ ქ. მოსკოვში ინგლისის საელჩოში მათი მოქალაქის არაკეთილსინდისიერი და პროვოკაციული ქმედებების განხორციელების შესახებ. საპროტესტო წერილის გაგზავნას კრემლმა შეუშალა ხელი.

1989 წლის ივლისის თვეში ქართულ-აფხაზური დაპირისპირებამდე რამდენიმე დღით ადრე ჯ. პიუიტი ჩამოვიდა საქართველოში და მიზანმიმართულად ეწეოდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დისკრედიტაციას. იგი თავის პუბლიკაციებში მუდმივად დიად აკრიტიკებდა ქართულ მხარეს, გამოდიოდა მეგრული სახელმწიფოს შექმნის ინიციატივით,, ეწეოდა გალის რ/ნ-ში მეგრული ენის ოფიციალურ ენად გამოცხადების და მეგრული ტელევიზიის შექმნის იდეოლოგიას, ამავდროულად რადიო „ამერიკის ხმა“-ში აცხადებდა, რომ მეგრულ ენას უნდა მიენიჭოს სალიტერატურო ენის ხტატუსი, როგორც სამეგრელოში ასევე აფხაზეთში, რომ მეგრულები, სვანები და ლაზები არასდროს არ მიააჩნდა ქართველებად.

საბჭო კავშირის დაშლისა და აფხაზეთში განვიტარებული საომარი მოქმედების დასრულების შემდეგ, ჯ. პიუიტი საქართველოში არ ჩამოსულა და მან აქტიური საქმიანობა განაგრძო დიდ ბრიტანეთში, აფხაზეთის როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ევროპაში პოპულარიზაციის მიმართულებით. ამავე პერიოდში მან „შეიმუშავა“ საქართველოში კონფლიქტების მოგვარების „პონცეფცია“, სადაც აღნიშნულია:

- ქართველები უნდა გათავისუფლდნენ „ნაციონალიზმისგან“ და აღიარონ „შეცდომები“ აფხაზებთან და ოსებთან მიმართებაში“;
- აფხაზებს საქართველოს მხრიდან განადგურების საფრთხე აღარ დაემუქრებათ, თუ მათ შორის ჩამოყალიბდება „ბუფერული ზონა“ - „სამეგრელოს სახელმწიფოსებრივი წარმონაქმნის“ სახით;

➤ უნდა შეიქმნას „კავკასიის კონფედერაცია”, რომლის სუბიექტები იქნებიან: აფხაზეთი, სამეგრელო, საქართველო, აზერბაიჯანი, ყარაბაღი, სომხეთი და სამხრეთ ოსეთი.

ჯ. პიუიტი, როგორც სეპარატისტული აფხაზეთის „კონსული” ბრიტანეთში, პერიოდულად ჩადის და ლექციებს კითხულობს აფხაზეთის ე.წ. უნივერსიტეტში. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჯორჯ ბრაიან პიუიტი ოკუპირებულ აფხაზეთში ჩავიდა და 26 აგვისტოს ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებისადმი მიძღვნილ ლხინში მიიღო მონაწილეობა. მისი დაკვირვებით, ადგილობრივ მოსახლეობას მიაჩნია, რომ ოკუპირებული აფხაზეთის უსაფრთხოებას არაფერი ემუქრება არც კოდორის ხეობიდან და არც სამეგრელოს რეგიონიდან.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ომის წინა პერიოდში გაჩნდა მაქსიმ გურევის სრულმეტრაჟიანი პუბლიცისტური ხასიათის ფილმი „Абхазия. Взгляд из Европы”, რომლის სცენარის ავტორი და ფილმის მთავარი გმირი ჯორჯ ბრაიან პიუიტია. რამდენიმე ენაზე თარგმნილ ე.წ. დოკუმენტურ ფილმში ფალსიფიცირებულია ოკუპირებული აფხაზეთის ისტორია. ფილმის რუსულენოვან ანოტაციაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის შესახებ ბევრს საუბრობენ, რომ მან გაუძლო ჯერ ომს, შემდეგ ეკონომიკურ ბლოკადას და „საერთაშორისო აღიარებაც” მოიპოვა და ამ „სუვერენული ქვეყნის” ისტორია ცოტამ თუ იცის.

2014 წლის 6-9 ივნისს, მდ. ენგურის ცენტრალური ხიდის გავლით ჯ. პიუიტის რეკომენდაციითა და ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი ხინობას ნებართვით, აფხაზეთი იმყოფებოდა აგსტრალიის მოქალაქე, ბრიტანულ საერთაშორისო კონსალტინგურ კომპანია „ricevater house Coopers”-ის ლონდონის ოფისის ეკონომისტი – ჯეისონ აარონ კალვერტი.

2014 წლის 10 აგვისტოს ჯორჯ ბრაიან პიუიტი ქ. სოხუმში შეხვდა სეპარატისთა დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ ვიაჩესლავ ჩირიკბას, რომელთანაც განიხილა ოკუპირებული აფხაზეთის მთავრობის ეკროპის ქვეყნებთან კავშირის, აფხაზეთის მოსახლეობისათვის ეკროპის ქვეყნებში შესვლისათვის საჭირო ვიზების გამარტივებული გზით მიღებისა და უცხოეთში აფხაზი ახალგაზრდების განათლების მიღების საკითხები.

ამავე პერიოდში ჯორჯ ბრაიან პიუიტი იმყოფებოდა ქ. გალშიც, სადაც შეხვდა გაზეთ „გალ“-ის რედაქტორს ნუგზარ სალაყაის, რომელთანაც განიხილა მეგრული დიალექტის პოპულარიზაციის მიმართულებით რედაქციის მიერ გაწეული საქმიანობა და სამომავლო გეგმები.

ჯორჯ ბრაიან პიუიტი აცხადებს, რომ აფხაზების მხრიდან სიძულვილი ქართველების მიმართ, ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია. ასე, რომ მხოლოდ შორეულ მომავალზე შეიძლება საუბარი. იგი მიიჩნევს, რომ როდესაც ქართველები აღიარებენ ოკუპირებული აფხაზეთის დამოუკიდებლობას და როგორც მეზობლები, მეგობრულ ურთიერთობებს აღადგენენ, მაშინ იცხოვრებენ ერთმანეთის გვერდზე მშვიდობიანად. მას მიაწნია, რომ ქართველთა და აფხაზთა გაჭიანურებულ კონფლიქტს მხოლოდ საქართველოს მიერ მარიონეტული აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით დაესმება წერტილი და ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება დევნილების დაბრუნება. მისივე განცხადებით, აფხაზები არასოდეს გახდებიან უმცირესობა თავიანთ მშობლიურ მიწა-წყალზე და ამ ეტაპზე ლტოლვილების დაბრუნება აფხაზების დაინტერესების სფეროში არ შედის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჯორჯ ბრაიან პიუიტის ქმედები საქართველოსთან მიმართებაში, დიდი ალბათობით მიუთითებს მის კავშირს ჯერ საბჭოთა, ხოლო შემდეგ მის სამართალმემკვიდრე რუსეთის საეცსამსახურებთან. ბუნებრივია, გაყალბებული ისტორიით ჯორჯ ბრაიან პიუიტი არაერთხელ შეეცდება წარმოაჩინოს აფხაზების „გაუსაძლისი ყოფა ქართული კოლონიალიზმის პირობებში“, აღწეროს მათი თავგანწირული ბრძოლა „დამოუკიდებლობისთვის“.

რაც შეეხება მის ე. წ. დიპლომატიურ რანგს, საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფოთა შორის საკონსულო ურთიერთობების დამყარება ხდება ერთმანეთთან თანხმობითა და ნებით. შესაბამისად, რადგან დიდი ბრიტანეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რა სცნობს აფხაზეთის სეპარატისტულ რესპუბლიკას, ქ. ლონდონში არ უნდა იყოს პიროვნება, რომელიც საკუთარ თავს ოკუპირებული აფხაზეთის საპატიო კონსულს უწოდებს. ეს ფაქტი კონვენციის უხეში დარღვევაა.

მესამე და მეოთხე მუხლები გვამცნობენ, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოსთან საკონსულო ურთიერთობის დამყარება ერთმანეთის თანხმობით ხდება, ხოლო საკონსულო დაწესებულების გახსნა მხოლოდ მიმღები სახელმწიფოს თანხმობით

უნდა მოხდეს. საინტერესოა, ნება დართო დიდი ბრიტანეთის მთავრობამ „ოკუპირებული აფხაზეთის საპატიო საკონსულოს” გახსნაზე? თუ გავითვალისწიებთ, რომ ამგვარი ნებართვა არ არსებობს, მაშინ ჯორჯ ბრაიან ჰიუიტის საქმიანობა უკანონოა.

მეთერთმეტე და მეთორმეტე მუხლების მიხედვით, კონსულს (მათ შორის, საპატიო კონსულსაც) უნდა ჰქონდეს წარმომდგენი (გამგზავნი) სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტი (პატენტი ვინაობის კატეგორიის, კლასის, საკონსულო ოლქის მითითებით). გარდა ამისა, კონსული (საპატიო კონსული) ვერ დაიწყებს თავისი ფუნქციის შესრულებას, თუ მას არ აქვს მიმღები სახელმწიფოს ნებართვა (ეგზექვატურა).

